

პრეზენტი

მწერლა

ა. ვაკელია — ლექსი შრომაშე კ. ლორთქიფანიძე — ნაბა-
 რი ნატურიდან. ბ. ხამხონიძე — საუბარი მეცნიერობა.
 კ. ლორთქიფანიძე — ბორისი. ფ. ნაროვაშვილი — ყოფა-
 ცხოვრება სამკოთა სოფელში. კ. ბობონიძე — მთავარ
 სახელოსნოში. ე. პოლუმორდვინოვი — რენის ძეგი.
 ი. ბოჭკარია — იურიში. გ. კაჭაბიძე — ნანგრევთა შორის.
 ხ. ხუნდაძე — ნ. ვაბრიელისძე ჩერნიშვილი. ვ. დუარხაშვილიძე.
 სალიტერატურო კრიტიკის შესახებ. პროლეტარულ მწერ-
 ლობის დღიური: შენიშვნები ლიტოკული პოეზიის შე-
 სახებ — კ. ლორთქიფანიძე. საქმე და სიტყვა — პ. ქიქოძე.
 გაეშალოთ „ნაპასტოველების“ მებრძოლი დროშა —
 ვ. ლუარხაშვილიძე. მხატვრული ლიტერატურა და მეთა-
 ხელის პრობლემა — ვ. რ. მუშათა მწერლობის შესახებ —
 ას. ხულავა. კ. ოცხვერაშვილი — ქულტურული რევო-
 ლუციისა და წევნის სამუსიკო საქმიანობა. ბიბლიოგრაფია.

დეკემბერი

N 19

ს ა ხ ე დ გ ა მ ა

1928

1929 წლისათვეს



1929 წლისათვეს

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომავლობა

მიმღება ხელის მოწერა უმდება ურნალებზე:

„პროცესუალი მფრიდობა“

(მესამე წელი)

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის კოველთვიური
ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგად-პოლიტიკური ეურნალი

წლიურად—4 მან.,	3 თვით—1 მან. 20 კ.
6 თვით — 2 მან.,	ცალკე ნომერი—50 კ.

„ჩართული მფრიდობა“

(მეოთხე წელი)

სრულ. საქართველოს საბ. მწერლების ფედერაციის კოველთვიური
ლიტერატურული, მეცნიერული და საზოგადოებრივი ეურნალი.

წლიურად—6 მან.,	3 თვით — 1-75 კ.
6 თვით — 3 მან.,	ცალკე ნომერი— 65 კ.

„რევოლუციის მატიანე“

საქ. კომპარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების
პარტიის ისტორიული ეურნალი.

წლიურად გამოდის 4 ნომერი	
წლიურად—5 მან.,	ცალკე ნომერი—1 მან 50 კ.

„პ ი რ ნ ი რ ი“

საქ. ბავშთა კომ. ორგ. ცენტრალური ბიუროს და განსახყომის საყმა-
წვილო დასურათებული ორკირეული ეურნალი—სკოლის ჰასაკის
ბავშთათვის.

წლიურად—5 მან.,	3 თვით—1 მან. 50 კ.
6 თვით — 3 მან.,	ცალკე ნომერი—25 კ.

ՆՐԱԴՎՑԵԱԿԵԳՈ ԹԵՇԵՐՈՑ

No 12

(24)

Digitized by srujanika@gmail.com

1928 S.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ახოციაციის
უფლებაზე მიმდინარეობს.

ბუაჩიძეს, ი. ვაკელის, ვ. ლუარსამიძეს, ა. მაშაშვილის, ჭ. რადუანის,
დ. რომელიას და ჭ. ფერებოსიშვილის რედაქციით.

Digitized by srujanika@gmail.com

ლექსი შრომაზე

შრომის ცეცხლით ანთებული
აფრევევ თფლის ღვარს.
ახალ ყოფას სიერთგულით
მისდევ მხარ და მხარ.
აწვდი სტატს ძელქვის ფიცარს,
და ცხოვრების ხმას.
ვაჟაპი ხარ, ეხლა ვიცან,
მუქ გიმშვენებს მხარს.
სართულები მისდევს სართულს,
ყლაპავს კირს და ქვას.
ძრავი ქშინავს და ვარჯილის
ხორბალივით ფეხავს.
ავურები, რკინა, ხრეში
და მრავალი სხვა —
ყრია რიყელ, რომ ჩაინთქს
ძძიმე შრომის ზღვამ.
კალატოზო! გადუშალე —
ძკერდი ძლიერ ქარს;
დაადულე ერთმანეთზე
ავური და ქვა,—
რომ ჩვენ ქვენის ნათელ დლეებს,
შრომის მრავალ გზებს
კიდევ უფრო ანათებდეს
საბჭობის მზე!

პოლიტიკური დოკუმენტი

ნახატი ნატურიდან

კედლებს აშენებენ... ჯერ თითოსხელაა,
კაცმა რო სიცხისგან თავი დაიტარო
ჩრდილიც, საამისო აღარ გააჩნიათ,
იგი წამოვა და სახელდახელოთ
იქვე ჩამოასხამს სიტყვას ხუთ-საენიანს;

როცა დაჭირდება
ამავე სიტყვას
სათაურს შეუცვლის... ლოზუნგებს დააკლებს;
რაც გუშინ კედლების შესახებ ითქვა,
დღეს მას პანაშეიღწე ილაპარაკებს.

სალამოს ოცნებობს: საინდუსტრიო
ტირაჟის ბილეთით რამდენს მოიგებს!
ან გაშლის გაზეთს, კითხულობს მარტოდენ
სასამართლოზე „გერი“-ს ქრონიკებს.

როცა უპარტიო ეწვევა სტუმრით,
პარტიის ხაზში შეაქვს შესწორება:
— ამ და ამ მიზეზით, ადგილზე ვბრუნავთ
და ტემპი,
ტემპი აკლია ცხოვრებას.

დარეკავს თერთმეტი. ოთახში ცურავს
აბერტყიუილ ბალიშის ნაცნობი სურნელი;
შეკვე შეუდგამს მხრუნველ ხელს ცოლისას,
ორმაგა საწოლ ქვეშ_ლამის ჭურჭელი—

სანდო თავდები ცოლის ერთგულების
და მყუდრო ოჯახის ურყეფი ფუძე.
... ახალი ყოფა ქმარს დიდი ხანია
გაუჭრელ წიგნიერით თაროზე უძეის.

პირე სამოქანი

საუბარი მეგობართან

ხშირად მეგობრები
ვხვდებოდით ერთმანეთს
და შენ მეტყოდი:
—პეტრე თუ ძმა-ხარ,
როგორც პოეტი
დამიწერ ისეთ ლექსს
სადაც ჩემზე ქება
იქნება გულუხვად?

მე გიპასუხებდი:
—შენ ვინ ხარ, ან რა ხარ?
როცა ცხოვრება
დღეს ისე დიდია,
რომ ჩემნისთანები
მას უდგას მხარ-და-მხარ
და გამარჯვებისკენ
გაბედვით მიდიან?!

მართალი არის:
მარჯვე ხარ, მამაცი
მტრებთან ბრძოლით სული
გაგიკაერებია,
მაგრამ მითხარ, ძმაო:
შენისთანა კაცი
ხომ თვით მასსას
გულში, გულით ჩაბჯენია.
ოჰ და, როცა ვმლერით
დღეს მშრომელთა ხალხზე
შენც ხომ იქ ხარ ერთი
მათი ამხანავი!

თუ ასე არ არის,
აბა რატომ გალხენს
პროლეტარულ პოეტის
წერა, ლაპარაკი?—

ასე მოგიგებდი და შენც
აისივით
აინთებდი თვალებს,
აელვარებდი.
მომწონს შენი სიტყვა
მახვილივით ბასრი
და მეც შენგან პასუხს
ასეთს მოველოდი.

გამოგცადე მხოლოდ...
განა ცოტანია;
აი, თუნდაც იმ ჩვენ
მტერთა ბანაკიდან,
რომ უწერენ ლექსებს
ყალბს და ცრუ ტონიანს
ვილაც პიროვნებას—
წოდებულს რაინდათ.

ოჳ და, გასწით წინ და
ჩვენს ცხოვრებას მქუხარს
შეუერთედ თქვენი
მძაფრი „ცეცხლის ხმები“
წინ კვლავ ბრძოლები გვაქვს,
მაგრამ სულ არ ვწუხვარო,
რადგან ვიცით უკან
ჩვენ არ დაფიხვევით.

ასე თაედებოდა
ჩვენი სჯა-ბაასი
და მეც ამას მხოლოდ
მეტყოდი სულ ბოლოს.
მრავალი წელი
ვმუშაობთ პარტიაში,
რომ მრავალჯერ უფრო,
ქიდევ გავიბრძოლოთ.

პონეტანიე ლორთიშვილი

ბ რ ა ნ ი *)

რომანი

ნესტიანშა სალამომ, რომელიც ქვემო იმერეთის რიონის მახლობელ სოფლებს სწევევია, გამოაღვიძა ჭადრების ქვეშ გაშხვართული ბეკო.

— ურის კვდარივით რომ გაქიმულხარ, ვერ მიხედავ ცხენებს! გამოსახა მარანიდან, ქვევრის თავზე წარიქებულმა ბესომ.

ბეკო სიტყვა არ შეუბრუნა.

გულის მომკვლელ თვალებით გადახედა და თუმჯა ეხლახან აღვომას ეპირებოდა, მაგრამ დასამტკიცებლათ იმისა, რომ ცხენების მოვლა მისი საქმე არ არის და შეუძლია ძილის გაგრძელება. მეორე მხარეზე შებრუნდა და ხერინვა ამოუშვა.

ბეკო და ბესო მოქიშპენი არიან.

ქიშპობა, ბარნაბას თვალში სანდომიან კაცის სახელის მოპოების სურვილით არის გამოწვეული.

ბესო სოფლის მოურავია.

დაახლოებით იგივე თანამდებობა უჭირავს ქალაქში ბეკოს.

ორთავე ბარნაბას ახლო მდგომი კაცია, სამეურნეო და ოჯახურ საქმეების მმართველნი და მრჩეველნი არიან.

მათი ყოველივე რჩევა და გამგებიანობა ანგარების დაუსრულებელ წყაროებიდან მოიმართება.

ბესო ვერ ინელებს ამ ფაქტს, რომ ბეკო მდგომარეობით, მასზე უფრო ახლო სდგას ბარნაბასთან; ჰერნია თითქო ბეკო. ბარნაბას წინაშე, მისი გინების მეტს არაფერს არ აკეთებს.

როცა ბესო სოფელში მოიგდებს ბეკოს, წუთს ისე არ გაატარებს, რომ რამეთი არ დასაქმოს და ამით, მასზე უფროსობის დამტკიცება არ მოინდომოს.

ბესომ კარგათ იცის რომ ცხენებს მეჯინიბეც მოუვლის, მაგრამ გული უსივდება, როცა ბეკოს ჭადრების ქვეშ უდარდელათ წა-

*) დასაწყისი იხ. „პროლეტარული მწერლობის“ № 10–11

მოწოდილს ხედავს, თითონ კი ვახშიის სამზადისში ჯარისაეთ ტრიუმფი აღებს!

— მაგის ხელა შეილი მყავს! ჩა მცოდნია ამბობს ბესო.

არც მოუხეშავი ბექო ჩამორჩება უკან.

ჩამოვა თუ არა ბესო ანგარიშების ჩასაბარებლათ ქალაქში, ბესო სმენათ და ხედვათ გადაიქცევა.

ბექომ წინდაწინვე იცის, რომ ბესოს ანგარიშებში ყალბი ციფრები ისე მრავლობენ, როგორც თევზები წყალში; მაგრამ მარტო ციფრა წყლის ნაყვაა—საჭიროა მათი დაქრია და ჰა..... წელიწადში ერთხელ ამოძრავდება ბექოს ზანტი გონება.

ჩაჯდება კუთხეში და გამოცდილ ბუსპალტერივით დაიწყებს ანგარიშის თვალყურის დევნებას.

ვა შენ ბესოს, თუ რომელიმე ანგარიშის თავი და ბოლო ერთმანეთს არ დაემთხვეა; მაგრამ ყველაზე ძნელათ ასატანი ბესოსთვის ის არის, რომ ბექოს ყველაფერში იქვე შეაქვს.

მაგ: ბესო გადაუფურცლავს ბარნაბას დაითარს და ეტყვის:

— ფუთი სიმინდი ექვს აბაზათ მივეცი —

ბექო ბარნაბას გასაგონათ ჩიოლაპარივებს,

— ჩა ვიცი, გუშინ ბაზარზე რეა აბაზათ ფასობდა და....

სიმწრის ოფლში გაიწურება ბესო; შეუბლეურს და ანგარიშის გათავების შემდეგ, ბექოსათვის სილის გაწნევას განიზრახავს, მაგრამ როცა მეორეჯერ გადახედავს მის წარმოსადეგ და ჩასკვნილ მოყვანილობას, წყრომას შეინელებს; სამაგიეროს მიზლვას სამერმისოთ, მოხერხებულ დროსათვის გადასდებს.

შიგა და შიგ ორი მოურავის ქიშპობას ბარნაბასათვის სარგებლობაც მოაქვს; უფრო მეტი, ბარნაბას მამულების ბარაქიანობა უშუალო კავშირშია მოურავების ქიშპობასთან.

ერთი-მეორეზე უფროსობას მოწადინებული მოურავები კრიკაზი უდგანან ერთმანეთს.

წამშივე აღუნიშვავენ ერთმანეთს მცირე დანაკლისს, უყაირათობას და ბარნაბას ყურამდე მიაწვდენენ.

ამიტომ ერთმა რომ გასაკილავი მხარე არ მოუნახოს მეორეს, თრთავენი ფხიზლად ეკიდებიან მოვალეობას და ძალა უნებურათ უხდებათ მისი პირნათლათ შესრულება.

ჰეკვიანი ბარნაბა კრინტსაც არ იღებს მოურავების გამწვავებულ დამტკიდებულების შესარბილებლათ.

პირიქით, ნაეთს ასხამს ზედ, რაღაც გრძნობს, რომ მისთვის არაფერი არ იქნება ეგზომ ზიანის მომყენებელი, როგორც თანხმობა ორი მოურავისა ურთიერთშორის.

ბეკო სახსაცილოთ იღებს სოფლის მოურავის ადგილს; ბეკო
იწუნებს ქალაქს და ბეკოს მოჯამავირეს ეძახის, ორთავენი კი მზათ
არიან შეუცვალონ ერთმანეთს სამსახური. ბეკოს ჰერნია, სოფელში
მყოფ ბესოს, მასზე მეტი გამორჩენა აქვს; ბეკოს პირ იქით.

ბესომ ოდესლაც სამი მანეთი ასესხა ბეკოს; დაბრუნების იმედი
დიდი ხანია დაპირება, მაგრამ არც მთლათ უქმათ ჩაარონინა სესხი.

როცა კინკლაობის განწყობილება წამოუარს, თავდაპირველათ
ბეკოს ვალის დაბრუნებას მოთხოვს;

ბეკო აყვება. გაიმართება სიტყვიერი ფარივაობა; ვიდრე მაგრათ
არ გამოლანდავენ ერთმანეთს, არ დამშვიდებიან.

აი ეხლაც, როცა ბესომ შენიშნა, რომ მისი მიმართეა ქალა-
ქელმა ჩირათაც არ ჩააგდო, გული მოიყვანა, ლვინით სავსე ხელადა
აივანზე აარბენინა და ბეკოს წამოაღვა თავზე.

— ვაებატონო, ვალს გადახდა უნდა; სკინდისი კი საქონელია!

— მერე რატომ არ გაქ შენ?

მიუგო მშვიდათ ბეკომ;

ბესო აენოო.

— ილაპარაკე, ცოტა ხანს მაგასაც გოუძლებს კაცი! მალე გა-
კვრევინებენ თავს პერემიშლისაკენ;

— სად?

— ომში! —

— ომში რა მინდა!

— არა, დუმაში გაგზავნიან შენმა ხეთის წყალობამ; ოცდა
რვა წლიანების მობილიზაცია გამოუცხადებიათ.

ბეკო წახდა.

გადიდგულდა ბესო.

— აბა ბიჭო, უფროსების უპატივუკემულობას შეგარჩენდენ
გეგონა?

სთქვა მან ისეთის კილოთი, თითქო ოცდა რვა წლიანების მო-
ბილიზაცია ბეკოს მისდამი უპატივუკემულობით იყო გამოწვეული.

— ჩაჯექი ეხლა აკაპში და ზილე ივანიკა მეანგურესაეით
ერთი წყდა ტალახი; მადლობა უთხარი გამჩენს, თუ არ მოგნახა
აესტრიილის ტყვიამ.

— ციხეში მაინც არ დამალპობენ ყაჩალობიზა;

— ვინ არი ბიჭო ყაჩალი?

მივარდა ბესო, თუმცა კარგად იცოდა, რომ ბეკო მის შვილს,
ვარდენას, ქუთაისის ხაზინაზე თავდასხმის მონაწილეს გულისხმობდა.

მათი კინკლაობდა წესით არ უნდა შეწყდეს აქ, მაგრამ რამდე-
ნიმე, ეზოში ხელის ნაბიჯით შემომავალი გლეხი, დაუძახებს ბესოს.

* * *

— ომი ბოლომდე, ომი კასალიცის გამარჯვებამდე!
ეს ლოზუნგები უყვიროდენ ბეკოს კედლებიდან, არშინიან
ასოებით.

ამავე სიტყვებს წააწყდებოდა მისი თვალები შინაც, როცა ა
შემთხვევით, თავის შესაქცევათ გადაშლიდა გაზეთს.

ჩაკარდოსნებული გიმნაზისტების და წმინდა ნინოს სასწავ-
ლებლის ჩამიხაյისუერებული მოწაფე ქალების ხშირი დემონსტრაცი-
ები ტყვიებითა და სისხლის სტრიქონებით დაწერილ ოპერის—ომის
—მთავარი პარტიის „Боже царя храни“-ს შესრულების შემდეგ,
ამავე სიტყვებით ახმაურდებოდენ ქუჩებში;

ძერიათ ნახადა ომის დაბოლოების მომხრე ადამიანს.

მოხუც სომებს ვართანას ალიონითვე გამოქონდა ბალის კიდეზე.
ომის ეპიზოდების იაფ-ფასიანი სურათები. ყოველგან ჩახატული იყო
გასამარჯვებელ მდგომარეობაში ჩავარდნილი რუსული ჯარი და ყა-
ზახების განიერი მეტრდები, წმიდა გიორგის ჯვრებზე გაკრული.

ქალაქის სანტიშენტალური მცხოვრებნი დაწყლიანებულ თვა-
ლებით შეჩერდებოდნენ ამ სურათების წინაშე, აღტკინდებოდენ ნა-
ციონალური გრძნობებით და ომის დამხმარე საზოგადოების სალა-
როში უხვათ შედიოდა შემოწირულებანი ფულის ნივთების და ამა-
ნათების სახით.

ლუბიკის სურათებით გამარტივებული წარმოდგენა ომშე, მრა-
ვალ ახალგაზრდას, მოხალისის ძაფებს აკერებდა მხრებზე.

სასწავლებლებში, პირველ გაქვეთილზე, მასწავლებლებს შემო-
ყვებოდა ინსპექტორი.

ინსპექტორი ეტყოდა მოწაფეებს.

— მოწაფეებო, სამშობლო განსაკუდელშია, ჩეენი ძმები, მეფი-
სა და სამშობლოს გულისათვის თავდადებული ჯარის კაცები, თხრი-
ლებში წეანან; გერმანელებმა კარგი სროლა იციან; ამოიხედავს თუ
არა თხრილიდან ჩეენი ჯარის-კაცი, იმ წუთშივე გაუხვერეტავს თავს
გრძნელის ტყვია; ამიტომ... ინსპექტორი პათეთიურათ ალიმალუ-
ბდა ხმას:

— ვისაც შეგიძლიათ მოიხადეთ სამშობლოს წინაშე ვალი და
დაამზადეთ თვალის იარალი.

კაფედრიდან აიღებდა მინებიან ფიცრის კოლოფს და მოწაფე-
ებში ჩამოატარებდა.

— ამ მოწყობილობით შესაძლებელია ისე ადევნო მტერს თვალ-
ყური, რომ თხრილიდან არ ამოიწიო:

მოწაფეები, მათთვის ჩვეულ სულ-მოკლეობით აღრიალდებოდენ ერთბაშად და შემოეხვეოდენ კოლოფის; გასინჯავდენ და მისი კეთების საიდუმლოების შესწავლას დაიწყებდენ.

ამ სტრიქონების აეტორიც, მაშინ მეორე განყოფილების მოწაფე, ეპირებოდა კილოფის დამზადებას და როცა საამისოდ საჭირო თანხა მოთხოვა მამას, უკანასკნელმა ამაყად მიუგო.

— შეატყობინე ინსპექტორს, რომ ჩეენ თითონ ვაგროვებთ შემოწირულებასო.

მამის მიერ თქმული შევასრულე; იმ დღიდან, მასწავლებელმა მოწიმებით დამიწყო ცერია და როცა გაკვეთილს ვერ მიუგებდი, (უნდა გამოვტყდე რომ ხშირი იყო ასეთი შემთხვევა) სასკოლო დაფთარში ჩემი გვარის გასწროვ მდებარე ოთხუთხედს, მაინც არ მოვალინებოდა ლამაზად გამოყვაინილი ორიანი.

ბეკო განხე დგის, ის არასოდეს არ დატიქტებულა მის გარშემო დატრიალებულ ცხოვრებაზე.

გამოყოფილად გრძნობს მისგან თავს.

ეხლა კი ჩააფიქრა ბესოს სიტყვებმა.

ომში გაწვევა ისე მოულოდნელია მისთვის, რომ პირველად იჭვი შეიტა ბესოს მიერ თქმულის სისწორეში.

უცრიად მისი ფიქრი ამხანაგებზე გადაეიდა, ყველანი მოხიკითხა და დაინახა, რომ ისინი რამდენი ხანია ომში იმყოფებიან, თურმე მათი სიშორე აქამდის არ შეუმჩნევია ბეკოს.

— ზარშან ვალიკო წაიყვანეს, ზინობეს ვაერ; ერთი ზაფხულით არის ბეკო მასზე უფროსი;

აქ ბეკოს მოაგონდა ვალიკო, რომელმაც ჭრილობა გაიკეთა წვიმზე და ექცის თვე სანთელი იღო ზედ, რომ არ მორჩინოდა და საეჭიმო შემოწმებაზე უვარგისად ეცნენ.

— არ გაუქრა საწყალს, მიუხვდენ;

თვალშინ წარმოუდგა გაშიშელებული ვალიკო, ექიმები ზინჯავენ; ვალიკო სწევს მარჯვენა ფეხს, სცდილობს დაახახოს ექიმებს მტკიცანა ადგილი, მაგრამ ისინი უურადლებას არ აქცევენ და სხვა ადგილებზე უკაკუნებენ თითებს.

მერე ვალიკოს ადგილზე ბეკომ თავის თავი წარმოიდგინა; სახე ისე მოექცა, თითქო მართლა ექიმების წინ ზის, მტკიცანა ფეხით.

კიშკრიდან დაბრუნებულ ბესოს დაახვამ უცრად გააბრაზა:

— დედას გიტიარებ რომ წამიყვანონ!

ჩაილაპარაკა და ბიჭების სადგომისაკენ გაეშურა.

* * *

სუფრა აიგანზე გაშალეს.

თავში ბარნაბა ზის. მარჯვენა მხარეს „მამა“ ჯიბრაელს და მარცხენა მასწავლებელს, მათე სანაძეს, უკირაეს; მათეს გვერდით ზის ახალგაზრდა აზნაური. აზნაური, მის პირდაპირ მსხლომ მარინეს თვალებით ეაშიება და ყველაფერზე, რასაც მარინე იტყვის, ისე გულიანათ გადიხარხარებს, თითქო დიდათ ენა-მახვილ ადამიანს უსმენდეს; რა ჰქონა! ჯერჯერობით, ამდენ ხალხში, ქალისათვის თავის მოსაწონებლათ სხვანაირი საშუალება არ ეგულება.

ლადოს არ ახსენებს ავტორი, რაღანაც ვახშმის გათავების შემდეგ მას დასაძინებლათ გაისტუმრებენ.

სუფრის ბოლოზში ზის ბესო. წამდაუწუმ დგება და უჩინარ მოახლებს განკარგულებას აძლევს.

მაზრის უფროსის გრომოვის მეუღლითურთ შემოვრების (ორთავენი დაბალი და ჩამრგვალებული ტანისა არიან) შემდეგ, ბესო სრულიად ჩამოშორდა სუფრას, მისი აზრით, სუფრაზე იმდენმა წარჩინებულმა კაცმა მოიყარა თავი, რომ მისთვის უხერხული შეიქმნა სუფრის წევრობის გაგრძელება.

მაინცდამაინც არავინ შეჰპატიუებია.

პირველად ყველანი დუმილით შეექცეოდენ ვახშამს, თითო-ოროლა მოსაკითხს სიტყვას თუ გადაუგდებდენ ერთმანეთს, კარგად დანაყრების შემდეგ, ბარნაბამ ტუჩები მოიწინდა და გამაძლარ კაცის საქციელით გაიშალა. სკამზე;

ნელ-ნელა წაბაძეს დანარჩენებმა,

მხოლოდ ჯიბრაელის კბილები კვლავინდებურათ აკრახუნებენ შემწვარ ვარის ძვლებს.

საშინაო ამბებით, უხასიათოდ დაწყებული საუბარი გაიზარდა, გაფართოვდა და როცა ყველასთვის საინტერესო თემა, ომი, მონახა, გაცხოველდა.

ჯიბრაელმა ჭამა მოათავა და ეხლა შესაფერ აზრს ეძებს, რომ საუბარში ჩააგდოს და მონაწილეობა მიიღოს.

— ამბობენ, იტალიაც ჩვენ მოგვემზრობაო;

შენიშვნა მან, მასწავლებლის სიტყვის გათავების შემდეგ; მათე გერმანიის გაწვრთვნის და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებულ სამხედრო ძალებზე, კოალიციის გამარჯვებას იქვის თვალით უცემრის.

ბარნაბამ გამოტოვა ჯიბრაელის შენიშვნა და მიმართა მასწავლებელს.

— რა ხან ინგლისი ჩაერია ოშში, აწი გამარჯვება ჩვენია; გაცუდილ მონადირეებივით მოიმწყვდევენ შენ გერმანიას შუაში და ისეთ დღეს დააყენებენ, პოლონეთი კი არა, თავიც დაავიწყდეს.

— ჯერჯერობით მოდიან წინ; რაღაც ორმოცი ფუთიანი ჩე-მოღნები ჰქონიათ, გადმოაგდებენ ჰაეროპლანიდან და ქუთაისის ხელაქალაქიდან, ნაცარისა და ტუტის მეტი არაფერი დარჩება, ისე და-ანიავებს თურმე ყველაფერს.

ჩაერია აზნაური, რომელიც მარინეს ალბომისათვის სატრაფიალო შაირს თხზავდა.

— ნაპოლეონმაც ქე მოიარა მოსკოვი, მარა რა წაილო! იმპერატორი ალექსანდრე დაპატიჟა პარიჟში—თუ მა ხარ, წმიდა ელენეს კუნძულზე ვაპირებ დასახლებას და გამაცილეო!

წაინა-მახვილა ბარნაბაშ.

მაზრის უფროსის გარდა ვერავინ გაიგო მისი ენამახვილობა; ამიტომ ის დაემოწმა.

— მართალია, ჩვენ (რუსებს) ისეთი ხასიათი გვაქვს; ჯერ ახლო მოუშევებთ მტერს, გავათამაშებთ, მერმე გამოვენთებით და სულ კუდით ვასროლინებთ ქვას.

— ძეირად ჯდება მაგ თამაში; დალესილი ვაჟკაცები თუ ომში გაწყდებიან და დასახიჩრდებიან, ქვრივ-ობლებით და მათხოვრებით აივება ქვეყანა;

უქმებად მიუგო მასწავლებელმა, მოაგონდა ფრონტზე მოკლული მას;

— სამშობლო, მათე ნიკიფოროვიჩ; სამშობლოსათვის ჯვარზე-დაც უნდა ვეწამოთ!

წამოიძახა ბარნაბაშ.

დალიეს მეფისა და სამშობლოს სადლეგრძელო, მაზრის უფრო-სმი დაახასიათა მეფე, როგორც მართლმადიდებელ საწყმოსი, კი-თილი მწყემსი.

— პატარა ერის დაცვა, დიდი ერის მოვალეობას შეადგენს; ჩვენი ხეთისნიერი მეფე გამოექომაგა პატარა სერბიას, რომ გადაერჩინა გერმანელების აოხრებისაგან.

დააბოლავა სიტყვა მაზრის უფროსმა.

— რა გამოვიდა მერე, სერბია მაინც ვერ გადაურჩა განადგურებას.

დააყოლა მასწავლებელმა გამოცლილ სასმისს;

— პრინციპშია ბატონო საქმე!

წამოიძახა მასწავლებლის „ჩამორჩენილობით“ გაოცებულმა ბარნაბაშ, მაზრის უფროსის თანდასწრებით ასეთი საუბარისათვის-

ტექნიკის აქვთ კავშირით;

ჩამოვარდა დუმილი.

— გამოყრუებული ვართ ბარნაბ ბარნაბის-ძევ, ერთი ღამის წვიმა, ერთი კვირით დაკეტავს გზას; განეთებს თვეობით ავიან-დება;

სთქვა აზნაურმა, მან შენიშნა ბარნაბას სახურ უქმაყოფილება და მასწავლებელის მიერ ომის პრინციპის „უცოდინარი“ ზე-თობას გადააბარა.

რადგანაც სუფრაზე არაფერი თქმულა შემდგომ, მეტოხელი-სათვის საინტერესო, ამიტომ ავტორი ნებას ძლიერს თავის თავს და-შალოს სუფრა და მოასვენოს მოქანცული ბარნაბა.

* * *

ჩქარი ბატარებელი შეგრიალდა რიონის სადგურში. რონდო-ებში შეიქნა ჩოქელი, რომელსაც ყოველთვის მატარებლის სად-გურზე გაჩერება იწვევს. კონდუქტორები გადადიან რონდის ერთი თავიდან მეორეში და განურჩეველი ხმით, თითქო მათი ძაბილი არა-ვისათვის არ იყოს ყურად' უები, გაიძახიან: პერეადკა რიონ, პე-სადკა —

მეორე კლასის კონდუქტორი მშვიდათ დგას დერეფანშე და ფანჯრიდან უგაჭრება ცხელი ხაჭაპურების გამყიდველ გოგო-ბიჭებს;

ქუთაისში მიმავალი (რიონის სადგურზე გადმოსასვლელი) მას ჰყავს ერთი ქერა-თმიანი მგზავრი, რომელიც სადგურში შემოსვლი-სას გამოალვიძა და გააფრთხილა.

მაისის დილით დაცვარული ბალახი, ახლათ შემწვანებულ ხეების სურნელი, ხორბალით დატეიროთულ რონდოების ქვეშ ჩიტების მხია-რული ერიამული და შორს, ნისლში ოდნავ შესამჩნევი მოხაზულობასი მთებისა, თვალშიშვდენელ და ერთ ფეროვან ველების შემდეგ, რომელიც მატარებელმა გადმოლაბა მოსკოვიდან — მეორე კლასის კონდუქტორს მხიარულ განწყობილობაზედ აყენებს; ამიტომ სადგურზე ხილის ან სხვა რამის ყიდვის დროს, არ ხმარობს მუქარას და კონდუქტორების საერთო ჩვეულებაც კი (რაგინდ იაფად დაუფასონ საქონელი, ნც შეიგინებიან და ებრაელივით ნახევარს შეაძლევინ) გადავიწყე-ბა დღეს ჩვენს ნაცნობს;

მხიარულად ელაზლანდარება ბიჭებს და მათ შეუმჩნევლად, ფალებს უკეთებს მუხლებ ჩატუშიანებულ და თმა გაბურძგნვილ მიზრდილ გოგონას;

კუპეს ქარები გაიღო.

ერთმა გამოუძინებელმა მგზავრმა მოიხმო კონდუქტორი და ლიმონათის ყიდვა—სთხოვა, კონდუქტორი მოშორდა ფანჯარას და სანაი კუპეს გაცილდებოდა, ზემო საწოლზე ქერა თმიან მგზავრს მოჰკრა თვალი, პირი კედლისაკენ შეუძლებია. მძინარე თუა?

— ჩასძინებია ოჯახორს;

წაილაპარია კონდუქტორმა, მიუახლოვდა და რიდით ჩასძახა:

— აქ უნდა გადმობრიძანდეთ ბატონი, ქუთაისში მიმავალი მა-
ჟარებდა და რეა ხაზში დგას!

ქერა თმიანი გადმობრუნდა, სახეზე ნამდვილი გაკვირვება აღ-
მექმდა! —

— უკვე რიონში ვართ! —

— დიამ ბატონი; —

მიუგო კონდუქტორმა და დასტოვა კუპე.

ჩამოკრეს მეორე ზარი, ქერა-თმიანს მაინც არ დაეტყო აჩქა-
რება.

საწოლიდან ძირს ჩამოვიდა, მაგრამ არა იმ-გვარათ, როგორც
ჩვეულებრივათ ჩამოდიან მგზავრები, არამედ ჯერ მოიკეცა, სასთუმალ-
იდან საფეხსაცენ გაჩინჩდა და ისე მოეწყო, რომ ზურგი სადგურზე გადა-
მყურე ფანჯრისაკენ მოექცა; შემდეგ თაროზე შემოდებულ ჩემოდანს
ხელი წააკლო და ნელა ჩამოეშვა.

კუპეში ერთი ქვემო საწოლი დაკავებული არის, ქერა თმიანი
მეორეზე ჩამოჯდა და ფეხსაცმელის სწორება დაიწყო. ფეხსაცმელის
შებნევას თუ გაწმენდას თამამათ ეყოფოდა მესამედი იმ დროისა,
რომელიც მას დაახარჯა ქერა თმიანმა.

ეტყობა რაც შეიძლება მეტ ხანს უნდა დაჰყოს კუპეში; მისი
გამოზომილი და თავადაქტერილი საქციელიდან ჩანს, რომ სურს კუ-
პეში შეგვიანება სხვის თვალში მიღებულ იქნას, როგორც აუცილე-
ბლობრით გამოწვეული.

როცა ჩქარ მატარებელს მესამე ზარი მისცეს, ქერა თმიანი
შეტორტმანდა, თითქო მალლობიდან გადმოსაგდებათ წაუბიძგა მოუ-
ლოდნელათ ვინმემ ხელი;

თავი შეიკავა, მხოლო წამით, დაწყნარებულ სახეზე საშინელი
სისწრააფით შეუთამაშდა მარცხენა საფეხთქელი და გამოაჩინა, რომ
დინჯი მგზავრი დიდ ლელვაშია, მაგრამ გასაოცარი ნებით იქერს
თავს, რათა მისი საქციელი არაფრით გამოირჩეს სხვა მგზავრთა
საქციელისაგან, პაპიროსი მოსწია, ჩემოდანი აიღო და დერეფანში
გამოვიდა, ფანჯარიდან ნაბიჯის შეუნელებლივ შეავლო თვალი
ორ ჩატარებელ შუა მოქცეულ სადგომს.

ალბათ ისეთი ვერაფერი დაინახა, რომელიც მდგომარეობის
შეცვლას უკარნახებდა მას.

დერეფანი გაიარა, მოუხვია და სადგურშს მეორე მხარეზე
ვადასავალ კიბეს შეუდგა ფეხი, კიბის საფეხურები ვიწროა, ფეხი
რომ არ ააცდინოს, ძირს დაიხედა; როცა უკანასკნელ საფეხურზე
მოექცა, გაიმართა და უცებ, მიწაზე დასაბიჯებლათ გადმოლებულმა
ფეხმა მოძრაობა შესწყვიტა და გადმოკიდებული დარჩა.

ქერა თმიანმა დაინახა მის პირდაპირ, ფარნის ბოძე, მიყუ-
დებული უანდარმი.

სადგურზე უანდარმი შინაური კაცია.

მაშ რა არის მოულოდნელი?

არაფერი,

და წამითაც არ შესდგებოდა ქერა-თმიანი, რომ იმ ინსტიქტით,
რომელიც მულმიც საშიშროებაში და დაჭრის მოლოდინში მყოფ
ამდამიანს სასტიკათ გამახვილებული აქვს, არ ეგრძნო კიბეზე ჩამოს-
ვლისას მისი მშვერავი უცხო თვალები.

როდესაც თავი ასწია, უანდარმი უდარდელ სახით ებაასებოდა
კონდუქტორს.

ქერა თმიანმა უანდარმის უდარდელობაში ამოიკითხა:

— მიგიხედი, ამდენ ხანს რატომ არ გამოჩნდი: შენ ელოდი
ქუთაისის მატარებლის ჩამოიდგრამას, რომ, შიგ პირდაპირ, სადგურზე
გადმოუსველელად გადაჯდომილიყავ; გსურდა აგეცდინა ჩემთან შეხვე-
დრის შესაძლებლობა; ამაოდ შეიღებე წუხელ, მატარებლის საპირ-
ფარეშოში, თმა, და გაიპარსე შავი, სქელი ულვაშები, მაინც გაები
ქერა-თმიანო!

ქერა-თმიანი არ შესდგა:

სანამ მეორე მატარებელს მიაღწევდა, გაიღიქრა:

— დასხლეტის საშუალებანი ვეძიო თუ განვაგრძო გზა!

უკანასკნელი არჩია.

რონოდაში, რომელიც თანდათან იქსება ხალხით, ფანჯარას-
თან მონახა დასაჯდომი.

ფანჯარა გააღო და გადმოიხედა.

ჩქარი მატარებელი დაიძრა.

კონდუქტორი მოშორებია უანდარმს.

ქერათმიანი მიაჩერდა მას;

ეტყობა გამოუცდელია!

გაიფიქრა მან, როცა დაინახა, რომ მარტო დარჩენილი უანდარ-
მი დიდ უხერხულობას განიცდის; აქამდე, ძალდატანებულ სიმშე

დას და უდარდელობის მინქმალვაში კონდუქტორთან პაასი შეელო-
და; ეხლა კი, მოსაუბრის წასელის შემდეგ, დიდი სულმოკლება დაე-
ტუ.

გაჭირვებით იმაგრებს თავს, რომ ქერათმიანისაკენ არ მოიხე-
დოს და მიზეზი მისი აქ დაომისა, არ გამოამელავნოს.

კისერი გაშეშებული აქვს აღლუმშე მდგომ ჯარისკაციით.

უნდარმა ვერ აიტანა თავისი დაჭიმული მდგომარეობა და
დაიწყო სადგომშე სეირნობა.

გაუარა ფანჯარას.

ქერათმიანმა ჩაუთქეა:

— თუ გამობრუნებამდე მოიხედა ჩემსკენ, მართლა სულწა-
სული, მეძებარი ძალი იქნება.

არ გაევლო უნდარმს ათი ნაბიჯიც, რომ შესდგა; ჯერ ცას
მოავლო თვალი, მერმე პირდაპირ მდგომ რონოდას; რონოდიდან
რონოდას გამოაყოლა და როცა ქერათმიანის ფანჯარას მიაყენა სუ-
ლელური თვალები, დამშვიდდა და განაახლა სეირნობა.

— რა რიგად ეშინიან რომ არ გავიძეო; —

წაილაპარაკა ქერათმიანმა და ჩაჯდა.

— მუხლებში ქარი უნდა მედგეს, რომ მოვახერხო დაძრომა,
შეუმჩნევლად ვერ გადაეიპარები მატარებლიდან, სხვებიც თან ახლავს
უთუოდ, დამედევნებიან, მომქლავენ!

უნდარმი სადლაც მიიმალა.

მატარებელი დაიძრა.

ქერათმიანმა თავისუფლად ამოისუნოთქა; არა იმიტომ, რომ
საფრთხეს გადარჩა, პირიქით, იგი შეიძლება უფრო გაძლიერდეს.

ქერათმიანი გაბედული, შეუპოვარი ვაკეაცია; იჭვებშე დაუნ-
დობლობა მისი ხსიათის ძირითად თესების შეადგენს.

ჯერ კიდევ ბავშობაში, სამწყესურში შემოლამებულს, ხშირად
უხდებოდა ხშირი ტყის გავლა.

ბუჩქების იდუმალ გაფაჩუნების, შორი ახლო ხმელი ტოტის გა-
ტების, ან მთვარიან ღამეში საგნების ჩრდილთა ფანტასტიურ მოხა-
ზულობის გამო, არას დროს არ მოუკურცხლავს შინისაკენ და მის-
გან არაენის სმენია, — ქაჯი დამედევნა, ჰინჯ ვნახე წყლის პირასთ —
თუმცა ქერათმიანის ტოლები იმავე ტყეში ყოველ დღე „ხედებოდენ“
ქაჯებს და ჰინკებს, რომლებსაც ზლაპრებით გამოკვებილი გონება
გლეხი ბიჭისა პირველ შიშისთანავე წარმოიდგენს.

ქერათმიანს თუ რამე აღუძრავდა იჭვებს გზაზე, ვერ მოისვე-

— სანამ არ გამოარკვევდა მიზეზს და სადაც ბიჭებს ჰინკები
გად

ელანდებოდათ, იქ ქერათმიანი ყოველთვის ბაყაყს ან ხიდან ჩამოვალი, დნილ კაცისმაგარა ჩრდილს ნახულობდა.

მერე არხეინად გაუდგებოდა გზას.

(უნდა ითქვას, ხასრათის ამ ნაწილით ძლიერ პგვანდენ ერთმანეთს დოფინა და ქერათმიანი)

ახლაც — ქერათმიანის თავისუფლად ამოსუნთქვეა ნიშნავდა: — გამოვარკვიე და დავტრშმუნდი, რომ ეანდარმმა მიცნო მეო.

მართალია უანდარმი არ იყო ბაყაყი,

ამ შემთხვევაში ქაჯზე უარესი „ზიანიც“ შეეძლო მიეცა მის-თვის, მაგრამ ქერათმიანს მაინც ესიამოვნა, რაღვანაც წონასწორობიდან გამომყავანი იქვები მოიშორა და მტრის სიახლოვე იგრძნო, მისი სახე დაინახა.

— აწი თავდასაცავ ზომებზე ვითიქროთ; რატომ არ დამატუ-სალა საღვურზე? წამოიჭრა კითხვა:

— ააა, იმ რატომ,

ჩაიხრიალა მან, როცა დაინახა რონოდაში შემომავალი ნაცნობი უანდარმი.

— ჩემგან წინააღმდეგობის გაწევას ელოდა; მიმავალ მატარებელში ჩამიტირა; რონოდაში ქალების გარდა, ბავშვებიც არიან, იარაღს ვერ მოიხმარ: თითები ინსტიქტიურად ჩაიპარენ ჯიბეში და ერთგულ პარაბელიუმის კონდახს შემოეხვივნენ.

ქერათმიანი მარჯვენა ფერდით ფანჯარას მიეყრდნო.

უანდარმი ხელის რხევით მოდის.

სკამების სამი რიგი აშორებს ქერათმიანისაგან; აგერ ერთს გამოსცილდა; რამდენიმე ნაბიჯი კიდევ და მოათვევებს მანძილს და მგზავრი, რომელიც ათასეულ ვერსის სიგრძეზე განუწყვეტლივ ერიდებოდა და უსხლტებოდა ამ რამდენიმე ნაბიჯის მოახლოვებას, მოიმწავდევდა:

გზა ერთია.

ქერათმიანმა ფანჯრის სიმაღლე მოზომა; მარჯვენა ფეხის მუხლი ჩამახახივით შეაყენა და ის იყო ტანი გაძაბვა და გადახტომა დააპირა, რომ ამ დროს, უანდარმი უკანასკნელ სკამთან შეჩერდა, ფართედ გაშლილი მგზავრები მისწი-მოსწია და დაჯდა.

პაპიროს მოუყიდა და ყალბი ცნობების-მოყვარეობით აათვალიერა მგზავრები.

კევლაზე დიდხანს ქერათმიანზე შეაჩერა უტიფარი თვალები.

— ქუთაისის საღვურზე დამატუსაღებს!

ქერათმიანმა ასჯერ ასწონა ის პირობები, რომლებსაც შეეძლოთ
გაქცევისათვის ხელის შეწყობა, მაგრამ არც ერთი კუასთან ახლო
არ მიუღა.

— დაშინებული თავეი ხომ არა ვარ, რომ მაშინ გადავხტე,
როცა ის არხებინათ ზის და პაპიროსს აბოლებს; ლიანდაგზე მოყრი-
ლი ნატეხები სიპი ქვისა, უფრო აღრე წამალებინებენ საიქიოში ბა-
რათს, ვიდრე უანდარმის ტყვები.

შესაფერ პირობების გამოჩენამდე, ძველი წესით მოქმედება
არჩია, გაშალა გაშეთი, შუა-ვული შეუმნევლად გახვრიტა თითით
და დაუწყო უანდარმს ზერვა, შორიდან კითხვაში გართულ კაცის
შთაბეჭდილებას სტოვებს.

* * *

ქერათმიანი სხვა მგზავრებთან ერთად გადმოვიდა სადგურზე.

სვეტივით აყუდებულ უანდარმებს გვერდი ჩაუარა და უკან ერ-
თხელაც არ მოუხედავს, ისე გავიდა, პირველი კლასის დარბაზით,
ქუჩაზე.

დაიკირა ეტლი, მისამართი გადასცა, ფული იქვე გადაუხადა და
გაწია; ასე დიდებულათ ჩატარდა ყველაფვრი; ქერათმიანმა გაიფიქრა;

— ნუ თუ შევცდი! არ უცვნივარ, თორემ აქამდე რატომ არ
გამქააჩი? — ეტლის რეზინიან ბორბლების მწყობრი გრიალი დამამშვი-
დებლად მოქმედობს ქერათმიანზე.

— თერთმეტი საათია, მაგდანი შინ იქნება; სრულიად არ მი-
მელის, საიდან სად!

ეტლმა თბილისის ქუჩაზე შეუხვია; მოხვევის დროს ქერათმია-
ნმა უნებურათ გაიხედა სადგურისაკენ. სახე ისე გაუნათდა, თითქო
უდიდესი, აქამდე ჩაბნელებული ამოცანა ამოხსნა.

უკან მოქროდა ეტლი, შიგ მხართებოშე წამოწოლილი უანდარ-
მების სახეები ჩანდა.

— ძალლი!

წაიჩურჩულა ქერათმიანმა;

— უნდა ის ბინაც დაზევროს, სადაც მე ჩამოვხტები; ეხლი კი
მესმის, თუ ამდენ ხანს რატომ არ გამოიჩინა თავისი მსუნავობა; ორი
კურდლელის დაჭერა სწადია.

ეტლში გასწორდა, მეეტლეს სიჩქარის მომატება სთხოვა.

— საით წაეიდე, მაგდანას პირდაპირ პირდაპირ რუასკენ
გადაფუხვიო? გზაში დამიკირავდა მარტო მარტო მარტო მარტო

ამ ფიქრებში გართულმა ვერ შენიშნა, რომ მაგდანის სახლს უკვე მიახლოებოდენ და კოფიზე შემობრუნებულ მეეტლეს მათრახი გაეშვირა სახლისაკენ და ეუბნებოდა—აქ შევაყენო ეტლიო?

ფიქრის დრო არ არის, უანდარმა უთუოდ მოჰკირა თვალი მეტლის მათრახს და მიხვდა ყოველივეს; გზას არ გააგრძელებინებს.

ეტლი მაგდანის სახლის ქვემოთ ჩაწევინა და ორი მოქრილი ნახტომით პირველ ღია კარებში შეიძლა.

* * *

ლადო წიგნების ანაბარა იზრდება.

რომანებით განახებული, წიგნებიდან ხედავს ცხოვრებას. მისი მომწიფებული გონება ყოველ უკანასკნელ წაკითხულ წიგნს ქმედება გავლენაში. ყოველთვის სწალია იმ კაცს დაედაროს, რომელიც უკანასკნელ რომანის გმირია,

ცდილობს საყვარელ გმირის ჩვეულებანი შეუთავსოს თავის ცხოვრების ყოველდღიურობას, ცდილობს გამონახოს თავის ხასიათში იმნაირ მისწრაფებათა ჩანასახები, რომლებიც ქალალდიდან გაკეთებულ კაცს ახასიათებს.

გალატაკებული მდიდარი, შებორკილი ყაჩალი, გამდიდრებული მათხოვარი და ვაუკაცი მტარვალი ლადოს სიმპატიებით სარგებლობენ;

გმირის გარეგანი ეფუქტიურობით ისე იხიბლება, რომ ცუდი მხარეები შეუმნიველნი რჩებიან მისთვის.

ლადომ არასდროს არ აპატია სპირიდონ მცირიშვილს, ტარიელ მკლავაძის მკვლელობა.

— ხელით უნდა გასწორებოდა, ტყვიით მოკვლა რა ვაუკაცობა არისო?

ვილაცას, მკვლელობის დამსწრეს, სიტყვებმა რამხელა ვაუკაცი, რა პატარა ტჭეიას მოუკლავსო—ტარიელი უფრო შეაცოდა და კრილობა მისი ფართე მკერდისა სამუდამოდ აღუბეჭდა გონებაში.

საერთოდ ვერ იტანდა კაცის მკვლელობას, თუმცა ალსანიშნავია ერთი გარემოებაც:

„ელგუჯაში“ და „მამის მკვლელში“ დახოცილ ყაზახებისადმი ლადო გულგრილობდა; არა იმიტომ, რომ მათი სიკედილი სამართლიანად მიაჩნდა; მისი გულგრილობა ყაზახების უცნობობით იყო გამოწვეული.

სხვა იყო, როცა მოთხოვბის კაცი ან ქალი მთელი თავის არ-გერებული შემდეგ და-რჩებოდა ახალგაზრდა შეუვარებული და მიუღწეველი მიზანი. სატრ-ფოს ბედი და მიუღწეველი მიზანი აცრებლიანებდა ლადოს.

რა გინდ ბოროტი და უზნეო კაცი შეხვედროდა სტრიქონების დახლართულ გზებზე, ერთი რაინდული, საფრთხესთან დაკავშირებული საქციელის ჩადენით შეირიგებდა მას ლადო.

— გაგელახა, საცოლე წაგერომია, ციხეში გამოგემწყვდია, სხვარამ მოგემოქმედა სამაგიეროს მისაზლავათ, მხოლოდ არ უნდა მოგექლა! ეუბნებოდა გულშელონებული ლადო გაბოს, როცა ის სულთ-მობრძვ დათიყოს თავშე ადგა.

— ჩემი საცოლე, პეტო? შეეკითხა გაბრო.

— დათიყოს ხომ არ უნდოდა მათი სიკედილი; დათიყო არ იყო, თქვენი გულისათვის, ბნელი ლაშით რომ დაესხა ჯარისკაცებს და დაგიხსნათ ტყვეობიდან?

ეს კამათი გრძელდებოდა, სანამ „გლახის ნაამბობის“ ნაცვლად ახალი წიგნი არ განჩენდებოდა ლადოს სასთუმლის ქვეშ.

ყოველ წიგნის წაკითხვით ეზრდება, წაკითხულის მოყოლის, საკუთარ შეხედულების გამოთქმის წადილი.

იმდენათ მძლავრია ეს სწრაფვა, რომ ყველაფრის გავონების დაპირებით და ვედრებით მიმართავს ლადო მარინეს — მომისმინეო —

მისი წადილი იშვიათად პოულობს ოჯახის გამოხმაურებას, ხშირად აბუჩადაც იგდებენ.

სკოლის ამხანაგებოთან კავშირი, სკოლიდან გადმოსცლისთანავე წყდება, მათთან სიარული ან მათი შინ მოწვევა აკრძალული აქვს.

(გაგრძელება იქნება)

IV. ნაროვაზვილი

შოთა რეზა საგარეო სოცელი

შ რ ი მ ი ს ე რ თ ი ა ნ თ ა

ლექსი მეოთხე

თქვენ იცით ჩვენში, სად ოჯალეში
შევე სავსებით ამოგდებულა —
ვაზის კულტურა სოფელს მოედო
და გაიზარდა მოქარებებულად
მოთხოვნილება ნერგეულობის.

ყოველ გლეხს უნდა პქონდეს ვენახი,
 მაგრამ მიწა, რომ გადააბრუნონ,
 და შეიძინონ სხვა საჭირო რამ
 ყველას არ შესწევს ამის ძალონე;
 ამიტომა სურვილი რჩება
 მრავალთათვის მხოლოდ სურვილად—
 სანამ არა აქვთ შეგნებული
 ერთიანობა სასარბიელოთ;
 ერთი ან ორი მიზანს წვდება და
 აქვთ ვენახები სახარბიელო.

კულაკს, რომ კითხოთ, ჩემობის დამცველს,
 ვისაც ნაყოფი მოუვა ბევრი,
 გაიძვერულად პასუხებს გაგცემს—
 ერთიანობის მოქიშპე მტერი.

და აგრანომი, ვინც ძველი იყო,
 მსოფლმხედველობით კულაკობისა,
 ჩვენს სოფელშიაც ასჯერ უარყო
 ერთიანობა ჩენი შრომისა.
 რამდენჯერ უჭივამს: განკერძოებით
 უნდა მოაწყოთ მიწა და, ჩვენში
 იყო ამ კაცის ყურისმგდებელი
 სამეურნეო სასწავლებელი.
 გადავაყენოთ, ჩვენთან მოვიდა
 სხვა აგრანომი ახალი გრძნობით
 და ძველ აგრონომს შეხვდა პირისპირ
 ახალი კაცი, მისთვის გეგმების
 ისევ ხელახლად გადაგევმებით.
 ბევრმა დაიწყო ცალ-ცალკე მიწის
 მეტრის სიღრმემდე გადაბრუნება,
 რომ ჩაეყარათ ვაზის ნერგები—
 ამერიკულის ძირზე ნამუნობი,
 მაგრამ ბევრისთვის აღმოჩნდა ფუჭი
 კარჩაკეტილი შრომის ნაყოფი.

უნდა გარდავქნათ მოსახლეობის
 ძველი სოფელი ახალ უბნებათ,
 ამიტომ გლეხებს ახალი კაცი

ახალ წყობაზე ესაუბრება.
 სოფელმაც იგრძნო: ექვს გარეშეა
 ახალი კაცი ეს იგრანომი,
 დღეს, ხვალ, ძველებურ ურთიერთობის
 მას სურს შესცვალოს გარემოება—
 კულაქმაც იგრძნო საშიშროება.

შაინც არ არის ისეთი საქმე,
 სოფელის ფონზე წამოწყებული,
 ის ყველგან არის, კაცი წყეული
 არ შეიძლება არ გაეჩიროს;
 სულ ას მცხოვრებში სამი, ორია,
 მაგრამ მავნე და სულით მძორია,
 მას იმედი აქვს ძველებურ ყოფის,
 რაც ხორც სხმული და ეგზომ მკაცრია,
 ფიქრობს: გლეხებში გამოილვიძებს
 მისი გრძნობების შავი ფრაქცია.

და აგრანომი, ახალი კაცი,
 ულეხებმა ასე რომ იმობილეს
 ებრძვის ყოველთვის, ყველგან ამ კულაქს
 და ყოველ გლეხში კულაკურ გრძნობებს.

აი ამ კაცის ახალი საქმე:
 გლეხები იმის გარეშემოა,
 კოლმეურნეთა ბეჯით მეთაურს
 ერთიანობა შრომის შემოაქვს.

ერთ მშვენიერ დღეს აყარეს ხურგები,
 წინაპართ მიერ ჩალაგებული,
 გაამთლიანეს ყველას თანხმობით
 მიწა ცამეტად დანაჭრებული.
 მეორე დღესვე მოვიდნენ ბარებით
 ცამეტი გლეხი და აგრანომი,
 გულმხიარულად ახალ მიწაზე
 შრომია დაიწყეს ერთიანობით.

მთავარ სახელოსნოში

დაჩაგრული თუ ვიყავით წწინ,
 მიწის დაღათ დღეს ნაბიჯებს ვაჩენთ;
 დაუდეგრად მივისწრაფით სულ წინ
 რომ ეს ლვაწლი მომავლისთვის დარჩეს.
 თუ ოდესმე ჩვენ ვშრომობდით სხვისთვის
 დრო გავიდა გავიმაგრეთ ქედი;
 სჩანს ამაოდ არ დალერილა სისხლი,—
 გამოვჭედეთ საჯუთარი ბედი.
 დღეს შეეხარით სახელოსნოს მთავარს;
 ქარხნის ბური, სადაც ხეებს რუჯავს;
 სადაც ლამით ალარ შოსჩანს მთვარე
 არც კაშკაშებს ზეცის თაღი ლურჯად.
 მშენებლობას ოფლით ნაყოფს ვაძლევთ,
 გამუდმებით ვატრიალებთ მატორს;
 ხალისიან შრომით დიდხანს გავძლებთ
 და არას დროს თავს არ ვიგრძნობთ მარტო.
 ლოკომოტივს ჩვენ თვითონვე ვაგებთ,
 რომ ზიდავდეს მგზავრთა მრავალ ვაგონს;
 ძველ უვარგისს მანქანებს კვლავ ვანგრევთ,
 რომ ახალმა მომავლისთვის გვარგოს.
 ახალ ყოფას ვერ მოუტანს ზიანს
 ქვემძრომ მტერთა გესლიანი ზიზღი:
 ვაძლიერებთ ლიანდაგთა ზრიალს
 და... სხვა ბრძოლის იარაღებს ვისხამთ.
 თუ ვიყავით დაჩაგრული წინედ—
 შრომის დღეებს ვატარებდით ოხვრით:
 აწ, ქალაქის ინდუსტრია მძიმე
 მტარვალს წელში სამუდამოდ მოხრის.

ელიზარ პოლუხლვითი

რძინის ძმები *)

VII

ისე გათენდა ღრუბლების ქვეშ, რომ ერთი სხივიც ვერ გამოეპარ დამამალულ მშეს. სინათლე კი უხვად დაიღვარა კლდეებზე ნაცრისფრად, აქოჩრილ მთებზე მწვანედ, მდინარეებზე კი ბროლივით კრიალა.

ამ გათენებისას თითქოს არავის არ გაულვიძია. არ გაერცელდა საგანთიადო ხმები პატარა სოფლის სიცოცხლისა. მხოლოდ ლაჯანური ბუზლუნებდა რიყის ქვებზე, მხოლოდ ლაჯანური ხმაურობდა თავის პატარა ქალაპოტში.

ეს ხდება ჭილეშში ორპირის პირთან და ემჩნევა ამ სოფელს, რომ რაღაცის გამო ჩაჰევდომია გული, გულჩათხრობილა.

არც საქონლის აშლა საბალახოზე გასარეკად, არც ძალების ყეფა, არც ურმის ჭრიალი და არც კაცის ხმა. მხოლოდ ლაჯანური გაუგებარი ბუტბუტით და სუსტი შრიალი ნახევრად შემხმარ ხეხილთა ფოთლებისა.

პატარა წისქვილი დგას შარა გზაზე. როგორც ლონე-მიხდილი მოხუცი ისე გამოიკერძა ეს წისქვილი. არ ტრიალებს მასში ბორბლები, გაჩერებულია ისიც, თითქოს ამ მოხუც წისქვილს არც კბილები აქვს და არც რამე საჭმელი.

რამდენიმე კაცი ცხოვრობს შიგ. აჯანყებულთა შტაბია მასში მოთავსებული.

წისქვილში შესავალი კარი გაიღო, აქრივინდა გაღების დროს და წამშევე ჩაკვდა. კართან გაჩერდა ულვაშებაშკეპილი შუახნის კაცი. თვალგაშტერებით ჩააკერდა დანისლულ სივრცეს და ორივე ხელით შარვლის სარტყელი შემოიჭიმა, ხონჯარი შეიკრა, მერე ჩექმების ყელებს გადააკრო ხელის გულები და მუხლებამდე ამოსწია.

იქვე მამალმა იყივლა. ვიდრე ყივოდა, წითელი, სისხლივით მუქი ბიბილო ხან ერთ მხარეს უვარდებოდა, ხან მეორეს, მერე კი ფრთხები შეაფრთხიალა, ტანში გაიზმორა. სიმინდის ყანიდან გამოფრინდა ზარდაცემულივით, ეგონა დიღას დაასწრო ადგომა.

*) დასაწყისი იხ. „პროლ. მწერ.“ № 10—11.

— კიდევ ერთი მამალიც დარჩენილა. კარგია. ჩაილაპარაკა ულვაშებაზეკილმა შუახნის კაცმა. შებრუნდა წისქვილში, გამოიტანა ნაჯახი. მამალი ლობეში გაიჩინია, ამ კაცმა კი თავი ჯირკვზე და-ადებინა და ერთი პატარა მოქნევით გააგდებინა.

— ესეც დღევანდელი სადილისათვის... ჩაილაპარაკა თა-ვისთვის.

ორბელიდან კი მოჰქონდა ცხენი. ლაყუჩებიდან ეწვეთებოდა თეთრი ქაფი და ტანიდან კი ოშხივარი ასდიოდა. წინ წავარდნილი მხედარი მარცხნა ხელით ჩასჭიდებოდა ფაფარს, კისერზე კი შემოე-ხვია გაშუცვილი აღვირი.

— ირბინე, ლურჯავ!.. ამ სიტყვებს მხოლოდ ფიქრში ამზობდა მხედარი და გაფიქრებასთან ერთად მათრასს უქნევდა.

მიჰქირის მხედარი. ახალგაზრდა, წარბზე რომ ქრილობა აქვს, ნერვიულად ამოძრავებს ხოლმე სახის ცალ მხარეს. ზურგში რჩება ცხენის ფეხის ხმა და აშლილი მტვერი.

გამოჩნდა კილეში. კილეშში წისქვილი და წისქვილთან კიდევ შუახნის კაცს მოესმა კენების ხმა. გაიმართა წელში. ნაჯახი ხელი-დან გააგდო და კარგა ხანს გაშტერებით უცქერდა მხედარს. ვერ არკვევდა ბუსუსიან სიკრცეში.

მოვარდა კიდეც. გააჩერა მხედარმა ცხენი და ელვის უმალ გადმოხტა უნაგირიდან.

— ამხ. გურის გაუმარჯოს!.. მიესალმა დამხედური. ჩამოართვა ცხენი მარცხნით, მარჯვენა გაუწოდა.

— ამხ. ხეცურიანს ვახლვარ. უპასუხა გურიმ. მათრახი მარც-ხენა ხელში გადაიტანა. ხელი ჩამოართვა, რამდენიმე ნაბიჯი წინ წასდგა.

დააბეჭ ცხენი. წისქვილში შევიდენ.

— ცაგერიდან მოვდივარ. ამბავი მომაქვს მნიშვნელოვანი. სვა-ნიძემ დამიბარა.

ოთაბში მწოლარებმა ნაბდებიდან თავი წამოჰყეს. ახალი ამბის გაგება ყველას გულს წყურვილად ჩაეკიდა. მლვრიე წითელი თვალები ძილგატეხილობის დაღს აჩნევდა მათ.

— აბა, სოქეი, სოქეი. დაიძახეს მათაც და უურები ცქვიტეს. აწეწილ თებეზე სხვადასხვანაირად გადისვეს ხელი.

— რევკომმა გადასწყვიტა მთავრობიდან მოსალაპარაკებლად ხალხი მიიღოს.

ერთხელ უარი შევუთვალეთ, მაგრამ მეორეთ კიდევ ითხოვეს. ლევან დადეშელიანი ამოსულა, თვითონ მას სურს მოლაპარაკება.

— ლევანი?. ვინც არ უნდა იყენეს, მე ვფიქრობ რომ ზედმეტია უკელვეარი ლაუმობა. რას გვიტყვის ლევანი, რას მოგვცემს ის.

— ნუ ჯავრობ, ამხანაგო. მთავარი შტაბი ფიქრობს ლეჩხუმის ხალხის სურვილი საკუთარი თვალით დაანახეოს მათ. ლევანს იმიტომ ვუშვებთ რომ ხალხი იცნობს. სხვას ხომ იცი ახლო არ გავიკარებდით. ერთ დროს ჩვენთან ერთად იბრძოდა თავისუფლებისათვის.

ხეცურიანს სიბრაზე დაეტყო სახეზე. ყელში ბოლობა მოაწვა. უნდოდა გულშივე ჩაეკლა, მაგრამ ველარ მოითმინა და ხმამალლა წამოიძახა.

— მერე რა რომ იბრძოდა. მაშინ სხვა მიზანი იყო, ეხლა სულ სხვა. ლევანმა მიიღო ის, რისთვისაც იბრძოდა. ჩვენ კი ჯერ არ მიგვიღია. მათ იმ მონაპოვარით თავი კმაყოფილათ ჩასთვალეს, ჩვენი ბრძოლის გზა კი ჯერ კიდევ გრძელდება.

— რევოლუციონური შტაბი გიბრძანებს აასრულო რასაც გადმოგცემ. მკეთრი შშრალი კილოთი წარმოსტევა გურიმ და ზეზე წამოდგა. მიმოხედა ირგვლივ და ამ მიმოხედვით სიჩემე დაამყარა. მერე ისევ განაგრძო. მოსახლეობას შეატყობინე სალამოსთვის შეიკრიბნენ აქ. რაზმელებს გადაეცი თავი შეიყარონ იარალით და ფხიზლად იყვნენ. გარშემო სოფლებში უკვე იციან და ისინიც თავს მოიყრიან აქ. ჩამოვა სვანიძეც, მორჩიძეც. ექვსი რაზმელი გაგზავნეობისაზე ლევანის შესახვედრად. ნებადართულია ერთი მხლებელი ჰყავდეს თან. გესმის?!

ხეცურიანმა თავი ჩალუნა. მკლავები ულონოდ დაუშვა ძირს და წაიბუტობუტა:

— გესმის... აესრულებ...

არ ეგონა გურის თუ ასე ეწყინებოდა ეს მშავი ხეცურიანს. არ ეგონა თუ ბრძანების კილოთი დაპირდებოდა ლაპარაკი მასთან. ღრმად განიცადა გურიმ მოსახლეობის შფოთვის მიზეზი. გრძნობდა რომ მას ალაპარაკებდა ის სიძულვილი, რომელიც ეთესა სხვადასხვა წოდების და მდგომარეობის აღამიანთა შორის. ხელი გადაჭეია გურიმ ხეცურიანს და დაბალი ხმით დაუმატა:

— ნუ ჯავრობ, გვინდა ლევანს იმიტომ ვუშვებთ, რომ ფარხმალი დაგვაყრევინოს. ჩვენ ვფიქრობთ პირიქით. რომ დაინახავს ლეჩხუმის მთლიან სურვილს შეიძლება შემოვეირთდეს და მაშინ ჟველაფერს შევძლებთ, ყველაფერს.

მხოლოდ ერთი წუთით გაუნათდა ხეცურიანს გონება, სახეზე ღიმილი გადაეკრა, მეორე წუთში კი ჩაუქრა ის სხივი, თითქოს

რამაც სურდა ეთქვა, მაგრამ უილაჯოთ ხელი ჩაიქნია და კარების კენ გასწია, ნისლში გაეხვია მისი თვალთა მზერა, მისი ვონება.

მზის თვალი გამოჩნდა ცაზე, მზემ თანდათან გააფითხო ნაცრისფერი ბადე შეციებული სივრცისა და სხივები გადმოაპინია.. მთებმა, თითქოს თეთრი ნაბდები გადაისხნეს და წამოდგენ ლრმა ძილის შემდეგ, როგორც საუკნეთა გოლიათები.

იდგა უსიტყვილ ხეცურიანი. ბუნების ამ სურათს ხედავდა ის და იძირებოდა ამ სიძლიერის სიღრმეში.

— გამარჯვებას მოგახსენებ შეილო:— მოესმა სიტყვები ხეცურიანს და მის წინ დაიხატა მოხუცის სახე თეთრი წვერით, დალარული შუბლით.

— გაგიმარჯოს, ბაბუა გიგა. უპასუხა ხეცურიანმა რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც შეეძლო აბნეულობიდან თავის დალწევა.

სოფლის ქრებული იმართებაო, შვილო, და გულმა არ გამიძლო ადრე გამოვემართო.

— დიახ, ბაბუა, იმართება უაზროდ უპასუხებდა ხეცურიანი. ის გართული იყო საკუთარ ფიქრში, საკუთარ წარმოდგენაში.

გიგამ ზურგიდან პატარა ტომიარა გადმოილო, მიაგდო კუთხეში და თვითონაც გდერდით მოუჯდა. ჩიბუბში გამხმარი ფოთლის თაშბაქო ჩაყარა და აბედი ამოილო ჯიბიდან. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ქვამლში ეხვეოდა.

მცირე ხნის შემდეგ წისქერილთან მოაჭენა ათამდე მხედარმა, ჩაცმულობა არა ჰქონდა სახარბიელო, მაგრამ სახარბიელოთ ისხდენ ცხენებზე.

— ამხანაგო შტაბის უროსო, გუშაგების შესაკვლელად მოველით ორბელიდან.

ეხლა კი საკუთარ თავს დაუბრუნდა ხეცურიანი. გაიმართა წელში, თავი ნალლა ასწია, მის წინ ახალგაზრდული სიხალისით სავსე მხედრები იდგენ, თავეგამეტებას მოწყურებული.

ხუთმა კაცმა ორპირის ხიდებზე გუშაგები შეცვალოს. ხუთი კი მექენაში გაემზადებოს. ლეგან დადეშეელიანს დაუხვდეს და კილეშში ამოიყვანოს. ფრთხილად იყავით, გზაში არა ავნოთ რა, მოიქცით თავადჭერილად და თავაზიანად.

ლევანის მოსელა მხედრებისათვის უცხო არ იყო. მათ უკვე იცოდენ ეს ამბავი, ეხლა კი საბოლოოდ დარწმუნდენ მის სიმართლეში და მათ ერთმანეთს გადაპედეს.

— სხვა არაფერი?..

— არა...

ცხენი შეაბრუნეს. ალეირები მისწიეს მკერდისკენ და ცხენებს კისრები მოუგრიხეს. მერე კი მათრახები შემოარტყეს მწვავეთ, ტუ-ცანით და გაქუსლეს ცხენებმა, ააყენეს მტვრის კორიანტელი.

გადმოდგა ნაბიჯი ხეცურიანმა. გააყოლა თვალი მქროლავ რა-ზმელებს და სიყვარულით აესო გული ამ ადამიანებისადმი. შემო-ტრიალდა გარკვეული გადაწყვეტილებით გარკვეული აზრით.

— გური. მომეცი ხელი, ბრძანება უკვე სისრულეში მომყავს, დაუხედებით ლევანს ორგორც საჭიროა. ამ სიტყვებთან ერთად გა-უწოდა ხელიც და მტკიცედ, საგრძნობი სიძლიერით ჩამოართვა.

— წამოდექით, ძმებო, გადასძახა ნაბდებში გახვეულთ და წამში მიანათა ყველას თვალები.

წამოდგენ. ტანთ ჩაიცვეს შემოცვეთილი შარვალ-ხალათი, ტუ-გადახრილი წულები, მკლავებზე და კალთებზე ჩამოძენდილი ძაფებით მაზრები და ჟველა ამაზე აისხეს პირქუში იარაღი მაუზერები, ნაგა-ნები, შაშხანა თოფები.

გარეთ კი ნელინელ თავს იყრიდა გლეხობა. ისინი მოდიოდენ ახლო-მახლო სოფლებიდან ზურგზე გადაგდებული საგზალით და ეწყობოდენ ბალახოვან აღგილებზე დასასვენებლად, ეძლეოდენ მო-ლოდინს. მათ შეატყობინეს რომ მთავრობის ხალხს უნდა მოელაპა-რაკონ და გამოემართენ ჟველანი, ვისაც კი შეეძლო, ვისაც კი სუ-რდა მონაწილეობა მიეღო ლეჩესტრის აჯანყების ბედის გადაწყვე-ტაში.

შუადლის გადახრისას უკვე ავსილი იყო ჭილეში გლეხობით, ლაპარაკი და ხმაურობა იპყრობდა გარემოს. ისინი ასაჩივრებდენ თავიანთ მდგომარეობას და არკვევდენ თუ როგორ უნდა მოქცეუ-ლიყვნენ.

— ლევანა კი არა, ლმერთი რომ ჩამოვიდეს, იმას არ დაუჯე-რებ. ამბობდა ერთი და ხელებს მოუსვენრად იქნევდა.

— თავს გეფიცები, თუ არა ლევანი, ახლოს აჩც კი მოვი-კარებდით. დაუმატა მეორებმ.

— რა გაიგინდათ ე თქევნი ლევანი, ჩაერია ვილაც ახალგაზრდა. ვერ გაიგეთ რომ ის უკვე გადაგვიდგა და ხელები დაიბანა ჩვენგან?

— დაიბანა და საითაც გზა ჰქონია იქით წასულა. მოგებულ-საც ვნახავთ და წაგებულსაც. სთქვა ისევ პირველმა და ხელი ჩაი-ნია, ჯგუფიდან გამოვიდა შტაბისაკენ გასწია.

ისინი კი, მხედრები, მიაჭინებდენ ცხენებს. გული და გონება-უსწრებდა ჭენების სისწრაფეს, კი ყრუ გამოძახილით მიზდევდა ვი-წრო შარას და თვისი ლვიძლი შვილის, ლვიძლი მდინარის ჩხრიალს. უერთებდა ფეხების ბაკუნს.

დალლილ-გაოფლიანებული ცხენები შეაჩერეს ალპანასთან. ვზა-
დაგზა სცელიდენ გუშაგებს, სტოკებდენ დასვენებულებს, მაპყავდათ
თან დალლილნი უძილონი, კვირით მთელი კლდეებს შორის მყოფნი.

და როდესაც და საღამოსქენ გადიხარა, როდესაც დაღამება
დაეტყო ცას, ან კიდევ გინდი რომ ჩიეშვა ამ მთებსა, ამ გორკებსა, ამ
კლდეებს შორის, მხედრები პირისპირ ედგრ ლევანს, ის კი, ლევანი,
ტანდიდი ძლევამოსილი ვაჟკაცი, ლურჯა ცენწე, თერთი ნაბადით,
თეთრი ფაფახით. ერთი ხელი ულვაშთან ქვირა, მეორეთი მათრახი
და აღვირი, ცხენი კი მოუსვენრად აბაკუნებდა ფეხებს ერთი და იგივე
აღვილზე და ლამობდა წინ წავარდნილიყო, გაეტაცა თავისი მხე-
დარი.

— ჩეენ მოგვანდეს თქვენი ლეჩხუმში აყვანა. სოფლის კრებული
მოგელით ამ საღამოსთვის.

ლევანმა დახედა ამ სიტყვების მთქმელს. ლევანმა გაიღიმა, მა-
გრამ ლიმილი ტუჩებზევე ვააქრო, ულვაშის გრეხით დაფარა ეს შე-
ცდომა. უხერხულება იგრძნო მოპირდაპარებ. დაიხედა ტანზე, შემო-
ძენდილი მაზარა შემოიხვია უფრო მტკიცედ, შეიკრა ლითონის სხვა-
და სხვა გვარ ლილებზე, დაიფარა ხალათის მოწყვეტილი საკინძი და
ისევ მიიაცემდა. ლევანი მას აღარ უცემეროდა. ესაუბრებოდა თა-
ვის სიძეს გაჭუა კუპრაშვილს. კუპრაშვილიც ყოველ მის სიტყვაზე
თავს უწევდა, არათევრში არ ეწინააღმდეგებოდა.

— დამტინა!.. გაიფიქრა ათეულის უფროსმა და სხეულში სირ-
ცხვილის ურუანტელმა გაუარა. შურისძიების ზრახვით აენთო და
მოესურვა რამით გადაეხადა.

— აბა, წალით წინ!.. დაიძახა ლევანმი და გადახედა რაზმე-
ლებს.

— თქვენ მიბრძანდით. უპასუხა ათეულის უფროსმა. ჩეენ არ
გვიყვარს მტრების ზურგში ყოლა.

— კარგი. ჩემთვის კი სულერთია. სთქვა ეს, გაარტყა მათ-
რახი ცხენს, გვერდით გაიყოლა და გაუდგა ვზას.

გაპყვენ რაზმელები უკან და თვითეულ მათგანს მიჰყებოდა
საკუთარი ფიქრები საკუთარი აზრები.

ერთი ფიქრობდა რომ ლევანი ვაჟკაცია ნამდვილი, რომ შეხე-
დულებაც და ლაპარაკიც უმტკიცებს ამას. მეორე კიდევ იმას, რომ
ლევანი დიდი მატყუარა უნდა იყვეს, რომ მას თავისი შეხედულებით
შეუძლია შეაცდინოს ერთი კი არა, ათასი კაციც. მესამე კი ათეულის
უფროსი, ასე ფიქრობდა: ლევანი რომ ვზაში დატოვო უკეთესი იქ-
ნება; ერთ ლიმილზე შევატყე თუ რა სურს ჩვენთვის.

და როდესაც ლევანი შიქვროდა, მის ზურგში მიმავალი ათეულის უფროსი მაუზერის ტარს ჩასჭიდებოდა ხოლმე ხელს და უთარებოდა რომლდებოდა იგივე ხელი როცა აგონდებოდა ხეცურიანას სიტყვები: „გზაში არა აენოთ რა, მოიქეცით თავდაპერილად და თავაზიანიდ“...

კლდის კიდურებიდან, თვითეული ხილის ახლოს შესძახებდენ ხოლმე გუშაგები:

— ვინა ხართ, შესდექით—

პასუხობდა ათეულის უფროსი.

— მე ვარ, ხმაზე ხომ მიცნობთ?! სწორედ ეს იყო გასაშვები.

ლევანსაც შემოახეთა ფიქრების ბურუსი. მოაგონდა კმაწვილვაობა, როდესაც ამ მთებში, ამ მიდამოებში შეველივით დაჭროდა: როდესაც ებრძოდა ხელისუფლებას. დღეს კი თვითონ არის ხელისუფლება, თვითონ მას ებრძეიან და მოდის ამ ამხედრებულ ხალხში, შაქარლამით, შარბათით, ბარაგით.

ცხენებმა ხეობა გადაირბინეს. მთებს რომ გამოცდენ გამოჩნდა ჭილები კვრებით და ჩირალდნებით განათებული.

უკეთ შეკრებილან გლეხები. ნახევარზე მეტი იარალშია ჩასმული და გულის ფანკულით მოელიან ლევანს.

შეაკენეს ცხენები ხალხში. ერიამულმა იმატა, სხვადასხვა ხმები და ამძახილები: — წყობის, განცვიფრების, ალტაცების აირია ერთმანეთში.

რაზმელებს შტაბთან მეთაურები დაუხდენ. შორიდან მიესალმენ დადეშეკრიანს და ისევე შორს გადასტყორცნეს თვალი.

— იქნება ჯერ ჩვენ მოვილაპარაკოთ. ყურში წასჩურჩულა კურაშეგილმა ერთ-ერთ რაზმელს. გადაეცით თქვენს უფროსებს, რომ დადაშეკრიანს ასეთი სურვილი აქვს.

— მიაკენა რაზმელმა ხეცურიანთან ცხენი. გადმოხტა. შეეკითხა. პასუხი მიიღო სასტიკი ცივი, უარი.

— მეთაურები რა ვართ, ხალხმა გადასწყვიტოს თავისი სურვილი. ფიქრობდა გულში ხეცურიანი. ასევე ფიქრობდენ სხვებიც და ახლოსაც არ მიიკარეს.

რაზმელები ცხენებიდან გაღმოხტენ. დარჩენ ზევითათ მხოლოდ ორნი, ლევანი და ბაჟუა, ისინი ელოდენ საჯარო კრების გახსნას.

ცა წვებოდა შავი ნისლით სოფელზე. შავი ლამე ეხვეოდა ამ პატარა ჩირალდნებით განათებულ მიდამოს და თითქოს აღრჩიმდა. არც მთვარე იყო, არც ვარსკვლავი, არც ერთი ნაგლეჯი ლურჯიცისა ან თეთრი ღრუბლისა.

შუბლი მოელუშა ლევანს. იგრძნო სიმძიმე მოვალეობის, მდგო-
მარეობის. შემოეხვიერ ყველანი გარს და ათასის შეერა მიაჩერდა
ორ წყვილს თვალებს.

ისხდენ ცხენებზე და მოელოდენ წუთს, როდესაც მისცემდენ
სიტყვის ნებას.

აი დაუნთეს მათ ორი ჩირალდანი და მიუტანეს ახლოს. გამო-
ჩნდენ ნათლად. გარკვეულად დაიხატა მათი სახეები ამ შავი ღამის
ზედაპირზე.

გამოვიდა შტაბიდან ხეცურიანი. გვერდში გამოჰყენა სვანიძე,
მორჩაძე, გური. სიწყნარე ჩამოვარდა ხალხში, გადიშალა დუმილი
და ცნობისმოყვარეობა.

შედგა მალლობზე სვანიძე ხელები ეჭირა დამუშტული, სიმძი-
მებივით ძირს დაშვებული.

— ამანავებო.. დაიძახა მან, აი, გლეხებო, ეს კაცი ლევან
დადეშქელიანია. მთავრობიდან გამოგზავნილი, თქვენთან მოლაპარა-
კება სურს. მეტი არაფერი დანარჩენი თქვენ იცით, დაამთავრა
თავშეკავებული სიშვილით და ძირს ჩამოვიდა.

დუმილი ისევ დუმილად დარჩა.

შემდეგ კი, როდესაც ლევანმა მარჯვენა ხელი გაინთავისუფლა
და ყველას გადაავლო თვალი დაიჭირა სიჩუმე მისი სიტყვებით. ამ
ბნელ, შვეიც სივრცეში სპილენშერეული ზარის ხმასავით ისმოდა
მისი სიტყვები.

მან სთქვა:

— გლეხებო, აბა რას გარგებთ ურჩობა, ან რა გინდათ რომ
ჯანყდებით: იარალი დაყარეთ და ერთგულად ემსახურეთ თქვენ
სამშობლოს, საყვარელ საქართველოს. კიდევ უნდა განეგრძო ლევანს,
მაგრამ რომელიღაც გლეხმა შეაწყვეტინა სიტყვა. ის არ სჩინადა
სიბნელეში, მაგრამ მისი ხმა მოწმობდა ორმოცი წლის მაინც იქნე-
ბოდა.

— ჩენ ველარ გცნობელობთ, ლევან, აი, მე მახსოვს, რო-
დესაც შენ რამდენიმე წლის წინად გვეუბნებოდი; მშრომელი კაცის
სამშობლო ქარხანა და მიწაა, მისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რაღად
გადაგვიდევი ეხლა, ჩენც ხომ მიწა გვინდა, მოგვეცით მიწა.

— მართალია, შაშა... დაუმატა კრებულმა და ერთი წამის გან-
მავლობაში ასტყდა ხმაური.

ლევანმა მკლავი მაღლა ასწია, სიჩუმე სთხოვა ხალხს. მართლაც
დაწყნარდენ. განაგრძო ისევ.

— მე სიკეთეს ფირჩევთ, იარალი დაყაროთ და ჩენ მთავრო-
ბას ჩააბაროთ. მიწა კი, განა მიწა თქვენი არ არის?..

- ჩვენი საიდან არის, შეძლებულთ მაინც რამდენიც სურთ
იმდენი აქეთ და როგორც უნდა ისე იხმარენ. წამოიძახა ერთ-ერთმა:
- გადასახადებმაც გაგვაძვალტყავეს. საწყალ გლეხობას სული
სქვრება, ზოგი კი სუქდება. დაუმატა მეორემ.
- როგორც გენებოთ, თუ ნებით არ გსურთ მაშინ სხვანაირად
მოვიქცევით.

სოქვა ესეც ლევანმა და ცხენის შემოტრიალება მოინდომა,
აპყა მის ბაჭუაც, მაგრამ ხალხმა ყიუინა ასტეხა, მიაძახეს წყრომის
სიტყვები:

- ეგ არის მოლაპარაკება!..
- ჩვენიც მოისმინეთ!..
- ჯერ რა დროს წასვლაა!..

ღრიანცელმა შეაჩერა ლევანი. საზარლად გადუტრიალა თვა-
ლები. მარჯვენა ხელში მათრახი მოიმარჯვა და ბრაზმორეულმა
ხელმა ჰაერი გადასჭრა.

— თუ იარაღს არ დაჰყრით, არაეითარი მოლაპარაკება თქვენ-
თან არ შეგვეძლება. დაგვნებდით, ჩაგვაბარეთ და მერე ვილაპარა-
კოთ. გესმით?!.. მკაცრი, ძლიერი ხმით მოსჭრა სიტყვები ლევანმა
და განიერი მხარბეჭი უფრო გამართა, ჩაისუნთქა ლრმად.

- არ დაგვრით იარაღს, არ დაგნებდებით!..
- გააძევეთ აქედან, სალალატოთ მოსულა!..
- აყვირდენ ისევ და აჩოჩქოლდა ეს ზღვა ხალხი ჩირალდნებისა
და კვრების სინათლეში.
- არ დაგნებდებით?!.. კარგი. თქვენ ოსები გაგიგონიათ?!..
- როგორ არა, გაგვიგონია.
- იცით თქვენ, რომ აჯანყდენ ისინი?..
- ვიცით, ვიცით... პასუხობდენ სხვადასხვა ხმები.

— ჩვენ ისინი მოესპერთ ამისთვის!.. დაჭიმული ხმით გამოჰკვეთა
ეს სამი სიტყვა ლევანმა და მოქნეული მათრახით გაპევეთა ჰაერი. მოლუშელი სახე, გაგანიერებული გუგებით თვალები, როგორც ქვი-
დან ჩამოძრავილი ისე შესრხევი დასტოვა, თითქოს სურდა თითეუ-
ლის გულში შიში და სისასტიკე ჩაენერგა.

ბაჭუა კუპრაშვილი კი უსიტყვოდ იჯდა ცხენზე და * შეშფო-
თებული გადაპხედავდა ხოლმე ხან ლევანს, ხან კიდევ მღელვარე
კრებულს.

- მოსპერთ?!.. გაისმა სიბნელიდან ზიზლითა და სიძულვილით
გაელენთილი ხმა. მაშ; აი!..
- ჭახ!..

გავარდა თოფი.

თეთრ ნაბდამდე ამოალწია სისხლმა. ლევანშა ხელი იტიცა
მკერდზე. ტყეია ლრნიდა მის გულს. ცხენიდან კი არ ვარდებოდა.

— მომკალით?!.. წაილულლულა.

ამავე წუთში, როგორც ელვა ისე გადმოეშვა ბაქუა ცხენიდან.
შევარდა ხალხში, შეერია მათ და მერე კი ბნელ ლამესთან ერთად
დაიკარგა.

— ნუ მომქლავთ, მე ხომ... დაუტკბილდა ხმა ლევანს.

სიცოცხლე ტკბილი ყოფილა. მას არ ეგონა თუ ასეთ პასუხს
მიიღებდა მათგან.

— ჴა!.. გაისმა კიდევ და შეტორტმანებული ლევანი უნაგი-
რიდან გადმოვარდა.

ხალხი კი მიმოიფანტა. წამოიკიდეს გუდა-ნაბადი და სახლების-
კენ გასწიეს.

შეშტოოთდენ მეთაურები. ეწყინათ ეს საქციელი. არ მოელოდენ
გლეხებისგან ასეთ რისხებას.

— ვინ იყო?..

— ვინ ჩაიდინა?..

ეკითხებოდენ ერთმანეთს მორჩაძე, სეანიძე, ხეცურიანი მაგრამ'
როგორ გაგებდენ, თუ ვინ გადმოანთხია შურისძიება გულიდან.

— ვეიან და არის სინანული. წარმოსთქვა სეანიძემ. ამ მკელე-
ლობის გაგების შემდეგ მთავრობა შეეცდება მიწასთან გაგვასწოროს.
დროს დაკარგვა აღარ შეიძლება. მორჩაძე, გორმალალას მიაშურა,
რაზმელები იყოლიეთ მტკიცედ და ფხიზლად. კენჭაძესთან კაცი
აფრინეთ, აცნობეთ ამბავი და უბრძანეთ ერთი თვალი ათასად აქ-
ციოს, უსიკედილოთ ერთი ადლი მიწა არ დაუთმოს. ძმებო, რება-
ნებად უნდა გადიქცეთ, რენებად!..

(გაგრძელება იქნება)

ი მ რ ი შ ი

აყუდებული მალალი მთები
პატარა სოფელს ძირს დაყურებდა
და იქვე ხევში მდინარის ბორგვა
მოსახლეობის უურს აყრუებდა.
სოფლის შვა-გულში თემალმასკომის

ხედავ შენობას განმარტოებით
 იქ სადაც გაშლილ საპურე ეელებს
 ებრძვის გლეხები ეხლა ტრაქტორით.
 ღარიბთა ჯგუფმა გახსნა არტელი
 ღარიბმა გლეხმა წელი გამართა.
 რა დაინახა სოფლის ბობოლამ
 მისკენ მახვილი სწრაფად ამართა.
 ბობოლა ამბობს: „რა საჭიროა
 კოლექტიური მეურნეობა,
 თქვენაც ხომ ხედავთ უფრიო მეტი მაქვს
 შემოსავალი და სარგებლობა“.
 მაგრამ სხვა გვარად მოხდა სოფელში,
 ამოქმედება იწყო არტელმა
 და შედარებით ათასჯერ მეტი
 მოგვცა ნიყოფი მიწის ბელტებმა.
 მაშინ მდიდრებმა თვალი ახილეს
 სთქვეს!... ეს რა ხდება ამ ჩვენს სოფელში
 და რომ მიზანში სწორად დაერტყათ
 კრება გამართეს ღამით ბოსელში.
 დაიწყო ერთმა: „მამულიშვილნო!
 ამ ჩვენი სოფლის ხელმძღვანელები,
 თუ წუთისოფელს გამოვასალმეთ
 დაგვიბრუნდება პურის ველები“.
 გარეთ კარებთან იდგა მცველები.
 ბრძოლისთვის ქალიც გამზადებულა,
 თითქოს სოფელი კომუნარებით
 დაცარიელდა, ალარ ეგულათ.
 აქ ბობოლებმა იხელთეს დრო, და
 სურდათ ძველ კერას დაბრუნებოდენ,
 საშვალო გლეხებს, ჩვენთან მოსულებს,
 ჩვენს წინააღმდეგ მოუწოდებდენ.
 თვალი უჯრედის მოხვდა ამ ბუნაგს—,
 ატყდა ბოსელში აურზაური
 და ბობოლების დაწყებულ გეგმებს
 ცხრილავდა ღამით ტყვია მაუზრის.
 შეორე დილით ღარიბ გლეხებმა
 მიმართეს უჯრედს ერთსულოვნებით,
 ნება მოგვეცით გამოვაცალოთ

სოფლის წურბელებს ჩვენ ფუძეები.
 მომხდარი საქმე არის ნიშანი
 მტერი იღვიძებს და ჩვენსკენ მოდის,
 ამხანაგებო! კვლავ საჭებთან
 მტერი არ გვაცლის დიდი ხნის ლოდინს.
 გარდაქმნილ სოფელს სად არტელებით
 ბურღავენ მიწებს დღეს ტრაქტორები,
 სოფლის ბობოლებს მოუგრეხთ კისერს
 თუ მზად ვიქნებით კომუნარები,

გიორგი პაპახიძე

ნაგერევთა შორის

მივყები ქუჩებს მხიარული, ხან ბრაზნარევი,
 ჩავუვლი გვერდით აბანოებს და სელას განვაგრძობ...
 უკან დამრჩება ნარიყალი, — შუა ბაზარი,
 წინ კი ბინამდე დატეხილი ვიწრო ვზებია.
 ბინაც აქეთ მაქეს... — ეს კუთხეა ძველი ტფილისი,
 ასევე მაცნობს ამ მიდამოს, სანახაობაც;
 რითაც ირკვევა წინაპრების გულის ტკივილი,
 მათი ცხოვრების მშენებლობა და ხასიათი.
 მე აქ ვნახულობ ძველ შენობებს, დახუშულ სარკმლებით,
 მყუდრო ნანგრევებს, ტან-დარღვეულ ციხის გალავანს...
 არის ქუჩები დაგრეხილი ბილიკებიყით
 და ეზოებზე ყორების ზღუდე მაღალი.
 თვით „ჩემი“ სახლი, იგურით და ქვით ანაგები.
 ურდოებისგან თავდასაცავ კიდელს მავონებს.
 მარწმუნებს თვალი: — ციხის გარდა ამ აღგილებში
 ყოველი ღობე ბარიკადათ ჰქონდა მეომრებს.
 ოჯახებიც კი, საკუთრებით კარჩაელილი.
 იდგა პირისპირ დაუნდობლად, როგორც მხედრობა...
 რაინდის საქმე და ღირსება იყო კეთილი,
 აღმზრდელობისთვის მტაცებლური მსოფლმხედველობა.
 და ვამბობ: — აი, რა ყოფილა ქართლის წარსული: —
 ლაშქრულ ხალისით შამოქნეულ ხმალის დიდება,
 ნიადაგ შუღლით ბრძოლის საფრთხე, სისხლის წადილი

და ერთმანეთის უფლებების განადგურება.
 ისმება კითხვა: — აქ რა არის სახარბიელო,
 რომ მასშე ლირდეს შეჩერება ახალ სიტყვისთვის. —
 ჩემი შეგნება ვითარდება სხვა სარბიელზე,
 მავაკაციება სიკაბეჭე დღევანდელობით.
 ვინ დამაჯერებს ნიადაგი თითქოს ფუჭია,
 როს სინამდევილე რიცხვებშია გამოსაზული.
 ვარ სიფხიზლეში, არ ვატარებ ფიქრებს იჭიანს.
 ვიცი რა არის ჩემი საქმე, ჩემი სადგური: —
 ვცდილობ ზრახვების ყველა ხაზი ისე გავმართო,
 შრომა შეიქმნეს საერთო და ბარაქიანი...
 ყოველ საგანში მკვეთრად ვეძებ ნიეთს სასარგებლოს,
 კეთილმოწყობა რომ მიეცეს სოფლებს, ქალაქებს.
 ნაგრევთა შორის, წინაპრების გულის წამება,
 წარსულის დრამას მოვონებით ვერ მიახლოვებს.
 მე ვამუშავებ ჩერი დროის განწყობილებას
 და ძველ ტფილისზე სიტყვის ვაძლევ არხეოლოგებს.

სიმონ ბულეაძე

ნიკოლოზ გაბრიელის ქადაგის შემთხვევა

ნიკოლოზ გაბრიელის შემთხვევა ჩერი 1928 წლის 24 ივნისს, წარმომადგენელი იყო ე. წ. „რაზომის ინ-
 დელიგენციისა და ერთი უშესანიშნავესი ხელმძღვანელი 60-იანი წლების დემო-
 კრატული და სოციალისტური აზროვნებისა. ჩერი იშვევაკის იდეური შეგავლენითა
 და მისი მრავალსახოვანი ლიტერატურული მოღვაწეობით ჩამოყალიბდა ის ახა-
 ლი მიმდინარეობა რესეტის საზოგადოებრივ აზროვნებაში, რომელმაც მკაცრი
 დემოკრატიული ხაზი გაავლო წარსულსა და ახალს შორის და მრკიცე საფუძ-
 ვლება ჩაუყარა არა მარტო დემოკრატიულ-სოციალისტურ აზროვნებას, არამედ
 დემოკრატულ მოძრაობის ფორმებაც. ნ. გ. ჩერი იშვევაკი რესეტის სოციალიზმის
 შამათითაგრძალ ითვლება. რასა კერძორევლია, ეს შადარებით უნდა გაიგოთ: ჩერი ი-
 შეგვამდე რესეტის საზოგადოებრივი აზროვნება უკვე იცნობდა თეციალი-ტურ
 მიმდინარეობება: ჟერური, ოკრიკი, ბელინსკი და აეტოაშევაკის ჯაუზი წარმო-
 მადგენელი იყვნონ რესეტის სოციალისტური აზროვნების პირველი პერიოდის,
 როდესაც სოციალისტური აზროვნება რესეტში უმთავრესად ეცრიპის უწოდი-
 სტების მიბაძვით ვითარდებოდა; მორჩეს მხრივ 1848 წ. რევოლუციის დამარტე-
 ბის შემდევ ჰერცეგინა გარკვევით ჩაუყარა საფუძვლები რესეტის ნატოდნიკულ სო-
 ციალიზმს. მაგრამ ეს პირველი სოციალისტები ვერ სცილდებოდენ თავიანთ წოდე-
 ბებს და სოციალიზმის განვირციელების საქმეს უმაღლეს კლასისა და ინტელი-

გენტიის სურვილებს უკავშირებდენ. ჩერნიშევსკის წილათ ხედა დიდი ცვლილება შეეტანა რუსეთის სოციალისტურ აზროვნებაში და მასთანც მისი განხორციელების საცხმე დამცარებატიის რევოლუციონურ მოძრაობისათვის დაეკავშირებია

60-იანი წლები ერთ უშესანიშნავეს ეპოქად ითვლება რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ქრონილოგიური ფარგლები ამ ეპოქისა განისაზღვრება 1856-66 წლებით. ამ პერიოდში ნათლად, გარევეოთ დაიწყო ძევლი წყობილების რღვ ვ ვ ი ს პროცესი და განმტკიცება ახალი ცონიმიურ-საზოგადოებრივი ურთიერთობისა. ნიკოლოზ პირველის მეფისა სამარშველი კაიტალიშმის განვითარების პერიოდათ უნდა ჩაითვალოს რუსეთში. მაგრამ ბატონ-შმურ ურთიერთობის ჩარჩოებში სამრეწველო კაიტალიშმის ნორმალური წინმსვლელობა შეუძლებელი იყო და ამიტომ, რუსეთის ეკონომიური განვითარება აუცილებლად მოითხოვდა ძევლი წყობილების მოსამას და კამიტალიშმისათვის ფართო ბაზრისა და მუშა ჭილის შექმნას. რუსეთის დამარცხებამ ყირ-მის იმში ნათელყო ნატურალური მეტრინგობის დაშლის პროცესი შემამულება ბატონობის ეკონომიური დაცემის ფაქტი.

ამ ეკონომიურმა მიშეზებმა გამოიწვიეს რუსეთის ცხოვრებაში რეფორმების აუცილებლობა, რუსეთის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების გაგადაცანა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაშე. მაგრამ ამ დიდი ცვლილების მოსახდენად, რუსეთში არ არსებობდა მძლავრი ბურჟუაზიული კლასი და რევოლუციონურად განშეყობილი ბურჟუაზიული პარტია, უკო, რომ გსტევათ, ბურჟუაზიულ ურთიერთობაზე გადასცემა რუსეთში უნდა მომხდარიყო არა ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით, და მისი მეთაურობით, არამედ შევიდან ძევლი პოლიტიკური აპარატის საშუალებით, ცარისმისის გეგმების მიშედვით. ამიტომ ეს რეფორმაც ჩადასტუმენტილი და ფრთამოწეხილი გამოდგა: მან მეტის მე უად მაბინჯი სახე მიღო: „რეფორმა“ არსებოთად იყო კომპრომისი, შეთანხმება მემამულება და ბურჟუაზიის ინტერესებისა, მიმართული მრავალმილიონიან გლეხთა წინააღმდეგ. თავისი ეკონომიურ-პოლიტიკური შინაარსის მ-ხედვათ 60-იანი წლების „რეფორმა“ ხასიათდებოდა პოლიტიკურ-მემულებათა წყობილებიან მემულებათა ბურჟუაზიულ სისტემაზე გაფასვლით. მაგრამ დაწყებულები ეკონომიკურმა განვითარებამ საგრძნობი ცვლილებები გამოიწვია რუსეთია კლასთა ურთიერთობაში, ხოციალური ცხოვრების სიღრმეში, რასაც თავის მარკი შედეგად მოყვა ახალ მიმდინარეობათა წარმოშობა და ფართო დემოკრატ ული მომათაბანი წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის უკმაყოფილება და რევოლუციონურ-რაფიკალური მისწოდებანი, ამ აღორძინების ეპოქის დღიძლი შევილი და მისი იდეალი ხელმძღვანელი იყო ჩერნიშევსკი. ამ ეპოქას შეიძლება ეწოდოს ჩერნიშევის ეპოქა. თვით ჩერნიშევსკი. 60-იან წლების უდიდესი მოაზროვნე და სოციალისტი, ამ ეპოქის პროდუქტი იყო იმდენად, რამდენათაც იყო გამოიწვია მაშინდელმა საზოგადოებრივმა კრიზისმა, და შემ შემ ელ იც იმდენად, რამდენათაც ჩერნიშევსკიმ შინაარსი და გარეული პროგრამა მისცა ახალ მოძრაობას.

ნ. ჩერნიშევსკი დაიბადა 1828 წელს 12 (24) ივნისს ქ. სარატოვში, სასულიერო წლების ოჯახში. ბავშვობიდანვე იყო თავისუფლად იძრდებოდა. 1836-42 წლებში ითვლებოდა სასულიერო სასწავლებლის მოწაფედ, 1842-55 წ. იგი სწავლობდა სასულიერო სემინარიაში, ხოლო 1846 წ. შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც მან დაჭყო თხზი შელი და 1850 წელს დამთავრა ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი.

სტუდენტობის პერიოდი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ხანას წარმოადგენს
მისი აზროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ამ პერიოდში ახალგაზრდა ჩერნიშევსკი
უკვე იმუშავებს თავის სოციალ-პოლიტიკურ შეხდულებებს, რომელიც შემდეგში
უფრო ღრმადება და ფართოვდება. უნდა ალინიშნას, რომ მისი აზროვნების შე-
მუშავებაზე დიდ გავლენას ახდენდენ, რომელიც ექტოპის დიდი უტომისტები და
სოციალისტები, ისე ფეირბაზის მატერიალისტური ფილოსოფია, გარდა ამისა ახალ-
გაზრდა ჩერნიშევსკი ეწონაბა პეტრაშევსკის ჯგუფის წევრებსა და ველენისკის ჯგუფს,
რომელიც ხშირად იძილავდნენ სოციალურსა და პოლიტიკურ საკითხებს. 1848
წლის რევოლუციამ ღრმა გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მოზროვნის სოციალ-
პოლიტიკურ შეხდულებათა ჩამოყალიბებაზე, ჩერნიშევსკის, აღმრდილს თავისუ-
ფალ ღმოვრატიულ პირობებში, მთელი თავისი ახალგაზრდული არსებით ეჯავ-
რებოდა რუსეთში გამეუებული სოციალ-პოლიტიკური წყობილება. ახალგაზრდა
ჩერნიშევსკი მთელი თავისი არსებით უთანაგრძინობდა გლეხთა განთავისუფლების
საქმეს და ჟუავერებოდა ნიკოლოზ პირველის მონარქიული წყობილება. აი ასეთს
ატმოსფერაზე და ასეთი სოციალ-პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენით შემუშავდა
მისა აზროვნება 1848—50 წლებში. ფეირბაზის ზეგავლენით მან უკუგდო პირ-
ვილი გატაცება ჰეველისა და საესებით შეითვისა მატერიალისტური ფილოსოფია.
თავისი პირველი შესანიშნავი შრომა „Эстетическое отношение искусства к деи-
ствительности“. ფეირბაზის ფილოსოფიის საფუძვლებზე ააგო. ევროპის სოცია-
ლისტურ სისტემებიდან მან შეითვისა კაპიტალისტური წყობილების კრიტიკა (განსაკუთრე-
ბით ლუი ბლანიდან). სტუდენტობის პერიოდიდან ჩერნიშევსკი დაგვიტოვა შესა-
ნიშნავი ლიტერატურული დოკუმენტი — „დ დ ი უ რ ი“, რომელიც საზუალებას
გვაძლევს მისა სულიერი ევოლუციის დაწერილებით განიხილავს. 1848 წ. 28 ივ-
ლის ივ სწერს: „სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები სოციალისტების სიმართ-
ლეში.“ ორი თვის შემდეგ სწერს: „მე მიგონია რომ თავისი შეხედულებებით კაცო-
ბრიობის საბოლაოო მაზრების შესახებ მე უკვე გარ სოციალისტებისა და კომუ-
ნისტების დაბეჯითებითი პარტიანი და უკიდურესი რესუბლიკანი.“ (იბ.
Литературное наследие Г. И. 277). იმ ხანგაძლენე ჩერნიშევსკის სოციალის-
ტირი მსაფულმედველება რადიკალური შინაარქის მატერიელია იყო. იგი მოით-
ხოვდა არა მარტო პოლიტიკური თავისუფლების შემოღებას, არამედ სოციალური
უთანასწორობის მიზან ფუსტანად ამოფებრას, „რომ ერთი კლასი არ სწორებს
სისწლის მეორე კლასს.“ სანნტერესო არის ჩერნიშევსკის შეხედულება პოლიტიკურ
წყობილების შესახებ. იგი 1848 წ. თითქოს იზიარებდა იმ აზრს, რომ შეუძლებ-
ელი მონარქია უფრო ადრე განაბორციელებს სოციალურ იდეალებს. „ახლა — სწერს
თავის დღიურში ჩერნიშევსკი 1850 წ.—მე გადაჭრით დაწერუნებული გარ წინააღ-
მდეგში—მონარქი და მით უფრო აბსოლუტური მონარქი—ეს მხოლოდ არისტო-
კრიატიული იერარქიის დაზებაა... ეს იგივე არის, რაც არის სტრიკრატიის კონტასის
ზედა საფეხური... და მე გამოიმ. დამისხვერეს ეს. რაც ადრე მით უფრო უკეთესი,
თავ მოუშავებელი ხალხი შევიდეს თავის უფლებაში—ბრძოლის დროს ის უფრო
მოემზადება. სანამ ზენ (მონარქია) არ დაეცემ, მას (ხალხს) არ შეუძლია მომწი-
ფება...“ ჩერნიშევსკი მოითხოვს ხალხის თვით მართველობის დამყარებას, რომ-
ლის ქვეშაც ის გულისხმობას ხელისუფლების გადაცემს „აკველაზე უფრო მდაბალ
და მრავალრიცხვან კლასის ხელში—მიწადმიქმედების, დღიური მომუშავეთ, მუ-
შების“, რადგან მხოლოდ ასეთს მართველობას „შეუძლია დაიცვას და განვითა-

რის მშობლელი ხალხის ინტერესების" (იბ. გვ. 496). ასეთი არის „სოციალიზმის და კომუნიზმის პარტიანის“ სოციალ-თლიტერატური მსოფლმხედველობა. 40-იან წლები იგი რევოლუციონური ტაქტიკის დამცველია და თავის თანა „ტერორისტთა და წითელ რესპუბლიკის მიმდევარს“ უწოდებს. მაგრამ ჩერნიშევსკი არა მარტო ეპროექტის სინამდვილისათვის იყრებოდა რევოლუციის განვითარებას, არამედ რუსეთშიაც ერთად-ერთ გამოსავალ სამუშაოებად მას მიაჩინდა გლეხური რევოლუცია და ბერტი. „აი ჩემი აზრები რესესის შესახებ, უახლოეს დროში მოლოდინი რევოლუციისა და ჩემი იმედები მასზე, თუმცა მე ვიცი, რომ დიდბანს, შეიძლება ერთობ დიდი ხნის განხავლისაში აქედან არაფრთ გამოვიდეს... მაგრამ მშვიდობისანი, წყარი განვითარება შეეძლებელა არის... კონკლის გარეშე ისტორიაში შეუძლებელი არის ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი წინ. სისულელე არის იფიქრო რომ კაცობრიობას შეეძლია წავიდეს პირაპირ და თანაბრად, როდესაც ამის მეზავსი არასოდეს არ ყოფილა.“ შემდეგ მეორე ადგილას რამდენიმე წლის შემდეგ იგი სწერს: „ჩვენში უახლოეს დროში მოსახურება ბერტი, თუ ის მოხდა მე აუცილებლად მივიღებ მასში მონაწილეობას... ხალხს უქმაყოფილება მთავრობით, გადასახადებით, მოხელეებით მემამულეებით, სულ უფრო და უფრო ისრდება: საჭირო არის მხოლოდ ნაპერწყალი, რომ დაიწევას ყოველივე ეს. მასთანვე იზრდება განათლებულ ხალხთა ჯგუფების რიცხვი, რომელიც მტრულად არიან განწყობილი არსებულ წყობილების მიმართ. მხად არის ნაპერწყალი, რომელმაც უნდა გააღვივოს ეს ცეცხლი.“ (იბ. გვ. 507-8). ასეთ ფორმებში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა რევოლუციონერის მსოფლმხედველობა 40-იან წლების მიწურულში. უნდა ითქვას, რომ შემდეგში ეს ძირითადი მსოფლმხედველობა უცვლელი დარჩა თავის საუცხლებში: მოლოდ იგი უფრო გარღმავდა და გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბდა.

კურსის დამთავრების შემდეგ ჩერნიშევსკი პეტავიგიურ მოღვაწურია შეუდგა უმთავრესად თავის სამშობლო ქალაქში. 1853 წელს იგი დაქორწინდა და საბოლოოდ გადასახლდა პეტერბურგში საცხოვრებლად. ამ წნიდან იგი მუშაობდა ჩურნალებში და ემზადებოდა საპროფესიონოდ. თავის სამაგისტრო შრომა ესტრეტიკის შესახებ მან დასწერა ფეიერბაზის მა-ტერიალისტურ პრინციპების მიხედვით და დაცუა 1855 წ. მაგრამ რეაქციონურ პროფესიონალური გერმანიული ხარისხი, მაგრამ დისკრეტაციამ მას დიდი სახელი გაუთქვა და იგი მიწვეული იქნა „სოციალური მეცნიერების“ მედოვე თანამშრომლად. ამ პრიორიტეტის ჩერნიშევსკი გადაიქცა აღნიშვნულ ურნალის სულის ჩამდგმულად: მისი საცეცხლო ერუდიცია და ნიკი ფართოდ გაიმარა ურნალის ფურცლებშე და მთელი 7 წლის განმავლობაში იგი სასტრიდი ცენტრის ქვეშ მობდენილად ანიგითარებდა თავის სოციალისტურსა და დემოკრატიულ აზრებს. ჩერნიშევსკის დროშის ქვეშ შემოკრიბა მოწინავე ახალგაზრდა ინტელიგენცია, რომელიც ჩერნიშევსკში ხედავდა თავის იდეულ ხელმძღვანელსა და ბეჭადს. მაგრამ არ ეძინათ მტრებესაც: მემამულებმა ჩერნიშევსკში დაინახეს თავიანთი უსასტრიდის მეტრი და მთავრობისადმი მიმართულს ფარულ წერილებში მოითხოვდნ მის სასტრიდ დასჯას და დაპატიმრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში რესესის მოელის დიდი გლეხური არეულობა ჩერნიშევსკის ხელმძღვანელიაბითა. ლიბერალური თავიანთნაურული და ბერებაზეული წრეებიც სასტრიდ იღაშეზებოდენ ჩერნიშევსკისა და მისი ორგანოს წინააღმდეგ, რადგან მან კრიტიკის ქარცეცლში გატარა ლიბერალების პროგრამა და აშერა პყო მათი კლასიური მისწრაფებანი, ჰერცენიც კი არ ჩამორჩა ლიბერალებს და

თავისი „კოლეგოლის“ ფურცლებშე დაუნდობელი წერილებით იღაშეტებდა ჩერნიშვილისა და მისი თანამებრძოლის ნ. დობროლიშვილის წინააღმდეგ. ალექსანდრე მეორის მთავრობაში 1862 წ. იყლისში დაპატიმრა ჩერნიშვილის და ორი წლის პეტრევალოვის ციხეში ჯდომის შემდეგ, მას მიუსაჯეს წინასწარ მომზადებულ ყალბ დოკუმენტების მიხედვით 14 წლის კატორდა. ბრძოლტმა მეცემი ეს სასკოლი გაუნახურა. მაგრამ როდესაც 1871 წლს მას გაუთავდა ვაცა, ჩერნიშვილი არამც თუ არ გაანთავისუფლეს, არამედ განუსაზღვრელის ვადით გადასახლეს კველაზე უფრო მიყრუბებულს გილტისკმი. მთავრობა იმდენად დაშინებული იყო ჩერნიშვილის გაფლენით, რომ სასტუკი რევიტის ქვეშ ყავდა მოთავსებული. მიუხედავად იმისა რამდენიმეჯერ სკადეს რევოლუციონერება 70-იან წლებში მისი განთავისუფლება უშედეგოდ. 1874 წ. უმაღლესმა პირებმა მას მისცეს წინადადება შეეტანა თბილია პატიგბის შესახებ. ჩერნიშვილი ზიზლით უარყო ეს და მიუხედავად ფიზიკური მოქანცულობისა, მაინც მტკიცებ იდგა თავის პოზიციაში. მხოლოდ 1883 წლს მისცეს მას ნება ასტრახანში ცხოვრებისა. ამრიგად 21 წლის კატორდა-ციმებში ჯდომის შემდეგ იგი საქმაოდ გატეხილი და მოქანცული დაბრუნდა ვეროპის რესეფში. 1883-8 წლების ასტრახანის ტკუების შემდეგ მას ნება დართეს სარატოვში დასახლებისა, ჩერნიშვილი გარდაიცვალა 1889 წლის 29 ოქტომბერს.

ასეთი არის ამ შესანიშნავი პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მატიანე. ახლა საჭირო არის დავახასიათოდ მოკლედ მისი აზროვნება. უკეთ რომ ქსოვება მისი სოციალისტური მოძღვრება. ჩერნიშვილის უზიდესი მიწმენტობა ჰქონდა რესეფის საზოგადოებრივი აზროვნების და კერძოდ სოციალისტური მოძრაობის განვითარების საქმეში. იგი ყოველმხრივ, ენციკლოპედიურად განვითარებული და ლრმად მოაზროვნე პიროვნება იყო. კ. მარქსმა „ქამიტალის“, პირველ ტომში მას უწინდა „რესეფის დიდი მეცნიერი და კრიტიკოსი“. ცნობილი რევოლუციონერი—ლოპატინი ჯერ კიდევ 70-იან წლების დასაწყისში გადმოგვემდა, რომ მარქსის აზრით ჩერნიშვილი თანამებროვე ეკონომისტთა შორის ქრთადერთს, კეშმარიტად არიგინალურ მოაზროვნეს წარმატებებს, რომ მისი ნაწილები საცე არის ორიგინალურით, აზრის სიძლიერით და სიღრმით. როგორც მარქსის მიმდევრები რესეფში, ისე მათი მოწინააღმდეგენი ნარობნიკების ბანაკიდან საცხებით იხილარებენ მარქსის აღნიშნულ შეხედულებას ჩერნიშვილის შესახებ. მაგრამ ჩერნიშვილის მოძღვრებისა და მისი შინააზისის დაფასების საკითხში აქ სრულს წინააღმდეგობას აქვს ადგილი.

ქსერ ივანოვ-რაზმინის ჩერნიშვილი ნარობნიკული აზროვნების საკუთხესო წარმომადგენელად მიაჩინა რესეფში: ჩერნიშვილი, მისი შეხედულებით შეცნიერდლ საფუძველზე დაგო ნარობნიკით მოძღვრება.¹⁾ ამის საწინააღმდეგო დებულებას აცენებს მარქსისტი ი. ს. ტ. ე. კ. ლ. ვ. ი., რომელიც ჩერნიშვილის სთვლის რესული მარსიზმის უშუალო წინამორბედებად; აკტორი, ფიქტობას, რომ მოჟარი რიგი საკითხებისა ჩერნიშვილიმ მარქსისტულად გადასწყიტა და ამით ძლიერ დაუახლოედა მეცნიერულ სოციალიზმს.²⁾ პლებანოვის აზრით ჩერნიშვილი იყო უმთავრესად უტემოური სოციალისტი, მშეიდობიანი, მაგრამ მაინც რადიკალურად მოაზროვნე, რომელიც მხოლოდ რამოდენიმე საკითხში უახლოედებოდა მარქსიზმს.

1) Иванов-Разумник: „История русской общественной мысли“ ტ. I. გვ. 8.

2) Ю. Стеклов: „Н. Г. Чернишевский“ ტ. I.

პლეზანთვი გადატრიით უარყოფს ნაროდნიკული აზროვნების ელემენტებაც კი მის მოძღვრებაში. ¹⁾ მეოთხე შეხედულებით — ჩერნიშვილის მოძღვრებაში თავმოწირდო იყო, როგორც მატერიალისტური ისე რაციონალისტურ-იდეალისტური აზროვნების ელემენტები: მასში იყო ელემენტები ნაროდნიკული და მარქისტული აზროვნებისა. (ლენინი, როვენი პოეტოვსკი, გორევი).

ეს კუანასკრელი მოსახურება უფრო სწორი არას და საესებით ახასიათებს ჩერნიშვილის სოციალისტურ მოძღვრებას, რომელმაც გარევეულ ისტორიულ-ობიექტურ პირობების გამო ვერ შესძლო შტოპიურ აზროვნებისაგან თავის დაწევა და მოვცეა ისეთი მოძღვრება, რომლის ერთი შტო ნაროდნიკულ-გლეხურ სოციალიზმისკენ მიმმართებოთა, ხოლო მეორე კი მეცნიერულ სოციალიზმს ენა-თესაცემოდა ჩერნიშვილის ფილოსოფიური აზროვნება ფეირბაბის მატერიალისტური პრინციპებიდან მომდინარეობდა, მატერიალისტური ფილოსოფიის აღიარებით ჩერნიშვილი გამდა მარქსიზმის წინმორბედი ჩატვირთდა. მაგრამ მან ვერ შესძლო მსგავსად მარქს-ენგელსისა, ფეირბაბის მატერიალიზმი დაალებერიურ მატერიალიზმამდე და მატერიალისტურ სოციალოგიამდე განეციარებია. ლენინი ჩერნიშვილის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობის შესახებ სწერდა; „ჩერნიშვილი — ერთად-ერთი ნამდვილი დიდი რუს მწერალი იყო, რომელმაც შესძლო 50 წლებიდან 1888 წლადე დარჩენილიყო მთლიან ფილოსოფიურ მატერიალიზმის სიმაღლეშე და უარყო დაბნელლთა საცოდავი სისულელები... მაგრამ სამწუხაროდ... ჩერნიშვილი ვერ შესძლო, რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო, ამაღლებულიყო მარქს-ენგელსის დაალებერიურ მატერიალიზმამდე“.²⁾ ჩერნიშვილის ისტორიულ სოციალოგიური მსოფლმხედველობა³⁾ წრაციონალისტური და იდეალისტურ ელემენტებით ხასიათდება. ამით იგი საუცხვებებს უყრიდა რუსეთში ნაროდნიკების სუბიექტურ სოციალოგიას და იდეალისტურ აზროვნებას. პროგრესის მთავარი ძალა — მეცნიერებაა, პროგრესის წარმატება. დამოკიდებული არის ცოდნის სრულყოფისა და გაერცელებისაგან, პროგრესი — ცოდნის ნაყოფია, — სწერდა ჩერნიშვილი⁴⁾ და ამით იგი იდგა ისტორიულ იდეალიზმის ნიადაგშე. მაგრამ მეორეს მშრივ ჩერნიშვილი მატერიალისტური ელემენტებიც შეიტან თავის ისტორიულ-სოციალოგიურს მსოფლმხედველობაში და ამით იგი მიუაწლოვდა მარქსისტულ აზროვნებას: აღიარება ვერომიტური ფაქტორის უპირატესობისა, კლასთა ბრძოლისა და პროლეტარიატის რევოლუციონური მნიშვნელობისა — ეს ისეთი ელემენტები იყო ჩერნიშვილის აზროვნებაში, რომელიც ანათესავებდნ მას მეცნიერულ სოციალიზმთან.

ასეთსაც გაორებულს მდგომარეობაში იყო ჩერნიშვილი პროგრამულ-ტაქტიკის საკითხებშია, დიდი შეცდომა დაუშეა პლეზანთვია, როდესაც ჩერნიშვილი მშენდობაზე ურთისისტა ბანაკში მოაქცია; ჩერნიშვილის ტაქტიკა შეუთანმხმებელი და რევოლუციონური იყო. ჩვენ უკვე დავინახთ, თუ 1848—50 წლებში როგორ შემუშავდა მის აზროვნებაში რევოლუციონური მსოფლმხედველობა. 1860 წ. პეტერბურის „სოლიკოლში“ საიდუმლოდ გაგზავნილ წერილში ჩერნიშვილი პირდაპირ სწერდა: „ჩვენი მდგომარეობა აუტანელია, პირდაპირ გამოუვალია, და მშობლოდ ნაჯახს შეუძლია ჩვენი სწანა და გარდა ნაჯახისა ეკრაფერი ვერ გვიმევლის..

1) Г. Плеханов: Соч. т. V—VI.

2) Ленин: т. X გვ. 304—6.

3) Н. Чернышевский Собр. соч. т. VIII გვ. 158.

ნაჯაპისაკენ მოუწოდეთ რუსეთს¹⁾. 1) ეს რევოლუციონურ რადიკალური ტაქტიკა-გადამდებრების გადამდებრების მიზანი არ იყო მიმდინარეობისა, მაგრამ აქეც საკიროა ჩერნიშევსკის პროვოკამაში ორი მოწერტის აღნიშვნა: ეფრობის სინამდევილისათვის, სადაც საკმაოდ განვითარებული იყო ეკონომიკური ცხოვრება და კლასთა ბრძოლა, მთავალი შეყობილების დამყარებელ ძალას იგი პროლეტარიატში ჩედავდა ინტელიგენციის ხელმძღვანელობით. ამ მხრივ სწორ აზრს გამოსთვევამდა ი. სტეკლოვი. 2) ერთს თავის შესაბამწვავ ჩერნიშევსკი სტერდა:

„თავისი ჯანმრთელი ბუნების, თავისი მკაფიო საცხოვრებო გამოცდილების წყალმიმდინარეობით დასაცლეთ ეფრობის მდაბიო (პროლეტარიატი) არსებითად გაცილებით უფრო უკეთ, უური სწორედ და ღრმად გებულობს ყველიერს, ვიდრე უური ბეჭრიერი კლასების წარმომადგენელი. მაგრამ უკერ არ მიუღწევია ამ მდაბიომდე იმ შემნიერულ ცნებებს, რომლებიც ცველასე უფრო შეესაბამებიან მის შდომარებას, მიღრებილებებს, მოთხოვილებებს და სხვადასხვაგვარი ცოდნის დღვეანდელ მდგომარეობას შეეფერებიან... უკერლია, დასაცლეთ ეფრობის მდაბიონიც გაეცნობიან იმ ფილოსოფიურ შეხედულებებს, რომლებიც შეესაბამებიან მათ მდგომარეობას.. როდესაც დადგება ეს ღრო, როდესაც იმ ელემენტების წარმომადგენელი, რომელიც მიისწრავებიან ახლა დასაცლეთ ეფრობის ცოდნების გარდაქნისაკენ, უკე ურავეთ იქნებიან თავის ფილოსოფიურ შეხედულებებში,—ეს იქნება იმის მახერებელი, რომ დასაცლეთ ეფრობის სახითადიდებრივ ცხოვრებაში მაღრე გაიმარჯვებს ახალი დასაბამი²⁾.“

უნდა აღინიშნოს, რომ სასტრიკი ცენტრული პირობებში ამაზე უფრო გარკვევით აღნიშვნა პროლეტარიატის რევოლუციონური როლისა შეექლებელი იყო. ჩერნიშევსკი პირდაპირ მიუთითებდა საზოგადოებას, რომ როდესაც ეფრობის პროლეტარიატში შეიკრება სოციალისტური იდეები, მაშინ გადადოდა შესაძლებელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა ახალს საფუძვლებზე, მაშინ სოციალისტურს ინტელიგენციას უფლება დასაყრდენი რევოლუციონური ძალა არსებული წყობილების გარდასაქმნელად. ამ საკითხშიც ჩერნიშევსკი მიუახლოვდა მეცნიერულ სოციალიზმს და აუცილებლად იგი ერთი უდიდესი წინამორბედი არის მეცნიერული სოციალიზმისა რუსეთში.

მაგრამ ჩერნიშევსკის პროგრამულ-ტაქტიკური გეგმები მეორე მიმდინარეობითაც მიემართებოდა, საიდანაც ამიკროტეს თავიანთი იდეური საზრდო 70-იანი წლების ნარიდნიკებმა. რუსეთის სინამდევილეში ჩერნიშევსკი ვერ ამნიჭედა ეფრობის ბრძოლას და პროლეტარულ მოძრაობას. მისი დასაყრდენი სოციალური კლასი შეიქმნა გლეხობა და გლეხური რევოლუციურა, მისი ცნობილი პროკლამაცია „К барским крестьянам“, უმთავრესად გლეხობას მიმართავს და გლეხურ რევოლუციას უყრდნობა. გარდა ამისა, რუსეთის სინამდევილეში, ჩერნი-

1) М. Лемке: Политические процессы в России 1860 г. № 173.

2) Сტეკლოვის დასახელებული შრომა, გვ. 400—422. უნდა აღინიშნოს, რომ სტეკლოვი აკარბებს, როდესაც ამბობს, რომ ჩერნიშევსკი პროლეტარიატის დიქტატურას ქადაგებდათ. მართალია ჩერნიშევსკიმ შეიგნო ეფრობის პირობებში პროლეტარიატის რევოლუციონური ძალის მიზნებით, მაგრამ მისთვის პროლეტარიატის პეგემონია რევოლუციიაში ან დიქტატურა გაუგებარი იყო: მას პროლეტარიატის ხელ მარცვანელ და მიაჩნდა სოციალისტური ინტელიგენცია.

3) Чернышевский, Ч. VI, გვ. 192; 205—6.

შეკვეთის შესაძლებლად მიაჩნდა გალებური მიწის თემური წევილების საშეაცხოვო
გვერდი აერეათ კაპიტალიზმისათვის ჭა პირდაპირ გადასულიკვერ სოციალიზმის
ეს დებულება ნაროლინიკული სოციალიზმის ძირითად მეცნიერულ საფუძვლებს წარ-
მოადგენდა. ამ შბრივ ჩერნიშეკვეთის აზროვნება ნაროლინიკული მსოფლშეცვალ-
ბის გამომხატველი იყო.

ამ რიგად 60-იან წლების ამ უშესანიშნავეს მოღვაწის აზროვნებაში ჩატარდა მთელ რიგ საწინააღმდეგო დებულებებს, ერთის მსრივ იგი დამოუკიდებელის გზით მივიდა მეცნიერული სოციალიზმის რამდენიმე დებულების აღიარებამდე და ამით მარტინსტული აზროვნების წინამორჩევათ გადაიტარ რესუეტში, ხოლო მეორეს მშრივ მეცნიერულად დაასაბუთა ნაროვნიში და მისი იდეული ხელმძღვანელი გახდა. იგი იყო 60-იან წლების რევოლუციონერი, გამოსული დემოკრატიულ წრეებიდან იდეული ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი აპალი თაობისა და ახალი მოძრაობისა¹⁾.

მაგრამ ჩერნიშვილის პროგრამა და ტაქტიკა მაინც რადგანაურად განსხვავდებოდა. რუსეთის ნარიტონიკული სიციალიზმის — ა. ი. გერევნის აზროვნებისაგან. გერევნი 1848 წლის რევოლუციას დამარცხების შემდეგ მოსკოვდა რევოლუციონერ მოძრაობას და მშეოღვიან განვითარების თეორია შეთვისა. იგი ფიქრობდა, რომ ეჭირვა თავისი კაიტალისტური წყობილებით და კლასთა ბრძოლით ვერასოდეს ვერ მიაღწევს ბედნიერ ცხოვრებას, თუ მას რომელიმე გარეშე ძალა არ დაუშმირა. ასეთ ძალად მას მიაჩნდა რუსეთი, რომელიც თვისი საკუთარი გზით მოდიოდა მომავლისაკენ: რუსეთის ომი და არტელები არის, გერევნის გამარტებით, ის სახოგადოებრივი წყობილების ფორმა, რომელსაც შეუძლია რუსეთი აკციის კაიტალიზმსა და ინდივიდუალიზმის განას და პირდაპირ გადაიყენოს სოციალისტურს წყობილებაზი; უზრი მეტი, სლავერი თემერი წყობილება გავლენას მოახდენს, დაქვემარება უროვასაც იქ გამოიყენელ ანარქიის დასაქლევად და სოციალისტური ურთიერთობის გასამტკიცებულათ გერევნის განმარტებით რუსეთი სოციალიზმის, მეთაური და თემერი წყობილების გადამყვან ახალს ნიადაგზე შეიძლება გახდეს მოლოდ მემარტენი ლიბერალური თავადანაურობა და ინტელიგენცია: რევოლუციონური ტაქტიკა და გლეხთა აჯანყება მისთვის მიუღებელი იყო პრინციპისალურად. ზემოდ დასახელებულ ჩერნიშვილის არალეგალურ წერილზე რომელიც 1860 წელში იყო მოთავსებული კოლეკორში², გერევნა სარედაქტო წერილში უპასუხა. ჩერნიშვილის რევოლუციისა და აჯანყებისადმი ზნალის მე ცკვი ცერძობ 1848 წლის ზემდეგ, და ამიტომ არა „ნაჯაბისაკენ“ არის სა კი ი რ თ რუსეთის წალხის მოწოდება, არამედ „ცოცხისაკენ“³ გერევნი სწერდა „ნაჯაბისაკენ“, შევიწოდებულთა ამ უკიდურეს საშალებისაკენ ჩერნი არ მოგაწოდებთ მანამდე, სანამ დაგვიჩინია თუ მან ერთი გონივრული იმედი უნაჯახოდ საკითხის გადამრისა... „ცოცხისაკენ“ არის საკითხო მანილი და არა „ნაჯაბისაკენ.“

1) 60-იანი წლების ჩემი ახალი თაობის ინტელიგენციაზე ჩერნიშვილს და მის „სოფრომენის“ უდიდესი გავლენა ჰქონდა. ჩერნიშვილის იდეური ზეგავლენით ჩამოყალიბდა ახალი მიმდინარეობა ქართულს ინტელიგენციაში: პირველად ქართულს ლიტერატურაში და ქრონიკ საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში რადიკალურ-დემოკრატიული და სოციალისტური იდეები ჩერნიშვილის გავლენით იქნა შემოღებული. მათ საკითხს ჩემი სპეციალური გენებით უსრიო ვრცელად.

²⁾ А. Герцен: Собр. соч. Т. X 183. 219—21

6. ჩერნიშევსკისა და გერცენის ამ შეტაკებით პირველად 60-ან წლებში მოხდა შესანიშნავი დაპირისპირება რუსთის სოციალისტური ახროვნების არის მოწინააღმდეგ მიმდინარეობის, რომელიც შემდეგ პერიოდებში დაწახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა რუსთის სოციალიზმისათვის: ეს რ ნ ი შე ვ ს კ ი გამოხატავდა უკიდურეს მემარტენე ფრთას, რომელიც „ნაჯახისა“ და გლეხური რევოლუციისაკენ მოუწოდებდა იმტევიდენტისას, ხოლო გ რ ც ე ნ ი — მემარჯვენე მიმდინარეობას, რომელსაც სწამდა „კოტბისა“ და შეიძლობანი მეთოდების სიძლიერე.

მაგრამ არა ისეთ ტაქტიკის საკითხში, არამედ პროგრამულ მუხლებშიაც ჩერნიშევსკი და გერცენი გასცილდნენ ერთი მეორეს. ჩერნიშევსკი ღრმათ იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ ერთობის კულტურით, ძალებითა და ტენიის საშალებით შესძლებდა რუსთის სოციალისტურ წყობილებაში გადასვლას. იგი სწერდა, რომ რუსთის ომიდან მხოლოდ მაშინ შე-ძლება განვითარდეს სოციალისტური—წყობილება, თუ წინასწარ ერთობის სოციალისტური პარტები ჩაიგდებო ხელში ძალა-ულებას და დაამზარებო სოციალისტურ წყობილება გვრობის სოციალისტური წყობილება გამოიწვევს რუსთის თემის განვითარებას სოციალისტური მიმართულებით. აქედან გამომდინარეობდა ჩერნიშევსკის ტაკტიკურ-პოლიტიკური ხაზიც: იგი ამტკიცებდა, რომ თუ ერთობის მეშათა კლასის რევოლუცია, ინტელეგნიციის ხელმძღვანელობის და თვისი შინაარსით სოციალისტური, შეხვდება რუსთის გლეხეური ინტელიგენტურ რევოლუციას, თავისი შინაარსით რადიკალურ-დემოკრატიულს, მაშინ გამარჯვების შანსები უზრუნველყოფილი იქნება; ერთობის პროცესი გ დ ე ე ტ ა რ უ ლ ი ნ ტ უ ლ ი გ ე ნ ტ უ რ უ რ ი რევოლუცია დაბამარება რუსთის გ დ ე ხ ხ ს რ ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ტ უ რ რევოლუციას სოციალისტურ ლიანდაგზე გადაყვანის საქმეში და მაშინ თემურ წყობილებიდან ადვილად განვითარდება, კაპიტალიზმის გვერდის ავლით, სოციალისტური ურთიერთობა. ჩერნიშევსკი გულწრფელად მოელოდა იმ ხანებში ახალი რევოლუციონური მოძრაობის დაწყებას ერთობის, რომლისთვის უკე მომზადებული იყო მისი აზრით ნიადაგი. იგი ფიქრობდა, რომ ერთობის ეს რევოლუცია ჩაითორებდა რუსთისაც მოძრაობაში და ხელს შეუწიობდა რუსთის რევოლუციონური ძალების გასარჯვებას.

ასეთი იყო ნ. გ. ჩერნიშევსკის პროგრამა და რევოლუციონური ტაქტიკა 60-ან წლებში. ამ უამად წერა მისი შემცდარი მარევების შესახებ ზემდეტია: იგი ყვილასთვის ნათელი არის, კისაც ესმის მარქსიზმისა და ლენინიზმის მოძღვრების შინაარსი. ნ. ჩერნიშევსკი, მიუხდავად თვისი შემცდარი მარევებისა, მანც დიდი მოაზროვნე და დიდი რევოლუციონური იყო

6. ლენინი შემდეგს სწერდა ჩერნიშევსკის აზროვნებისა და რევოლუციონური მოღაწეობის შესახებ:

„ბატონ-გუმირი წყობილების დამზობამ გამოიწვევა „რაზნინინელის“ გამოსვლა, როგორც მთავარი მასიური მოღვაწეების საერთოდ გამართავისუფლებელ მოძრაობისა და კერძოდ დემოკრატიული, ცენზურით შებორევილ მწერლობის. გაბატონებული მიმდინარეობა, რომელიც გვცემდა „რაზნინინელის“ თვალსაზრის, გადაიქცა ნაროვნიკობა. მას არასოდეს აზ შეეძლო, როგორც საზოგადოებრივ მიმდინარეობას, გამოჯვენოდა მარჯვინია ლიბერალიზმის, ხოლო მარტინით ანარქიზმის. მაგრამ ჩერნიშევსკიმ, რომელმაც გერცენის შემდეგ განავითარა ნაროდიკული აზრები, გადადგა დიდი ნაბიჯი წინ გერცენის საწინააღმდეგოდ. ჩერნიშევსკი იყო ბევრად უფრო თანმიმდევრო და მებრძოლი დემოკრატი. მასი ნაწერებიდან კლასიური ბრძოლის სუნი მოგრის. მან მკაცრად გამოააშეარავა ლიბერალიზმის ღალატი... ის იყო ღრმა კაპიტალიზმის, მიუხდავად თავის უტოპიური სოციალიზმისა“.

ჩერნიშევსკის რევოლუციონისტი ლვაჭლი და მნიშვნელობი დიდი იყო, მის მემკვიდრეობა უაღრესად საგულისხმიეროა და ამიტომ პროლეტარიატი ამ უფლდესი მოაზროვნისა და რევოლუციონერის ასი წლის დაბადების თავს ალფრედოვანებით ედებება.

3. ლუარაშიძე

სალიტერატურო პრიტიპის ფრონტი

რა გამოაჩინა დისეზესიამ

გაზეთ «Заря Востока»-ს მიერ სალიტერატურო პოლიტიკის შესახებ ჩატარებული ღისკუსია კარგი გაქცევითილი იყო დარამული პროლეტარული მწერლობისათვის, რამაც გამოარკება, რომ მემარჯვენე დენა ქართულ მხატვრულ და კრიტიკულ ლიტერატურაში არც ისე სუსტია, როგორც ზოგიერთები ფიქრობდენ, არამედ ნელის ტემპით სულ უფრო და უფრო ძლიერდება. მოცემული პროცესი მოულოდნებლი არაა, ვინაიდან ქალაქის ინტელიგენციაში და სოფლის კულაკობაში შოვინიზმის ერთგვარი ზრდა სწარმოებს, რაც მხატვრულ, კრიტიკულ და ეკონომიკური რიგის ლიტერატურაში სათანადო რეზონანს პოულობს.

დისკუსიამ თეალსაჩინოდ დაგვანახა, რომ ქართული მწერლობის მემარჯვენე ფრთის აქტივიზაცია კომუნიზმის საწინააღმდეგო მიმართებით სწარმოებს. „ცისფერი ყანწების“ არამკითხე წარმომადგენელი ალი არსენიშვილი ჩვენი პარტიის ც. ო.-ს ფურცლებზე ყოვლად ნაციონალისტურ და მემარჯვენე მოსაზრებებს შლიდა, როგორიცაა: „ცისფერუანწელები“ ინტელიგენტური პროლეტარები (!) არიან, ეირონდის ეპოქაში „ცისფერმა ყანწებმა“ პირველად იგრძნო ოქტომბრის სტაქია, „ცისფერმა ყანწებმა“ ინდუსტრიალური და საბჭოთა თემები აღმოაჩინეს და ს. მსგავსი შემოპარული მოსაზრებანი ობიექტურად იდეოლოგიურ ფრონტზე კლასიური ხაზღვრების ჩაზღვისაკენ მიმართული. დისკუსიის მსევლელობის დროს სწორი ხაზი ვერ აიღეს ე. წ. „მემარცხენეებმაც“ და მემარჯვენეების წისკვილს წყალს აწედიდენ.

რა მდგომარეობაა ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში? აქტიობა მემარჯვენე ხაზით, ან შემარავი მემარჯვენეობა, უკეთეს შემთხვევაში — მნიშვნელოვანი დუმილი. ერთის შხრივ—მხატვრულ მწერლობაშიც მემარჯვენე ფრთის გაძლიერება, მიტმასნების ტენდენციების თვალ-

საჩინო გაფართოება, რითაც მხატვრულ ლიტერატურაში ანტი-საბჭოთა იდეების გამოტანას ცდილობენ. მეორეს მხრივ კი თანამდებობის კრიზისი, „ქართული მწერლობა“ მოწყვეტილია აქტუალურ თანადროულობას და მოკლებულია თემატიურ სიახლეს. (ზოგიერთების გამოკლებით).

მოცემულ კრიტიკულ შენიშვნებში გაკვრით შევჩერდებით მე-მარჯვენების მხოლოდ კონკრეტულ მაგალითებზე. ქართული მე-მარჯვენე კრიტიკული ლიტერატურა ჯერ პარტიზანულ, კონტრ შეტევებზე გადმოდის და ცდილობს ჩენი ლიტერატურული კრი-ტიკის სიმაღლეების დაკერას.

ამიტომ აუცილებელია ჩენის კრიტიკულ შესაძლებლობათა მეტი დარაზმა და მოცემულ ფრონტზე აზროვნების ბოლშევიკური ია-რალის სათანადოდ ამჟავება.

პლასიური მონის ხაზი

აღსანიშნავია რეაქციონერი აკადემიკოსის ეფრემოვის წერი-ლი, რომელიც ლვოვის განეთში დაიბეჭდა და რითაც ცდილობს ისეთი იდეური ატმოსფერის შექმნას პლუტონიატიულ დასავლეთში, თითქოს უკრაინის „ხალხი“ მმართველობის საბჭოთა სისტემით „უქმაყოფილოა“. იმ კრიტიკულ მომენტში კი, როდესაც ახალი იმპერიალისტური ომის სატროხე კონკრეტულად წიმოიჭრა, შავ-რაზმელი ეფრემოვი აგზავნის გერმანიაში დასაბეჭდად სტატიას: „უკრაინის ლიტერატურის ისტორია“, საღაც სხვათა შორის შემდეგი პროვოკაციული ადგილია: — „საბეღლიეროდ, იმათ გარდა (ე. ი. პროლეტ-მწერლების) მრავალი ნამდვილი უკრაინელი მწერალია. ისინი უუფლებობისა და თვითნებობის საშინელ პირობებში ჩუშაო-ბენ, რაც ნიკეს ამახინჯებს“¹⁾) და სხ.

განა ანალიგიურ განწყობილებებს არა აქვს ადგილი საბჭოთა საქართველოში? განა ქართველი მრავალრიცხოვანი ინტელიგენციის განსაზღვრული ფენები ასევე არ აზროვნებენ? — რასაკირველია. საქ. კ. პ(მ) მე-V მოწვევის ცეკას IV პლენუმზე თავის სიტყვაში ამბ. შიხ. ძახიანშა შემდეგი განაცხადა:

„...ვიზ ვითუვით, რომ ჩენ არ გვიავდეს მტრულად და ნა-ციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციის დიდი რიცხვი, რო-მელიც ხისინებს და ხურს საბჭოთა ხაქმის წახდენა“. საილუსტრა-

¹⁾ კევის ოქტომბერის აროვანების შტრულად და ნა-ციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციის დიდი რიცხვი, რო-მელიც ხისინებს და ხურს საბჭოთა ხაქმის წახდენა.

კიონდ მას სხვათაშორის შინა ემიგრანტის გრიფოლ ლორთქიფანიძის „საპროცედურო“ მოსაზრებაზე მოჰყავს:

„საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო თვებრივი კონსოლიდაციის პროცესი მოგვადონებას იმ სანთელს, რომელსაც თავსა და ბოლოში ყალბად გაეცემოდი ინტერნაციონალიზმის ცეცხლი უკიდია და სწავას მას. ზევიდან მას უკიდია რუსული „ზაკულევრაციის“ ალი, ზოლო ჰევილმ რუსულად და თურქულად სწავას და აღნიბს მას ერთონულ უმცირესობათა საკითხების არა ინტერნაციონალისტური, არამედ ობექტურად ანტიქართული გადატრა. საკითროა ამიტო კავკასიის უდევრაციის გაუშემბა და საბჭოთა კავშირში საქართველოს უშუალოდ შესულა, აქედან გამომდინარე შედეგებით“ და ს.

ეფრემოვის და ლორთქიფანიძის „ნათესაბური“ მოსაზრებანი ამავე დროს ჩვენი ინტელიგენციის გარკვეულ ანტისაბჭოთა და „ნეიტრალური“ ფენების განწყობილებებია, რასაც, ერთი მხრით, უნდა კუპასუხოთ ჯერ არახული ეკონომიკურ კულტურული შენებლობით, რომელიც ყოფილ რუსეთის იმპერიის შემავალ ერებს შორის სათანადო ტემპით სწარმოებს და, მეორეს მხრივ, აქტიური იდეური ბრძოლით შოვინისტურ და ყალბ დემოკრატიულ განწყობილებათა შინააღმდეგ.

მ. წ. „არიტიონებზე“ არას ვიტყვით, ვინაიდან ეს მემარჯვენე რეაქციონური „ლიტერატურული“ დენა სათანადოდ იქნა შეფასებული ჩევნი პრესის მიერ და უკვე „წარსულს“ წარმოადგენს, თუმცა ნიშანდობლივია, რომ ქართველი ინტელიგენციის მემარჯვენე ნაწილის იდეური ორიენტაცია კვლავ „არიტიონის“ განწყობილებისაკენაა. გერონტი ქიქოძის ნაციონალისტური და რეგრესიული მოსაზრებანი, როგორიცაა:

ან ჯვარის მონასტერი:

„მშატტერლი თვალსაზრისით უფრო მონაცემენტრალურ შეთაბეჭდილებას ახდენს ვიზუალურ ძეგლ მშევრის პირას აგებული იონიზირობის სათვალისა”.

და სხვა, ფეოდალური წარსულის, ყოფითი ჩაბორჩენილობის იდეალიზაცია და რომანტიზაცია, — ანტისაბჭოთა ელემენტების იდეური შთაგონების წყაროა და დროშა.

Յունական պատմությունը ար համուշուրցեցա „Ըստ մակա-
րիության“ խաչի դա հայոց և սովորությունուն զանցած աղքա-
ծութեան մուգաման դա, հոգդեսաւ օլնութեալնե մոցաւուղեատ և սեղա-
գամուն կլասուցուսն, թաշունց շուրջ, „Քարտուլու միջրուղեան“ հոգելումը



მომივატელო კალმოსანი გვისაყვედურებს, რომ ჯავახიშვილის პროფესია
დუქტიას „ციფად და უსამართლოდ“ ექურობიან, მაშინ როდესაც
პატივებიშული ბელეტრისტი „ჩენს ცხოვრებას გულწრფელათ გვი-
შუებს“. მართალია, იპ. ვართაგაგაც ცდილობს თავის ბროშურაში:
„შ. ჯავახიშვილის შემოქმედება“ დაგვიმტკიცოს, რომ პატ. პროზაკი
საბჭოთა სინამდვილეს გულწრფელად იძლევა, რომ ის პორნოგრა-
ფიული მწერალი არა და სხ., თუმცა ფაქტები საწინააღმდეგოს
ლაპარაკობენ. ჯავახიშვილის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი
ანტისაზოგადოებრივი და მემარჯვენე ხასიათის ფაქტებია; ან მწერა-
ლი მნიშვნელოვად დუმს, ვინაიდან „სული დაცალიერდა და ელექ-
ტრონით არ შეიძლება მისი ამოქსება“.

თუ რამდენად ნიშნეულია თანამგზავრობის (რაც, რასაკვირ-
ველია, მწერლების თანამგზავრული კადრის ყალბობას არ რიცხავს.)
გამემარჯვენების როული პროცესი ეს, სხვათა შორის, მიხ. ჯავახი-
შვილის შემოქმედების კონკრეტული მაგალითებითაც მტკიცდება
(იხ. კულაკური იდეოლოგიის მატარებელი ცნობილი: „დამპატიუ-
და ობიექტურად პროლეტარული საზოგადოებრიობის წინააღმდეგ
მიმართული „შავი კლდე“).

უურ. „ქართულ მწერლობაში“ № 10—11 მოთავსებულია
ჯავახიშვილის მთლიანად ანტისაბჭოთა და მეშჩანური მოთხრობა
„შავი კლდე“ არსებითად პროლეტარული საზოგადოებრიობის,
ახალი ყოფის და ფორმაციაში მყოფი ახალი ეთიური ნორმების
წინააღმდეგ მიმართული. ამ მოსახრების გასამაგრებლად მოგვყავს
კრული ამონაწერი აღნიშნული მოთხრობიდან, რასაკვირველია,
უკომენტარიოდ, ვინაიდან ამონაწერი თავისთავად კომენტარიებია
მემარჯვენე მწერლის იდეურ განწყობილებათა დასაქერად. გვი
შადური, რომელიც ჩენსის აზრით, ობიექტურად თვით აეტორია,
ქეიფის დროს შეკიტიებული (ესეც ერთვარი ხერხია!) „ტრადი-
ციული“ სუფრის გარშემო შემომსხდარ „ქართველ მწერლებს“ შემ-
დევს მიმართავს:

„თქვენი კალამი... მაგრამ უკანასკნელ დროს თქ-
ვენს კალამისაც და ჯიბესაც რაღაც სენი შე-
ებარა, თითქოს თრივენი და სარილუნაც დან, დაი-
ლივენენ. ამის გამო მეც დავლონდი და ჩენი მედუქნეც დაობლდა.
დავღონდი, რადგან ნასუფრალი დამაკლ და-
აღარც თქვენი ყივილი მესმის, მაგრამ მე ათასი
რამ არ მესმის და ბევრი რამ არის ამ ქვეყნად
გაფეხდარი...

ხშირად ებარობ ძველ სიტყვებს, მეცობრებო, მაგრამ შეიძლება
ადამიანს დილით დილამდე ძველი სიტყვები

ე კ ვ რ თ ს პირ ზე და ამავე ეპოქის ერთგული
იყოს. ამ შირივ ეპოქის მოხარუქ ვარ. უკეთეს სურვილსა და ერთგულებას ვაძლევ წარკად. ამაზე მეტი არა მაქს რა და მეტს ნურც მომთხოვთ, რამეთე, ფრანგებისა არ იყოს, ულამაზეს ქალსაც კი იმაზე მეტის მოცემა არ შეუძლია, რაც მოვალეობაა. მეც უკლებლივ ვიძლევი ყველაფერს რაც კი მომეცოვდა, მორჩა და გათავდა! ეხე—ხე!

რა მიბრძანეთ? რას იძლევით? ყველაფერს, ესეიგი არაფრისგან არა-ფერს, რადგანაც არც არაფერი გამანინია, გარდა ღვინის წყურვილისა, თქვენი მაღლის რწმენისა და უკეთესის იმედისა.

აი ზედმეტი აღამიანის „ფილოსოფია“, რომელსაც „ძველი გული“ აქვს და ამავე დროს „ეპოქის ერთგულიცაა“ და „უკეთესის იმედით“ აღჭურუილი, წმინდა ცხოველური ინსტინქტით შეირაღებული, რომ ცხოვრებამ მთლიანად არ გაანაპიროს ის:

„ქვეით ზე როგორ არის გივი შადური? გული დედობის უარესად და ხელი დედობის უკავებისად. ერთ დროს აღმა ავდიოდი, მერე კი თავქვე დავაშვი და ჩემი თავი ვეღარსად შეგაყინე“.

რამ აგა შფოთათ, დევებო დღევანდელმა კრიტიკაში თავი დაანებეთ, ისევ დუმილი სჯობია, რადგან დუმილი, დამიჯვერეთ, უდიდესი სიბრძნეა და ნამდვილი ხელოვნება. თქვენც კრუა მოიკრიფეთ, იყუჩეთ და შემოქმედების გზით იარეთ. მოვგხენებათ, ზოგჯერ თქმა-სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისთ.

ერთსაც გრტყელი, კაბუკებიც ამ ქვეყნად მთოლოდ ის ცხოვრობს, ვისაც მაღადა და კემოვნება აქვს. დანარჩენები კი მეზრანები არიან. თქვენ კი...

მარტო თქვენთვის მოუყია ბენებას მაღაც, გემოვნებაც და სიმართლის გრძნობაც. კალის ყური ფეხზე აქვს, პოეტს კი გულში. სრული სიმართლე გიშის ნაბოდვარია. არ ყოფილი, არ არის, არც იქნება. მანც, ვისაც სიმართლის ყური დაეხსო, კალამი უნდა გადასტეხოს და სტატისტიკას უნდა მიუჯდეს (sic!—ვ. ლ.) რადგან სიმართლე... (ბრძანეთ, ბრძანეთ, პატ. ჯავახიშვილი!—ვ. ლ.).

სიმართლის სამსახური დონკიბორის საქმეა რა იცოდა უბედურმა, რომ სიყალბეც და სიმართლეც თანაბრად საგირო ყოფილა ხალხისათვის. თქვენ, პოეტები, ცოტებო, ცხოვრებაში თქვენც დონკიბორი ხართ, სხვები კი სანჩო-პანჩოები არიან. ამიტომ მარცხდებით მუდამ, ამიტომ იმარჯვებენ მეზრანები. საწყალი სანჩო-პანჩო ურიგოდ მოვისხნე. მშერლობაში მახვი უარესებიც არიან. ერთ ბერს ვიცნობდი. მთვარიან ლამეზი კეტს აიღებდა, მდევლზე გავიდოდა და საარშიგოდ გამოსულ ქალვა-ზებს ღრიალ-მუქარით ერკეცხოდა.

ასეთი ბერები მწერლობაშიც გამრავლდნ. კი ტებით დასდევენ მთვარეს, ლამაზ ქალებსა და მომხიბლავ სიტყვებს. არ გაექცეთ, პოეტები თქვენც აიღოთ მარგილები და ურტყით მათ, გარეკეთ, გააჩუმეთ, თავიანთ საქართვეს დაუბრუნეთ ვინაიდან „მოვრიან ლამეში კამერიც კი აბლაფლება, თორემ ადამიანი როგორ არ ამღერდს!“ ვირა ზევით ვერ აიხდეს, ვარსკვლავების კამეამს ვერ დაინახას, მათ იდუმალებას ვერ მისწერება, მაგრამ როცა დრო მოუვა, ისიც კი გაიქინოთება ხოლმე მშენებელების გრძნობით“ და სხვ.

როგორც აღნიშნეთ, კომენტარიები ზედმეტია, ვინაიდან ეს „დიპლომატური“ პასუხია ყველა იმ „კომუნისტურ გამოსვლაზე, რომელიც აღმანას „არითიონის“ გამოსვლამ გამოიწვია.

მოძ. დანელია და „ქართველების ტალადია.“

„ტრადიციული“ ქართველი ჯერ კიდევ „არქეოლოგის“ არ წარმოადგენს. ქართული მწერლობის მემარჯვენე ელემენტები ენერგიულად დაილობენ ჩვენი პერიოდული და არაპერიოდული ორგანების ლიტერატურული კრიტიკის და ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკული შეფასების ხელში ჩაგდებას და საბჭოთა ლიტერატურული აზრის მარჯვნივ წარმართვას.

სახელგამი სცემს სერიას: „სასკოლო ბიბლიოთეკა“ (მთლიანი შრომის სკოლებისათვის ქართული ლიტერატურის პროგრამის მიხედვით) და უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ „სისტემაზე“ გადასვლა მეთოდურად და მკითხველის დაპყრობის თვალსაზრისით გაძართლებულია; საბჭოთა სკოლას ელასიკოსები და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა ცალკე წიგნაკების სახით ეძლევა. ჩეენ ამას ვეგებებით, მაგრამ რა შეუშია აქ კ. კიკინაძე და გრიშაშვილი, რომელნიც საბჭოთა სკოლას ზიანის მეტს არას მოუტანენ.

მართალია, სახელგამის მიერ გამოცემული „ბიბლიოთეკა“ განსახუმის მიერ პროგრამებშია შეტანილი, როგორც სასკოლო მასალა, მაგრამ ეს ცოტას ნიშნავს, ვინაიდან ბიბლიოთეკის გაერტყლების შესაძლებლობა სკოლის ფარგალს სცილდება. რადგან მოცემული სასკოლო ბიბლიოთეკა სკოლის გარეთაც მასიურ ხმარებაში იქნება, ამიტომ აუცილებელი იყო ყოველ წიგნას პატარა წინასიტყვაობა და კომენტარიები დართოდა და რედაქციულად უკეთ დაპუშავებულიყო. როდესაც ვიბრძვით ნაციონალიზმის, კონსერვატიზმის, რელიგიური ბურუსის და ყალბი დემოკრატიზმის წინააღმდეგ და ამავე დროს წიგნის ბაზარი „იანიჩარებით“ და „მეზაერის წერილებით“ ივსება, ამას შეუძლია ხელი შეუწყოს არა საბჭოთა საქმეს.

ჩვენ კლასიკების წინააღმდეგი არა ვართ, ისიც მოგვეხსენება, რომ კლასიკური შეერლობა არქეოლოგია, ან წინაისტორიული მა-შონტის ეშვი არაა, მაგრამ საჭიროა მათდამი ჩვენი კლასიკური დამო-კიდებულების გათვალისწინება. ზოგიერთების მოთხოვნა კი კლასი-კოსტების „გრიმის“ გარეშე გამოცემა, ე. ი. წინასიტუაციამათა და კომენტარიების გარეშე, ყოვლად დაუშვებელია მიმდინარე პერიოდში, წარსული კულტურის კლასიკურ გამოყენების წლებში; მაგ. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში პირველ პლანზე მსხვილი მემამულის კლა-სიური განშეყობილებია წამოწეული, რაზედაც მარქსისტულმა კრი-ტიკამ იმთავითე სათანადოდ მიუთითა და ილიას და სხვათა კო-მენტარიების გარეშე მასიურ მკითხველისათვის მიწოდება იდეოლო-გიურ-ლიტერატურული რიგის დანაშაული იქნება.

ან და ავილოთ საერთოდ ჩვენი კლასიკოსების დამუშავების და გამოცემის საკითხი? ვინ ბებიობს მათ? ჩვენდა სამწუხაროდ, იდეო-ლოგიურ—ლიტერატურულად არასაიმედო ხალხი ან ისეთი ელემენ-ტი, რომელიც „გრიმის“ წინააღმდეგია საერთოდ.

ვის ხელშია ქართველი კლასიკოსი? სახელგამი სცემს ვაეს, აკაფის და სხვ. რედაქტია, კრიტიკული შეფასება და, საერთოდ, მთლიანი დამუშავება კი იმ ელემენტის ხელშია, რომელიც პირით წარსულისაკენაა და არაეთარი „გაგება“ არ აქვს ჩვენი ეპოქის იდეოლოგიურ-მხატვრული ბუნების.

დე, ამ საკითხს სერიოზულად ჩაუფიქრდენ დაინტერესებული ორგანიზაციები: ჩვენი კლასიკოსი სხვის ხელშია!

მოქ. ხ. დანელია თავის „ფილოსოფიურ“ ლიტერატურულ ეტიულში, ყოვლად სუბიექტურ და ნაციონალისტურ ბროშურაში: „ვაკა-ფშაველა და ქართველი ერი“, ნაციონალისტური აზროვნების ვიწრო ინტერესებით ამოძრავებული, შემდეგსა სწერს: თურმე: 1. ვაკაში მოცემული ყოფილა „ქართველური განკლა“. 2. კაცობრიო-ბის შინაარსს ინდივიდუალიზმის განვითარება შეადგენს. 3. აღმო-სავლეთის ხალხი უისტორიო, ქართველი—ინდუვიდუალისტი და სხ. 4. გეოგრაფიული მდებარეობა ქართველთა წერა ყოფილა, რომელთან ბრძოლა ქართველთა ტრაგედიას შეადგენს (sic!) და სხ. არანაკლები „ვაკადემიური“ მოსაზრებანი. ჩაუკეირდით საქმიანად ყოველივე ამას და ადვილად მიხედვით, თუ კონტრ-რევოლიუციო-ნური იდეები და განშეყობილებები როგორი მოხერხებით პოულობენ თავშესაფარს პატარატანია! ¹⁾ კრიტიკულ ბროშურებში და საუწყებო

¹⁾ იხ. ჩვენი წერილები: „ქართული მწერლი ბა“ და რომ-სტოის იუბილე „და ქამსახურდიას „ახალი ევროპაშ“ მოთავსებული გას. „ახალგაზრდა კომუნისტში“.

უურნიალებში. დააკვირდით მოქ. დაწელიას მოსაზრებათა ოფიციალური შემატებით, თუ როგორის მოვლით გადმოდიან ჩექენი იღეური მო- პირდაპირენი კონტრ-შეტევებში. ქვეყანა ჩალით როდია დაფარული... და როდესაც ასეთ შემოტოვებს სათანადოდ შევაფასებთ, მაშინვე ისტრიკას მოაწყობენ და პროვოკაციულად აყმედდებიან:

„ჩემ, სადაც მოწინააღმდეგვთა თავისუფალი ბრძოლა იღეოლოგიურ სფეროში არ არის უსრუნველყოფილი (თუ გნებავთ სახელმწიფოს კონსტი- ტულით), იქ იღეოლოგიაც არ არსებობს და მისი ადგილი იღეოლოგიის სუროვატს აქვს დაპერილი“ (დანები).

„გამბურგის საფუძველი“ და ე. ჭ. „შემარტონის მიერადებული“

შელოვსკის თვალსაზრისით, გამბურგის საფუძველი სავალდებულოა მხატვრულ ლიტერატურაშიც. მა „საფუძველი“-ით სერაფიმოვიჩი და ვერე- საევი არ არსებობენ, ისინი ქალაქს ვერ აღწევენ. ჰამბურგში ბულ- გაქოვი ნოხთანაა. ბაბელი მსუბუქი წონისაა. გორკი საექვოა; ხლებ- ნიკოვი—ჩემპიონია¹⁾.

გასაგებია: ლიტერატურული მოცემენა საზოგადოებრივი, კლა- სიური მნიშვნელობით კი არ ისაზღვრება, არამედ მხოლოდ ფორ- მალური ნოვატორობით. შელოვსკისათვის სრულებით არაფერს არ ნიშნავს, რომ რეალური მკითხველი გორკის და სერაფიმოვიჩის მხარეზეა; მისთვის ანგარიშში მისაღებია მხოლოდ ფორმალური კვალიფიკაცია. ასევე ფიქრობენ ტფილისელი „მემარცხენებიც“ და ამიტომაა, რომ მათი მხატვრული პროდუქტია თანამედროვე არაა თემატიურად და განწყობილებებით და კუსტარულია ფორმალური კვალიფიკაციის თვალსაზრისით.²⁾ ასე რომ შელოვსკის საღირიერო ჯობის ქვეშ თამაში ბევრს არას მისცემს მათ! მაიაკოვსკის მიერ „ლეფ“-ის დატოვება და „ახალი“ ლოშუნგები—გაუმარჯოს პოემის და ლექსს; რეპრინტის რეაბილიტაცია და სხვა—ორგანიულად უახლოვებს მაიაკოვსკის აქტუალურ თანადროულობას, თუმცა ლეფიც და მაიაკოვსკიც ჯერ კიდევ გზაჯვარებინზე.

სასურველია ჩეკნა „მემარცხენებმა“ მიბაძონ მაიაკოვსკის და თანამედროვეობის რელსებზე, ხასიათლებიან იაფფასჩანი ინტელი- გენტური სკეპტიკიზმით, ლოიალურ—უპარტიო“ თემატიკით, მე-

¹⁾ იბ. შელოვსკი: „გამბურგის საფუძველი“.

²⁾ რასაკეირველია ზოგიერთის გამოკლებით—ვ. ლ.

ლანქოლით, ხელოვნების თეორიაში საზოგადოებრივი მომენტის განაპირებით და ხშირად პროლეტარული მწერლობის საწინააღმდეგო გამოსცემებით, რაც მათ ობიექტურად პროლეტარული საზოგადოებრიობის ნილაბაფარებული მტრების ბანაჟში აყენებს. ასეთია ე. წ. „მემარცხენების“ დღვევანდელი იღებულ-ლიტერატურული სახე.

აუცილებელია სათანადო თვალყური ვადევნოთ იმ რთულ პროცესებს, რომელიც „თანამგზავრული ლიტერატურის“ ფრონტზე წარმოებს. დამახასიათებელია კონსტრუქტივისტ კორნელი ზელინსკის განტხადება, რომ კონსტრუქტივისტი „თანამგზავრები“ კი არ არიან (ცნება თანამგზავრი „მოძველებულია“), არამედ „თანაპროლეტარული“ (сопролетарские...) ძრევლები. ჩვენ ეს ნაწილობრივ გვესმის, მაგრამ როდესაც ტფილისელი ე. წ. „მემარცხენებიც“ დაახლოებით ანალოგიურ მოსახრებას შლიან და ისიც უტაქტო ფორმებში,— ეს უკვე საზოგადოებრივ—ლიტერატურულად გაუმართლებელია.

ჩვენის აზრით, მიმდინარე პერიოდში საჭიროა, ამხ. ლ. ავერ-ბახის არ იყოს, „თანამგზავრების ხელახალი რეგისტრაცია“.

გეგმაჯვენი საზოგადოება მარქსისტულ დიოზისათურულ პრიტიკაში

მაგრამ ყველა ეს იმდენად ჩიმაფიქრებელი არაა, რამდენადაც ის მოვლენა, როდესაც მარქსისტული სალიტერატურო კრიტიკა იდეურ დასმობათა პრლიტიკის ატ.რებს, მარქსისტულ ხაზს ღუნავს.

ჩვენში ნაწილობრივ ადგილი აქვს მემარჯვენე გადახრას მარქსისტულ სალიტერატურო კრიტიკაში და თეორიაში, რაც უნდა იქნეს გამომელავებული, სათანადო შეფასდეს და ხელი შევეწყოთ ამ იდეური ქვეშმოყოლის მდგომარეობიდან მისი გამოყვანის საქმეს.

„მემარჯვენე“ გადახრა კომუნიზმში, ხაბჭოთა განვითარების პირობებში, სადაც კაპიტალიზმი უკვე დამხობილია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მისი ფუსტები მოგლეჯილი, ნიშნავს იმას, რომ კომუნისტების ერთ ნაწილში თავი იჩინა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზიდან ბურჟუაზიული იდეოლოგიისაკენ გადახრის ტენდენციამ, რომელიც, მათთანავე, ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და, თუ გნებავთ, საქმაოდ შეგნებულიც. (სტალინი).

ასევე შეიძლება ითქვას პირობით ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეზე. როდესაც ამ. რაცდენ კალაქ „მოითხოვს“, რომ ქართული პროლეტარული მწერლობა „ეროვნული იდეით“ უნდა ხასიათდებოდეს, ეს უკვე ნაციონალისტური პლატფორმაა, რომელსაც

ქართული პროლეტარული, ინტერნაციონალისტური მწერლობის
განვითარების გზებთან არაფერო იქვეს საერთო.

საბჭოთა პირობებში ეროვნული კულტურის მშენებლობას მე-
მარჯვენები თვით მიზნათ აქცევენ, ვერ ერკევეიან რა, რომ ეროვ-
ნება და ნაციონალური კულტურა იხორისული კათევორია.

ჩვენთვის ეროვნული კულტურის მშენებლობა საბოლოოდ ეროვ-
ნული კულტურების მთლიანი შეერთების, ეროვნებათა უკველგვარი
ასიმილაციის საშუალებაა. ჩვენ ვაწარმოებთ ეროვნული კულტურების
მშენებლობას, კომუნისტური (არაეროვნული) კულტურის გამარჯვები-
სათვის. ზედმეტი არ იყო ეს სცოდნოდა რაედენ კალაძესაც და ზემ-
ჩინია „საკუთარი“ ეროვნული თეორიის არათანამედროვე ხასიათი.

როდესაც ამხ. შ. დუდუჩიავა „ცისფერყანწელებს“ რეოლუ-
ციის ლიტერატურულ თანამგზავრებად, ხოლო ალიო მაშაშვილის
ობივატელურ, ფორმალურადაც გაუმართლებელ ლექს „დარიალს“...
ჩვენი ეპოქის „მუსიკალური რიტმის შეგრძნობად“ სთვლის (იხ.
ა/კ. პროლეტმწერალთა ასოციაციის პირველი პლენუმის სტენოგრ.
ანგარიში), ეს უკვე პროლეტარული იდეოლოგიის გენერალური
ხაზიდან წვრილ-ბურუჟაზიული იდეოლოგიისაკენ გადახრის ტენდენ-
ციაა, რომელიც „მართალია, ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და, თუ
გნებავთ, საქმაოდ შეგნებულიც“. როდესაც დამწერები რეცენზიენტი—
გ. მუშიშვილი პროლეტარულ მწერლობას პროლეტარული კრი-
ტიკისაგან იცავს და კ. კალაძის რამოდენიმედ მემარჯვენე ფაქტს
(„მსჯელობა მომავალი საქმეების გამო“.) ამართლებს—ეს უკვე მარქ-
სისტელი კრიტიკის გენერალური ხაზიდან წვრილ-ბურუჟაზიული
იდეოლოგიისაკენ გადაბარგების ტენდენცია და უკველაზე სახიფათოც,
როდესაც ჩვენი პარტია ენერგიულად იბრძვის ნაციონალიზმის, მეშ-
ჩინური განსაზღვრულობის და ოპორტუნიზმის წინააღმდევ.

პროლეტარული მწერლობის დღიური

შენიშვნები ლირიკული პოეზიის შესახებ.

წერილი პირველი

მხატვრული ნაწარმოების უანრები ორი გზით ჩნდებიან; შინა-
ვან, ბუნებით მონათესავე ხერხების შეერთოებით, ან ისეთ ცალკეულ
ნაწარმოებით, რომელთაც ჰქონდათ საერთო მნიშვნელი შექმნის პი-
რობების, დანიშნულების და ათვისების სახით. ასეთი ნაწარმოები

წარმოშობენ ლიტერატურულ ტრადიციას, გაიჩენენ მიმბაძველებს, გამგრძელებლებს და თანდათან ჩამოიყალიბებენ სპეციფიური ხერხების ჯამს, რომელთაც უანრი ეწოდება. უანრების ბუნება დიალექტიური განვითარებით მიმდინარეობს. საზოგადოებრივი წყობილების ცელასთან ერთად უანრები იცვლებიან და იღებენ ისეთ კონსტრუქციას, რომელიც მათ ახალი გარემოს მოთხოვნას შეასრულებინებს (ე. წ. სოციალურ დაკვეთას). მაგ.: საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში „დაბალი“ ფენების, მშრომელი ხალხის ამოძრავებამ, ბარათაშვილის წმინდა ლირიკის „მაღალი“ უანრები—ელეგია და ფილოსოფიური განხრის ლექსები—შესცვალა აკაკი წერეთლის ლირიკის „დაბალი“ უინრით—სატირით და რომანსებით.

უანრები კვლებიან (მაგ. მაღრიგალები), მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისინი დროებით გადიან პოეზიიდან, რომ შემდეგ, შესაფერ ეპოქაში, კვლავ გაცოცხლდენ. მაგ.: „ცისფერი ყანწების“ წმინდა ინტიმური ლირიკის შემდეგ სატირული უანრის აღდგენა პროლეტარულ პოეზიაში.

ლირიკულ ლექსში სიტყვა იხმარება არა მარტო როგორც შინაარსობრივი ერთეული, არამედ როგორც მხატვრულად ლირებული ბგერების კონა. ლექსის კულტურის გაზრდამ მოითხოვა ფონეტიური ხაწილები ხმოვან და თანხმოვან მარცვალთა შერჩევით. ყველაფერი ეს, როდესაც შესაფერ რიტმში გაიმართება, ზრდის სიტყვის ფუნქციონალობას, მაგ.:

ბარიდან ბარამდე სკდება ყუმბარები

(ა. მაჟაშვილი).

ამ სტრიქონში გადავალაგოთ სიტყვები მათი რაოდენობის და ენის სისწორის დაურღვევლად.

— ყუმბარები ბარიდან ბარამდე სკდება.

ამ სტრიქონების სქემატიური მნიშვნელობა იწვევს ჩვენში ხელვითს წარმოდგენას. ესლა სტრიქონს პირველი სახე მიეცეთ.

— ბარიდან ბარამდე სკდება ყუმბარები.

მიეკითხოთ სულ სხვა მდგომარეობას. ასე გაწესრიგებული სიტყვები წარმოშობენ ბგერით კომბლექსს, რომელიც აზრის ათვისებას, სმენითი წარმოდგენის გაჩენის გამო, აძლიერებს და აჩქარებს. პირველ მაგალითში, სიტყვების გადალაგების გამო, ბგერითი ორგანიზაცია დაიშალა; მისი ალდგენისათვის საჭირო იყო სტრიქონის ორ თანაბარმარცვლებიან მუხლად გაყოფა.

ქართული ლექსის საფუძველს სილაბიური სისტემა შეადგენს (მარცველების თვლა) ამიტომ სმენითი წარმოდგენის წარმოშობაში მახვილს მცირე ადგილი უჭირავს.

რიტმის ნაგებობა დამოკიდებულია მარცვალთა რაოდენობაზე (უფროდ, ამით აისწება თეთრი ლექსების განუვითარელობა ჩეკში) მარცვლები აღვენენ მუხლებს; რამდენიმე მუხლის კონსტრუქციით კუთდება მეტრი და რიტმი.

სტრიქონში, მუხლებში შემავალ მარცვლების გამრავლებით ან შემოკლებით, თუ მათში შემავალი მარცვლების საერთო რიცხვს არ დავარღვეთ, მეტრი არ შეიცვლება მაგ:

ჩეკ სიცოცხლეში უფრო მეტი ამიტანია.

აქ სამი მუხლია: პირველი და უკანასკნელი მუხლი ხუთ-ხუთ მარცვალს შეიცავს, მეორე—ოთხს; ავილოთ მეორე, თოთხმეტმარცვ-ლოვანი, ორ მუხლად გაყოფილი სტრიქონი:

ჯოჯონეთის კერძებო, წამოდევით საომრად.

ორივე სტრიქონს ერთიდაიგივე მეტრი აქვს (14 მარცვალი), მაგრამ მეორე სტრიქონში მუხლების რაოდენობის შემცირებამ და მათში მარცვლების მომატებამ პირველისაგან სრულიად განსხვავებული რიტრი წარმოშვა.

ლირიკულ ლექსს სტატიური მომენტები ამოძრავებს:

1. და ჩვენს დაჩებილ გვამებზე
ქუსლით ვერ გადაუკლიათ;
2. სანამ ჭავას კავკასიონი
და მისი ცა დაგვხურია.
3. ხარობენ ჩვენი თვ ლები
ამოქოლვალი ქედებით;
4. მაგრამ თუ მტრები მოგვაწყდენ,—
ზვავებად გადმოვეშებით.

(პ. კალაძე)

აქ მოსპობილია ფაბულარული სიტუაცია და ლექსის სიმძლავ-რე პირველი სტატიური მომენტით გამოიხარება.

ხარობენ ჩვენი თვალები,
ამოქოლვილი ქედებით,

მიმყოლი მომენტის ემოციონალურ განვითარებაში.

მაგრამ თუ მტრები მოგვაწყდენ,—
ზვავებად გადმოვეშებით.

აღნიშნული წესით ლექსის კონსტრუქცია დამიხასიათებელია ქართული პროლეტარული პოეზიისათვეის.

ხშირია ისეთი ლირიკული ლექსი, რომელიც ფაბულის გარდა მოკლებულია სახეებსაც. ისეთ ლექსში რითმა ჰქონას ლექსალურ მა-ალას და აჩენს სატკვას.

მაში ასწით ზევით ეს თასებიც კაბური ღვიძინით,
დავლუცით ძობა, სიყვარული, ზრფელი ნდომები.
ჩვენ ამ ცხოვრებას ასჯერ ხომ არ შევეომებით,
ერთხელაც ქმარა, მეგობრებო; განვაგრძოთ ღობინი.

(ი. ვაკელი).

ამ ლექსს რომ ერთი სიტყვაც შეუბრუნოთ და რითმა მოაცილოთ, მაშინ ლექსალური სიტყვა დაიშლება, სიტყვები გაერთიანდობიან და დაუძლურდებიან, და ლექსი „რაღაც აკლია“-ს შთაბეჭდილებას დასტოვებს.

ლირიკული პოეზიის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს პარალელურ დი კონტრასტულ მომენტებით ემოციონალური გაშლა.

პარალელური მომენტებით ლექსის გაშლა ნიშნავს პოეტისა და მის გარეშე მყოფი მოელენის შედარებას და დაკავშირებას.

ქარი და წვამის წვეთები ხშირი
შწყვებოდენ, როგორც მწყდებოდა გული.

(გალაქტიონ ტაბიძე).

აღნიშნული ხერხი შეადგენდა ინტიმური ლირიკის დასაყრდენს და ამიტომ ვერ დაკანონდა პროლეტარულ პოეზიაში.

სამაგიეროდ დიდად განვითარდა კონტრასტული მომენტებით ლექსის შენება. პოეტი იღებს ურთიერთ შორის ძირულად განსხვავებულ ორ მდგომარეობას და მხატვრული შთაბეჭდილების გასაღიდებლად ავლებს მათ შორის კონტრასტს.

თუ აქ უძველეს წარმართულ დროში
იდგა არმაში, ციშემის მტერი,
შემდეგ კი ქრისტეს მედაოშე ქალმა
აღმართა ჯვარი და მონასტერი,

სამაგიეროდ წინსლის დღეებშა
გასწორდეს გზები უსახტაკესი,
და ძველ დროების შესაჯიბრებლად
ჩევნია ეპოქამ დასდგა ზაჟესი.

(იონა ვაკელი).

ა6:

ვიზავ ეული, ბედით წყეული,
მწარეს ჩვეული, ჩველგან თრეული,
ლამეთეული, ჭირში ძლეული,
ჭირვეული და ფერდალეული,

დღეს კი გზა ჩვენი,
გზა არჩეული,

გშა ახვეული და ჩახვეული,—
ჩაკაფული გაეჭის და დაძლეული,
და მეც ეღლი, ცეცხლად ჰდეული,
ცეცხლის ხმებით ვარ გატაცებული.

(სანდრო ეული).

ძველი ლირიკის გავლენით პროლეტარული პოეზიის პირველ
პერიოდში პრიმიტიული ხერხები შემოქმნა—ერთიდაიმავე სიტყვების
და გამოთქმების განმეორება.

მე მაისში მარტო ვიყავ, მარტო ვიყავ, მარტო, ობლად

მე ვმლერი, ვმლერი...

როცა ფიქრი, შავი ფიქრი...

(პეტრე სამსონიძე)

რამდენიმე, ფონეტიკურად განსხვავებულ, მაგრამ თითვების
ერთიდაიმავე შინაარსის მქონე სიტყვებით ერთი მდგომარეობის
გამოხატვა:

მე დავიღალე დავიტანცე!

ლექსის დაბოლოების შეკვრა იმ მომენტით, რომელიც მოცე-
მულია ლექსის დასახურისში:

და, კიდ ვ დავლევთ მწარე შხამს,
დავლევთ ბოლმას ცცარებით,
წითელმიან ქარიშაალს
ვიტრულით, ვენაცვალებით...

მაშ კვლავ დავლევთ მწარე შხამს
და სხვა...

(ა. მაშაშვილი)

ეს პრიმიტიული ხერხები უმოგარესად ელეგიას და რომანსებს
ახასიათებდა, რომლებშიც, ფაბულის და სახეების უქონლობის გამო
სიტყვების და გამოთქმების განმეორება და მსგავს განწყობი-
ლებათა სხვადასხვა ვარიაცია ანვითარებდა ემოციონალობას. ელეგია
და რომანი, როგორც მტკიცე საზღვრების მქონე უანრები, პრო-
ლეტარულ პოეზიაში არ არსებობდნ.

პროლეტარულმა პოეზიამ გააცოცხლა ლირიკის მაღალი უან-
რი—ოდა. მას ჩამოშორდა ფილოსოფიური და მოძლევებითი მხარე-
ები, რომელიც წარმოშობისას ოდის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს
წარმოადგენდა. პროლეტარულ პოეზიაში დღეს ფართედ არის გავრ-
ცელებული ორი კონსტრუქციის ოდა.

1. საზეიმო ოდა. მის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს დიდად მნიშვნელოვან მიეკუთხა ან საგანთა ჯამოსახატავად მაღალი ხმის აღება. საზეიმო მოტივების დიალექტიური განვითარებით ის აღტაცების საზღვრებამდე აღწევს.

საზეიმო ოდის საუკეთესო ნიშანია იონა ვაკელის ლექსი „ზაჰესი“:

ვიწყებ ხალისით ქებათა-ქებას,
თქვენც მეგობრები, გაშალეთ გული,
რომ ჩემი ლექსის უხე აფეთქებამ
მოგცეთ იმედი და სიცვარული!..

2. რიტორიული ოდა. მან თავისი წმინდა სახე დაქარგა. მაშაშვილმა რიტორიული ოდის ლექსალობას მიუმატა ორატორული სიტყვის იმიტაცია. ამით დიდად გაიზარდა სიტყვის ფიგურალობა (მაგ. „პოეტი—კაპიტანი“).

უკანასკნელ ხანებში სწრაფად დაიწყო განვითარება ფაბულა-რულმა ლექსებმა, რომელთა საერთო სახელი ბალადა ა. წმინდა ლირიკული უძრებისაგან ბალადა მით განსხვავდება, რომ ბალადაში მოცემულია ფაბულარული მომენტები, რომელიც ურთიერთ შორის მიზეზობრივი რგოლით არიან დაკავშირებული. უნდა აღინიშნოს, რომ ბალადას პროლეტარულ პოეზიაში ჩამოშორდა ფანტასტიური ელემენტი (მაგ.: შანშიაშვილის ბალადები) და კონკრეტობა მოემტა.

მაგალითისათვის მოვიყენ მაშაშვილის ძეელ მაზარას, მასში მოცემულია რიგი თანმიმდევარ ფაბულარულ მომენტებისა, რომელთა თანდათანობით სახეცვალებადობას და გაძლიერებას კარნაზობენ გარეშე მყოფი მოვლენები და ფაქტები.

გარეშე, მყოფი მოვლენით ამ შემთხვევაში „ნეპი“ ე. ი. იმ პერიოდის დადგომით, რომელიც ძეელი მაზარა უვარებისი ნივთია, გამოწვეულია მისი გაყიდვის სურვილი (პირველი მომენტი).

ხელში მიჭირავს, ტყვით დაჭრილ ჯარისკაციით,
ძეელი მაზარა; გასაყიდად გამოიწრული.

მაგრამ იმავე მოვლენის მიზეზით მაზარა არ იყიდება (მეორე მომენტი).

ჩემთვის არ ვარგა, სხვისთვის უფრო უვარებისია.

მაზარის გაუყიდველობა იწვევს გამყიდველის აღშფოთებას (მესამე მომენტი).

აქ, მახსოვე, ქვები პორცებით დამიკაცებია,
როცა ცყოფილვარ ჩემიც სისტლით პირმოშიამული,

რათ არ იფეოქებ, გულო ჩემო, რეინის მკერდიდან,
 როცა მოგესმის ჩახმანივით ვერცხლის ჩარუნი..
ბოლოში ისნება კვანძი და მოცემულია დასკვნა:
 დარეკავს ფამი, ბრძოლის შემბი აფეოქდებიან,
 და ეს მახარა სისმლის ფასად გაიყადება!...

ფაბულარული უანრის მეორე სახე, იგავარაკი, რომელიც ანეკ-
 ლოტის ფონზე იშლება და იძლევა საერთო დასკვნას, იგავარაკის-
 მორალს,—პოეზიაში, როგორც დაძოუკიდებელი უანრი, აღარ არსე-
 ბობს. განვითარდა სატირა, რომელშიც ამოიშალა სევდიანი ფერები
 რაც კლასიკოსებს ახასიათებდა, და გაძლიერდა დაცინვის და გაკილ-
 ვის ფერები.

მთელი რიგი ახალგაზრდა პოეტებისა მუშაობს დღეს სატირის
 უანრზე.

დღეს ლირიკულ პოეზიის არცერთ უანრს არ გააჩნია ის მტკი-
 ცე საზღვრები, რომლებიც წარმოშობისას ჰქონდათ მათ. ახალმა
 თემატიკამ და შესაფერად მისი გადამუშავების საჭიროებამ ახალი
 კონსტრუქციის უანრები მოითხოვა. ამიტომ ძევლი უანრი იშლება
 და ერთმანეთში ირევა. რამდენიმე შერეული უანრი იცილებს მო-
 ცემული ლიტერატურული ეპოქისათვის შეგუებელ ხერხებს, დანარ-
 ჩენი სავარგისი ხერხები ერთიანდებიან და აჩენენ ახალ უანრს.

შერეული უანრების აგებული ნაწარმოების ნიმუში მოგეცა კ.
 კალაძე „ზამთარში“. შევ ფაბულარული მომენტები თხრობითი
 ინტონაციით ვითარდებიან. რასაკვირველია, არ შეიძლება ერთი
 ლექსის მაგალითზე ახალი უანრის დაკანონება იმდენად, რამ-
 დენადაც მასში ნახმარი ხერხები მეორე ლექსში არ მეორდებიან
 და ამას ცდის ხასიათი აქვს (მაგ. კურსივი, ციტატა, მოხსენების
 იმიტაცია კალაძის ლექსებში), მაგრამ ეს ცდები იმათ არიან მნი-
 შენელოვანი, რომ ცდილობენ მონახონ მონათესავე ხერხები და ახა-
 ლი კონსტრუქციის უანრის ჩამოყალიბებისაკენ მიისწრავიან.

მიმართვით უანრში ცრუელისიკური პათეთიურობის აღვილს
 საუბრის იმიტაცია იქნებს. მაგალითისთვის დავისახელებ იმ უარივ
 ლექსს, რომლების სათაური წერილებია. პროლეტარულ პოეზიაში
 თანდათანობით იზრდება მიღრეკილება დიდი ფორმებისაკენ (პოემა)
 კალაძის „ძახილი აღმოსავლეთს“, მაშაზეილის „მე და ბარათაშვი-
 ლი“, ნაროვანების „ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში“, ხენე-
 ბულნი ნაწარმოები თავისი ხასიათით მეცხრამეტე საუკუნის მეორე
 ნახევრის რომანტიკულ პოემებს უახლოედებიან. მათში ფაბულარული
 ელემენტების ხარჯზე გაძლიერებულია ლირიკულ-ემოციონალური
 უკანდახევები.

კონ. ლორთვიფანიძე

„ჩვენ არ გარჩედით საქმეს და სიტუაციას;
მთქმელი მოსაქმეთ ჩვენ მიგვაჩინოდა
მხოლოდ და მაშინ ვიცანით მთქმელი,
როდესაც საქმე კარს მოგვდგომოდა...“

ა. ფურცელაძე („საპურობილე“).

გადაგრწევიტე გამოვაქვეყნო წიგნაკი რუსეთის სამ, საუკეთე-
თესო მწერალ—ადამიანებზე: რილევებზე, ნეკრისოვზე და ბეზიმენს-
კიზე.

პირველი თავისი დროის განათლებული აზნაურია, მეორე—
მებრძოლი ბურეუა, მესამე—მოწინავე პროლეტარი. მათში მთავა-
რია ის, რომ სამივე მოქალაქეები, ადამიანები არიან—თავიანთი
დროისთვის პროგრესიულნი.

პირველი ჯოჯოხეთური ბატონყმობის და მონარქიის წინააღ-
მდეგ მებრძოლი კონსტიტუციონალისტი—რესპუბლიკანელი იყო,
მეორე ბიუროკრატისა და უკულტურობის წინააღმდეგ ალესილი
დემოკრატი—განმანათლებელი, მესამე კი გადაგვარებული ბურეუა-
ზის და ძველი კოშმარული ყოფა-ცხოვრების მესაფლავე ბოლ-
შევიყი.

რილევი ეკუთხნოდა იმ თაობას, რომელსაც მტკიცედ სწამდა
ბრძოლის აუცილებლობა და მისი სარგებლიანობა:

Из искры разгорится пламя

— Азъободлуб ისინი:

ნეკრისოვი იმ გმირული თაობის წარმომადგენელია, რომელიც
ადამიანისაგან პირველ რიგში მოქალაქეობას მოითხოვდა:

Поэтом можеш ты не быть.

Но гражданином быть обязан

ბეზიმენსკი მებრძოლ პროლეტარული ახალგაზრდობის წარმო-
მადგენელია. იგი მუდამ მოუსვენარი და დაუდევარი ახალგაზრდუ-
ლი ბოლშევიზმის აპლოგიაა;

Я буду сед, но комсомольцем

Останусь юным навсегда

— Гვპირდება იგი

მაგრამ არი მარტო იმ სიტუაციისათვის გაფასებთ ამ სამ ადა-
მიანს, თქმასთან ერთად ისინი საქმის გამკეთებლებიც არიან. თა-
ვისი დროის მოწინავე იდეებისთვის ისინი მთელი არსებით და

არა მხოლოდ კალმებით იბრძოდენ. ამიტომათ, რომ ისინი აზ ეკუ-
თვინიან კაბინეტური ტიპის მწერლებს.

რილექტმა აღგზნებული და რევოლუციონური ლექსების წე-
რასთან ერთად თავი შეაკლა მონარქიის წინააღმდევ ბრძოლას. და
მაშინ, როდესაც არისტოკრატიული „ფრანგი“, მოლიბერალო კა-
მერიუნკერი პუშკინი სალონების „ექთილშობილ“ ქალიშეილებში
ქეუა მახვილობდა, რილექტი საიდუმლოდ რაზმავდა რუსეთის ახალ-
გაზრდებს თავდადებული შეტევებისათვის. პუშკინი წყნარ, მამა-
პაპურ მამულში სთვლემდა და ნელნელა ეპიურ პოემებს სწერდა,
მაშინ, როდესაც რილექტი აჯანყებულთა სენატის მოედანზე გამო-
ცვანისათვის სახრჩობელაზე ეკიდა...

ამის შემდეგ, რა გასაკუირველია, რომ პუშკინი რილევზე უფ-
რო კულტურული და პროდუქტიულია. მაგრამ პუშკინის უპირატე-
სობა ამ სუეროში მაინც რილექტის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ნეკრასოვი ფილტვებ და ცურეცილი და ფეხსაცმელში თითებ-
გამოგდებული ქუჩაში მოქალაქეობისა და კულტურისათვის ბრძო-
ლაში დაძრწოდა, მაშინ როდესაც ტურგენევი მებატონე მამიდის-
უამრავ მემკვიდრეობას წალმა-უკულმა ბანქოში და კაბარებში ფლან-
გავდა, პარიზში დენდურად კოხტაობდა, დღეში ორხელ იცვლიდა
„აბალებული“—ცრუკლასიური, ფუქსავატი „სიყვარულის“ ფუქსა-
ვატ ობიექტებს და ნელ-ნელა წერდა ტებილ-ტებილ რომანებს, ცო-
ტიოდენი ლიბერალიზმის დოზით.

და განა ამის შემდეგ საკუირველია, რომ ტურგენევი „უფრო
მხატვრულია“ ვიდრე ნეკრასოვი, თავისი მდგრადი, ხალხური (ტურ-
გენევისათვის კი „ბანალური“) ლექსებით? აქაც ტურგენევის „პრი-
ვილეგიები“ კიდევ უფრო ვიდრე, პუშკინისა რილექტის მიმართ,
ნეკრასოვის სასარგებლოდ ლაპარაკობენ.

ბეზიმენსკი რუსეთის პროლეტარულ ახალგაზრდობას გადამ-
წყვეტ რევოლუციონურ ბრძოლებისათვის კომკავშირში რაზმავდა
და ერთეულთი რეინის გზის სადგურის მმბოხებული რეინის გზელების
კომენდატი იყო მაშინ, როცა ესკრინი, ეს უსაქმო „ბოსიაკი“ კაფე-
შანტანებში ჰპოებდა თავდავიწყებას რევოლუციისაგან და მოს-
თქვანდა დაკარგულ კულაკურ სამოთხეზე.

ბეზიმენსკი ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის და კეშმარიტი პრო-
ლეტარული მწერლობისათვის მებრძოლ ჯგუფის „ნაპასტო“-ს ერთ-
ერთი ხელძღვანელთაგანი იყო მაშინ, როცა უტკანი, ეს რევოლუ-
ციის ობივატელი რევოლუციაში დაიარგული, ძელი სახლის
თავებზე სენტიმენტალურ ცრემლიან ლირიკულ ლექსებს სწერდა.

და არც იქნება საკვირველი, რომ ესენინი ან უტკინი ბეჭი-
მენსკზე უფრო მხატვრული და კულტურული ყოფილიყვნენ, მაგრამ
ქეშმარიტი პროლეტარული მწერლობის საბედნიეროდ ეს ასე არ
მოხდა.

დიახ, ამხანავებო გადავსწყვიტე გამოვაქეებუნო წიგნი, რუსე-
თის ამ სამ საუკეთესო მწერლებისა და მოქალაქეების შესახებ, რომ
ამით საქართველოს პროლეტარულმა მწერლებმა ისწავლონ:

რილევებისაგან — ეპოქის მოწინავე იდეაბისათვის თავდადებული
და გულწრფელი ბრძოლა.

ნეკრასოვისაგან — მოქალაქეობა და გადაულახავი საძნელების
გადალახვა.

ხოლო ბეჭიმენსკიდან — სიმტკიცე და ბოლშევიკობა.

მაგრამ... სამწუხაროთ (თუ საბედნიეროდ) ბოლშევიკობის
„სწავლა“ არ შეიძლება...

დიმიტრი ფურმანოვს ბოლშევიკობა გიმნაზიაში არ უსწავლია,
ის სამოქალაქო ომის ორომტრიიალში საკუთარი სისხლით სწერდა
თავის დღიურებს, ამიტომ არის ის რუსეთის მწერლებს შორის
ბეჭიმენსკისთან ერთად ყველაზე უფრო ახლობელი ჩვენი ეპოქი-
სათვის...

...ცხოვრება საუკეთესო მასწავლებელია...

...ბრძოლა კი საუკეთესო სკოლაა...

პლ. ჭიქოძე.

გამზადოთ „ნაპასტოველობის“. მთარბოლი დაოზა!

გულდასმით გადავიკითხე უფრ. „ქართული მწერლობა“ — № 8, 9, 10, 11, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მწერლების ფე-
დერაციის თვიური ორგანო სისტემატიურად გამოდის, მასში მნიშვ-
ნელოვანი თემატიური ძერა არ მომხდარა მარცხნიე! მწერალთა ყრი-
ლობის თანასუჯები ჯერ კიდევ გაუნალდებელია.

ორიენტაცია გაუმართლებელ თარგმანებზე და „გადმოკეთებულ“
(!) მოთხრობაზე, სენტრიმენტალურ — ბულვარულ რომანზე („ფალესტ-
რია“) და რეაქციონურ რიგის ნოველებზე (იხ. „ჯამუ“, „შავი კლდე“
და სხ.) ნეიტრალურ პოეტურ ფაქტებზე და სუბიექტურ — ლირიკულ
წერილებზე და სხ. — აი ის ასორტიმენტი, რითაც უფრ. „ქართული
მწერლობა“ საბჭოთა მომხმარებელს „აქმაყოფილებს“.

რის მაჩვენებელია ყოველივე ეს?

ბურუუაზიულ ტენდენციების ზრდა ნიშნეულია მხატვრულ ლიტერატურაში. ძველი თანამგზავრები კრიზისს განიცდიან. ქართული მწერლობის მემარჯვენე სექტორში გარკვეული გარეაქციონერების პროცესი სწარმოებს და პროლეტარული რევოლუციის კლასიურ ბუნებაში გვედავებიან.

„ჯამუ“, „შავი კლდე“ და სხ. — განსაზღვრულ სოციალურ ფენათა დაკვეთის ნიმუშებია. როვორც სჩანს შინაურ ემიგრაციას და საბჭოთა მეშჩანობას შეუძლია „დაკვეთა“ მისცეს „საბჭოთა“ მწერალს. გამსახურდიები და ჯავახიშვილები „გაბუტულ“ ელემენტებისათვის და გეშჩანებისათვის სწერენ.

მწერლების ნაწილი მითმასწების პოლიტიკას ადგას და ხოციალური მიმიკრიით ხასიათდება. მიმიკრიი კი საზოგადოებრივ—ლიტერატურული ბრძოლის ძალზე არასიმპატიური საშუალებაა. ამ ჯგუფს ეყუთნიან ის „იშვიათი“ ექსტემისტებიც, რომელნიც „აპოლიტური“ არიან და ცალი თვალით ბურუუაზიულ დასავლეთისაკენ გაიყურებიან (კრ. რობაქიძე და სხ.).

არსებობს მწერლების წევბა, რომელიც საზოგადოებრივად რიგითი მეითხველს ძალზე ჩამორჩია. მეითხველი ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის და საერთოდ ახალი ყოფის პრობლემებითაა იქტიულურად დაინტერესებული, როდესაც მწერლების აღნიშნული კატეგორია ძველი მხოცელმხედველობით და თემატიური მახალით იცოხნის.

მხატვრულ და კრიტიკულ ლიტერატურაში ნაციონალისტურ ტონის გაძლიერება, კულტურულ განწყობილებათა გაღმოლავება, პროლეტარულ ქალაქისადმი ანტიპატიური დამოკიდებულება და სხ. — მწერლის პროტესტია ხოციალისტური მშენებლობის მიმართ და ირონია ჩვენი მეურნეობის ხაკონტროლო ციფრებისადმი.

ეს პატივუმული გვამები სარგებლობენ რა ნაირ „ხერხებით“, ლირიკული უვერტიურებით და ჩართული მომენტებით, რაც ლიტერატურულ ფაქტთან კომპოზიციურად სრულებით არაა დაკავშირებული, ობიექტურად სუურტის გარედა სდგას, — თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას ამეღავნებენ პროლეტარული საქმის მიმართ. მწერლები მოთხრობაში „ხელოვნურად“ შემოთრეულ პერსონაჟების პირით მამაპაბეულ სუვრაზე სიტყვას იღებენ და აფურთხებენ რევოლიუციას, პროლეტარულ მშენებლობას (მაგ. „შავ კლდეში“ გივი შადერი, ანემიური მისტიკოსი კ. გამსახურდია, რომელშიაც ნიცვეს ძალლი ჰყენს? და სხ.)

მთავარი: ალნიშნული ელემენტები ანტიპროლეფაზულ განწყობილებათა ხტანდარტიზაციას ატარებენ და ანტი ხოციალურ განწყობილებების „ჩვეულებრივ“ ლიტერატურულ მოვლენად გადაქცევას ცდილობენ.

ასეთია „ქართული მწერლობას“ ლიტერატურული ფიზიონომია და ყბედობა, რომ ქართული მწერლობა „თემატიურად განახლებულია“, ეს იმას ნიშნავს „ამტკიცო“, რომ იაპონელი ქალები მამაკაცებს მხოლოდ კინემატოგრაფებში ეძლევიან...!

არაპროლეტარულ მწერლობის გამემარჯვენება და მეორეს მხრივ შემოქმედებითი კრიზისი თვალსაჩინოა, რაც ამავე დროს მათი მსოფლიმხედველობის კრიზისია, ზაგრამ შემცდარი იქნებოდა ხერთო ლიტერატურულ კრიზისზე ლაპარაკი.

ამიტომ მიმღინარე პერიოდში ჩვენი კრიტიკა „სწავლული“ კი არ უნდა იყოს, არამედ — მებრძოლი, პროლეტარულმა კრიტიკოსმა ნიღაბი უნდა ჩამოხსნას კლასიურ მწერს, განსხვას მისი შემოქმედების სოციალური აზრი და სტაბილიზაციაშინილ მწერლების და ლიტლიაზუფებათა იდეოლოგიურ — ლიტერატურული გადასინჯვა მოადგინოს.

გავშალოთ „ნაპასტოველობის“ მეპრძოლი დროშა!

3. ლუარსაშიძე-

მხატვრული ლიტერატურა და მითთა და პრობლემა

თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების მიმღინარეობაში მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაისვა მხატვრული ლირებულების მომხმარებლის — პეითხველის — პოენის საკითხი. დღეს ეს პრობლემა მეტად აქტუალურია. შეიძლება კიდევ მეტიც ითქვას: ის ერთ-ერთ მთავარ ლიტერატურულ პრობლემად არის წამოყენებული თანამედროვეობისათვის.

სრულიად სამართლიანად წერს პოფენშეფერი: „მეითხველის ათვისების ვათვალისწინების გარეშე არ შეიძლება არც კრიტიკა და არც მეცნიერული ლიტერატურათმეტყველება. თუ არ გავითვალისწინეთ რეაქცია, რომელსაც იწვევს მოცემული მხატვრული ნაწარმოები მეითხველთა სხევადასხევა სოციალურ წრებში, ისე არ შეიძლება ეს ნაწარმოები შესაფერისად იქნეს შეფასებული. ძველი ფორმულა: „მითხარი, რას კითხულობ, და გეტავი, თუ ვინ ხარ“ აქ სხევა სახეს

იღებს: „მითხარი, თუ ვინ გეითხულობს, და მე გეტუვი, თუ რომ წიგნი ხარ“.

მეითხველის პრობლემის შესწავლას, გარდა სხვა მრავალი მნიშვნელობისა (მაგალითად: შემოქმედების ფსიქოლოგიისათვის და სხვ.) მისთვისაც ექცია ყურადღება, რომ ამ გზით კველაზე უფრო არა კვევენ, თუ როგორ შეიძლება მეითხველი დაეუახლოვოთ ლიტერატურას და პირიქით ლიტერატურა მკითხველს.

ამ მეტად კარდინალური საკითხის შესწავლას ჩვენში ჯერ ჯერ რომით თითქმის არაეთარი ყურადღება არ ექცია, იმიტომ რომ ჩვენი მკვლევარები და თვით მწერლებიც მეითხველ მასას უყურებენ, როგორც ლიტერატურული მოვლინების პასიურ ამთვისებელს. ამ მხრივ ჩვენ ძლიერ ჩამოვრჩით როგორც საპჭოთა რუსეთს, ისე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს. იქ (ე. ი. რუსეთში და დასავლეთ ევროპაში) სპეციალური მეცნიერული დაწესებულებებიც კა არის დაარსებული, რომელიც სწავლობენ მეითხველებს...

დღეს ჩვენს წინაშეც მეითხველის საკითხის გარკვევა მორიგ და გადაუდებელ ამოცანად არის დასმული. დროა ყორადღება მიეკუთხეს მეითხველს, როგორც იქტიურ მატარებელს ესტეტიურ გემოვნებისა და აგრეთვე უმუალო გაელენის მომხდენს მხატვრული ფაქტების ეკოლუციაზე.

აქვთ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მეითხველს შევისწავლით არა „ხაერთოდ“ არამედ როგორც გარკვეული კლასიური ინტერესებისა და მდგომარეობის მატარებელ ინდივიდს.

უკვე არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის მოვლენა, რომ საერთოდ აბსტრაქციული მეითხველი არ არსებობს, არა მედ არის მეითხველი, რომელიც ამა თუ იმ კლასზე ეკუთვნის. ამ მოვლენას არა თუ მარტო მარქსისტულად განწყობილი ხალხი გრძნობს, არამედ თვით ბურჟუაზიული მოაზროვნებიც. ამ ამდენიმე წლის წინათ გერმანულ ენაზე და ეხლოან რუსულადაც გამოიცა ლეიპციგის უნივერსიტეტის პროფესორის ჲ. შიუკინგის წიგნი: „ლიტერატურული გეზოგნების ხოციოლოგია“. ამ შრომაში შიუკინგი იკვლევს ესტეტიური გემოვნების ეკოლუციის, ამტკიცებს, რომ ლიტერატურული ნაწარმოები თავისი ჩასახვიდან გამოშვეუნებამდე ყოველ დროს მტერები არის შეკავშირებული განსაზღვრული სოციალური ჯვეფის ესტეტიურ გემოვნებასთან, მწერალი მხატვრულ ფაქტში გამოხატავს თავისი თანამედროვე საზოგადოების იმ მისწრაფებებს, რომელიც სოციალურად მისთვის ახლობელია.

შიუკინგისათვის უდავოა, რომ ლიტერატურა, მიუხედავათ თა-
ვისი განვითარების სპეციფიურობისა, რასაც აუკილებლად უნდა
გაეწიოს ანგარიში, არ შეიძლება შესწავლილ იქნას საერთო მიმდი-
ნარეობის, სოციალური ეპოქის განვითარების გარეშე. ყოველ პე-
რიოდში შეიძლება გამოვყოთ გარკვეულად სხვადასხვა სასიცოცხლო
და საზოგადოებრივი იდეალების მქონე სხვადასხვა ჯვეული: ამათგან
ვინც ბატონობს მიმდინარე მომენტში საერთოდ, იმასთან არის ხე-
ლოვნებაც ყველაზე უფრო მტკიცედ შეკავშირებული.

შიუკინგი არ ეთანხმება ფოსლერს, რომელიც ამბობდა: ლიტე-
რატურა არის ყვავილი, რომელიც იზრდება კლდეებსა და ყინვაში". შიუკინგი სამართლიანად შენიშნავს, რომ მარტო ეკონომიური პი-
რობები არაა საკმარისი ხელოვნების ასაყვავებლად. რასაკვირველია,
ეს უკანასკნელი სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს ის არ იყოს
დამოკიდებული თავისი დროის მატერიალურ პირობათაგან. „რასა-
კვირველია, ნიადაგი არა ჰქმნის ხელოვნებას. ლამი არ წარმოშობს
გველთევზას, როგორც ფიქრობდა არისტოტელი, მაგრამ უკვე ახ-
ლოა ქეშმარიტებასთან მტკიცება: სადაც არ არის ლამი, იქ გველ-
თევზაც არ არის. უნარი შემოქმედებისა, რომელიც თავისთვის
დაუსრულებლად ცვალებადია, შერჩევის გზით იღებს გარკვეულ მი-
მართულებას. ამ შერჩევაში წარსულ საუკუნეში მთავარი როლი
ეკუთნობა ლიტერატურულ ინტერესებს იმ საზოგადოებრივ ჯგუ-
ფებისა, რომლებიც ბატონობდენ ეკონომიურ და სოციალურ ურთი-
ერთობაში და რომელთაგანაც იყვნენ დამოკიდებული მწერლები".

ლიტერატურული გემოვნების დამკვეთის დამოუკიდებლობის
მაგალითი მოჰყავს შიუკინგს:

პოეტი, რომელიც ფეოდალის სამსახურში იყო, ძალაუნებუ-
რად ყოველ საგანს, ყოველ მოვლენას თავის პატრინის გემოვნების
მიხედვით უცქერდა.

შექსპირის დროს მწერალი მიისწოდათის თავისი ხელოვნება
შეუცუოს არისტოტერიული საზოგადოების გემოვნებას. ასე მაგა-
ლითად, იმდროინდელი პოეზიის წარმომადგენელმა ედუარდ სპენ-
სერმა განაცხადა, რომ მისი წიგნის მიზანია ხელი შეუწყოს თავადის
და ჯენტლემნის აღზრდას.

ამ დროს მწერლები თავის ხელთნაწერებს შესასწორებლად
აძლევდენ თავის მფარველებს და ამაში ისინი არავითარ არაბუნე-
ბრიეს არ ხედავდნენ.

საზოგადოების ეკოლუციისთან ერთად იცვლება მწერლის სო-
ციალური მდგომარეობაც.

არისტოკრატიის ბატონობის ხანაში ლიტერატურული შემოსავლით ცხოვრება „არაკეთილშობილურ“ საქმედ ითვლებოდა. როდესაც კოლტერი ინგლისელ დრამატურგ კონგრივთან მივიდა, მან ამ უკანასკნელს აგრძნობინა, რომ ის მასთან მიიყვანა მისმა სამწერლო სახელში, ამით კონგრივმა თავი შეურაცყოფილად იგრძნო და უპასუხა, რომ ის უპირველის ყოვლისა ჯენტლემენია.

გრეის, ავტორს „ელევისა“, რომელიც დაიწერა სოფლის სასაფლაოზე, ჯენტლემენისათვის ულიტრად მიაჩნდა აელო ფული თავის „გამოკონებებში“.

როდესაც ბურუუაზიული წესწყობილება განმტკიცდა, მაშინ სულ სხვაგვარიად შეუცვალა მწერლებისადმი დამოკიდებულება და თვით მწერლის მოქმედების ნორმაც: ეხლა მწერალი პქმნის უკა არა თავის მფარველებისათვის, არამედ ფართე ბაზრისათვის და ფულის ალებაც სათავილოდ არ მიაჩნია.

ბურუუაზიული ურთიერთობის ზრდასთან ერთად ლიტერატურასა და მკითხველ საზოგადოებას შორის შუამაგალი ინსტანციები ჩნდება გამომცემლის, კრიტიკისის და სხვების სახით. მათი გაედენა ლიტერატურულ ცხოვრებაზე მეტად ძლიერი ხდება.

ამგვარიად, ბურუუაზიულ საზოგადოებაში ლიტერატურული ცხოვრების მექანიზმი თანდათან რთულდება.

დაბოლოს: საინტერესოა გავიგოთ, თუ რა იწვევს, შიუკინგის აზრით, ესთეტიური გემოვნების ცვალებადობას, ის ამის შესახებ შემდეგს სწერს: „როგორც ხაერთო წესია, იცვლება და ახლდება არა გემოვნება, არამედ ახალი გემოვნების მატარებლად გამოდიან სხვა ჯგუფები. ამ „სხვათ“ მხატვრული გემოვნების დიდი გარდატების დროს პირდაპირ უნდა ვიგულისხმოთ მეორე სოციალური წესწყობილების წარმომადგენლები“. როგორც ამ სიტყვებიდან ვხედავთ, შიუკინგი გარკვეულად იყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ გემოვნების ცვალებადობა კლასთა ცვალებადობის შედეგია, რომ გემოვნების ცვალებადობა დამოკიდებულია სოციალურ ჯგუფთა ცვალებადობაზე დასხვე.

ასეთია შიუკინგის შეხედულება ლიტერატურული გემოვნების ეფოლუციაზე. მისი წიგნის ამონაწერებიდან ნათლად მტკიცდება, რომ თვით ბურუუაზიული მოაზროვნეც კი აღიარებს, რომ არ არსებობს საერთოდ, „ზელასიური“ მწერალი და არც მკითხველი...

როგორ უდგება მუშა მხატვრულ ნაწარმოებს? რას მოითხოვს ის მისგან? როგორი მხატვრული ნაწარმოები აინტერესებს მას? — ეს საკითხები გერმანელი მუშების მაგალითზე გამოიკვლია შტეტინის (გერმანიაში)

ერთ-ერთია ბიბლიოთეკარმა (პ. კოსოვმა) და შემდევი დასკვნა გამოიტანა: 1. მუშა მხატვრული ნაწარმოების არჩევის დროს კლასი-ური თვალთახედებით ხელმძღვანელობს, 2. წიგნისაგან ის მოითხოვს უშუალო სარგებლიანობას, უტილიტარიზმს, 3. მხატვრული ნაწარმოები სინამდვილის გამოხატვის უნდა ეხებოდეს, 4. მუშა გულგრი-ლად უცქერის მხატვრული ნაწარმოების ფორმას. ასეთია გერმანელი მუშა-მკითხველის ლიტერატურული გემოვნება, ტენდენციები. დაახლოვებით ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი რუს მუშა მკითხველშიც. ამის შესახებ საუკეთესო გამოკვლევა არსებობს ა. ბეკის ლ. ტომის: „Писцо рабочего читателя“.

საქართველოში მუშები და პარტიული მასები მხატვრულ ლიტერატურას ძლიერ ეტანებიან. ცნობები რომელიც მიღებული იქნა ამის შესახებ ცენტრალური პარტიული ბიბლიოთეკიდან (ტფილისში) შემდეგი ხასიათისაა:

აზოვგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის წიგნები 1928 წლის სექტემბერში წაიღეს 189 (კალი, ოქტომბერში - 42. ამავე თვეების განმ. ცლობაში მხატვრული ლიტერატურიდან სექტემბერში წაიღეს 186 წიგნი, ოქტომბერში კი 237 წიგნი. ამ ერთი პატარა ცნობის მოყვანაც კი ნათლად ამტკიცებს, თუ რამდენად დიდმნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს მკითხველთა საზოგადოებრივი ისზრდისათვის მხატვრული ლიტერატურა. სხვა ცნობებიც იმას გვეუბნება, რომ თანდათან ძლიერდება ეს მოთხოვნილება მხატვრულ ლიტერატურაზე.

უდაცოდ უნდა მიეიღოთ ის დებულება, რომ თანდათან იზრდება მკითხველთა კადრები. მკითხველთა ამ კადრებიდან განსაკუბული ადგილი უჭირავთ მუშა მკითხველებს, მათში ძლიერდება აქტივობა, იბადება დიდი მოთხოვნილება წიგნის კითხვისა.

ლიტერატურული წიგნებისადმი მუშა-მკითხველის გაზრდილი მოთხოვნელების საუკეთესო ფაქტია ისეთი მოვლენები, როგორიცაა მკითხველთა კონფერენციები, მუშათა კრიტიკის სალამოები, ბიბლიოთეკებში ხმამაღლი კითხვა და სხვ.

პოლეტარულ ძეგლათა თრგანიზაციაშ დიდი როლი უნდა შეისრულოს მყის ხელისა და ძეგლობის დაახლოების საქმეში. პროლეტარულ მწერლისა და მუშათა მკითხველს შორის ცოცხალი ურთიერთობის შექმნა არის ერთ-ერთი უცილებელი და საუკრადებო სიქმე ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ამგეარად, დღეს ჩვენს წინაშე მოწიგ ამოცანად დგას პროლეტარული ლიტერატურის პობლემის მკითხველის პობლემისთან მტკიცეთ დაკავშირებით განხილვა.

დღეს უკვე არავისათვის უცხო არ არის ის ამბავი, რომ პრო-
დეტარული ლიტერატურა კლასიური ლიტერატურაა, რომელიც თა-
ნამედროვე მომენტში შენებელი კლასის რევოლუციონერ ინტერე-
სებს ემსახურება. ასეთი ამოცანის გარეშე პროლეტარული ლიტე-
რატურის წარმოდგენა შეუძლებელია.

პროლეტარული ლიტერატურის ერთ-ერთ ძლიერ რაზმს წარ-
მოდგენს მეშა მწერლები. მათ ბევრ შემთხვევაში კარგი რევოლუ-
ციონური წარსული აქვთ, უშეალო მონაწილეობას იღებენ სოცია-
ლისტურ შენებლობაში, ახლოს დგანან მშრომელ მასებთან და იც-
ნობენ მათ ყოფა-ცხოვრებას. ბევრ შემთხვევაში ასეთი მწერლები
მეშეკორული გზით მიღიან ლიტერატურაში.

მუშკორი, ახეროი, გლეხერი ჩვენი საქმიანობის ფხიზელი
დარაჯია. მუშკორი, არა თუ გამომხატველია მუშათა საზოგადოებ-
რივი აზრისა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, ხშირად ის მისი შემქმ-
ნელიცაა. ის შეკრილია ჩვენი მოქმედების ყოველ კუნკულში: აღმ-
შენებლობაში, კულტურულ ცხოვრებაში, მუშათა საზოგადოებრივ
ყოფაში, ოჯახში და მხატვრულ ლიტერატურაშიც.

დაწყებული უბრალო შენიშვნებით წარმოების ან ბიუროკრა-
ტიზმთან ბრძოლის სფეროდან, მუშკორის განა ხშირად მიღის ქრო-
ნიკა-ფელეტონისაკენ. მაგრამ მუშაობის შემდგომს განვითარებაში
იგი იმუშავებს და იშველიებს მხატვრულ ხერხებსაც, ხმარობს დია-
ლოგს, ეპიტეტებს, მეტაფორებს და ბოლოს, იძლევა მხატვრული
ფაქტის ნიმუშსაც. მრავალი მუშკორი მოსულა მხატვრულ ლიტერა-
ტურაში ამ გზით. ამის მაგალითი ბევრია, როგორც ჩუსეთში, ისე
ჩვენში.

საქართველოში ყველა ეს მწერლები იბეჭდებიან პროლეტა-
რულ მწერალთა ორგანოებში, მაგრამ, გარდა ამისა, მათ აქვთ სე-
ციალური ეურნალი „მიზანი“, რომელიც რუსული ეურნალი „რეზე-
ციი“ ტიპისაა.

ეურნალი „მიზანი“ უკვე ცნობილ მუშა მწერლების და მხატვ-
რულ ლიტერატურაში მომუშავე მუშკორების სალიტერატურო ორ-
განოა.

როგორია მუშა-მწერლების და მუშკორების მხატვრული ფაქ-
ტები?

მხატვრულ სისუსტესთან ერთად ბევრ შემთხვევაში თემატიური
სიღარიბე, არააქტუალობა და, თუ გნებავთ, იდეოლოგიური ჩამორ-

ჩენილობაც ახასიათებს მათ შემოქმედებას. მათი ფაქტები ხშირად მოკლებულია იმას, რაც სწორედ ყველაზე ძლიერად უნდა მოსჩანდეს მათ ნაწარმოებებში—ყოველდღიურობა (ავიბოძევნობა), საყოფაცხოვრებო საკითხების ცოდნა, მებრძოლი განწყობილებები, უაღრესად კლასიურ-პროლეტარული მსოფლმხედველობა, უტილიტარიზმი და სხვა.

შინაგანი ჯერ კიდევ ამ უურნალის პირველ ნომერში აირას სწერდა ეპიკრამიდ:

„ჩვენი ორგანო შრომის ბალია,
მთესველებისთვის კარი აქვს ღია.
ჩაეთვით ყველამ ისეთი თესლი,
შეგ არ ერიოს შზამი და გასლი“.

ეს არაა მუშურ-კლასიური გაერება თავისი ორგანოს დანიშნულების. იმის მსგავს აზრებს ბლომად შეხედებით ჩვენი მუშა-მწერლების ნაწერებში.

რომ მომავალში აცილებული იქნას მსგავსი მოვლენები, საკიროა უურნალში უფრო შერჩეული მასალები იძებედოდეს. უურნალის გამოცემის საქმეც უნდა გაუმჯობესდეს.

პროლეტარული მწერლობა მუშა-მწერლების სახით უნდა იძლეოდეს ისეთ ნაწარმოებს, სადაც აშკარად უნდა მელავნდებოდეს ჩვენი დღევანდლობის მთავარი, აქტუალური საკითხები და სხვა.

თუ ზოგიერთ პროლეტარულ მწერალს უსაყველურებენ ჩვენი მუშათა და გლეხთა ყოფა-ცხოვრების სუსტად ცოდნას და მათ ისეთ ლოშნუნებსაც კი უცნებდენ, როგორიცაა „ახლოს ცხოვრებასთან“, ავალებენ მუშების ყოფა-ცხოვრების შესწავლას, სოფლიდ კოლმეურნეობის გაცხობას, კლასიური მტრის სახის გარკვეულად ჩვენებას, კოლექტივიზაციის იდეების აგიტაციას ჭ სხვა. ყველაფერი ეს მუშა-მწერლების თემატიურ მასალაში მეტი სილრშით და მეტი სიმღიდრით უნდა მელავნდებოდეს. ეს ასეც არის ზოგიერთი მუშა-მწერალის შემოქმედებაში, მაგ. რუსეთში, სადაც მუშა-მწერლების შეირიცხება ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა, გ. ნიკიფოროვის, „ფანართან“, რომელშიაც ნაჩვენებია აღმშენებლობითი პერიოდის ცოცხალი საქმიანობა, მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ეს ნაწარმოები იმდენად დამაჯერებელია, იმდენად ღრმათ გამოხატავს სინამდვილეს, რომ ის მუშათა მკითხველების საყვარელი წიგნია. ასეთივე ლიაშეოს „დომენია პეჩ“, „რკინის სიჩემე“, ნიზოვოის, ბიბიჯის ნაწერები, უიგას, „ახალი მუშები“ და სხვა მრავალი. მაგრამ ეს მხოლოდ რუსული პროლეტარული მწერლობის შე-

სახებ ითქმის. საქართველოს მუშა-მწერლების შემოქმედებაში, სამ-წერა-როგორ სრულია არ მოიპოვება მსგავსი ნაწარმოები.

აღსანიშნავია ისიც, რომ აქ ისე, როგორც მთელ ქართულ მწერლობაში, მუშა-მწერლების შემოქმედებაშიც ლექსი უფრო გაბატონებული ფორმაა, ვიდრე პროზა ან სხვა რომელიმე უანრი.

ლექსების უმრავლესობა ლირიკული ხასიათისაა, მაგრამ აქ იშვიათად მოსჩანს ჯანსაღი მუშის და ახალი ადამიანის განწყობილებანი. ლექსები მეტ წილად განყენებულ, რევოლუციონურ, ან ბუნების ტრადიციულ „ტრუიალობის“ თემებს ეხება (მაგალითად, გ, შინატეხელის „გაზაფხული“ და სხვების ლექსები). მთელი ლექსიკონი შესდგება ისეთი სიტყვებისაგან, რომელიც დღეს არც კი იხმარება სასაუბრო, საგანმანათლებლო; პრაქტიკულ ენაში: „სხივ-კიაგი“, „მონარხნარე“, „ფაქიზი“ და „უანგარო ცაზე ცურავს გთვარე და სხეა“. გაზაფხულის გაგებაც ტრადიციულ-ტრაფარეტულია საჭიროა ამ თემების სხვაგვარი, ახალი სახით გაშუქება. როგორც ეს აქვს მაგ. კომეკვშირელ პოეტ კ. ბობოხიძეს ლექსში „გაზაფხული“.

„მე შენსე უფრო მიჩარია ხე ფათლებს შლიდეს,
არა იმიტომ – იყოს ქარში ტოტის სარხევად,
მე ვხრდა ამ ხეებს, მოვახმარო აღმშენებლობას,
სოფელ-ქალაქში იგებოდეს ჩემი სახლები“. – და სხვა.

საერთოდ ჩენი მუშა-მწერლების შემოქმედებას მრავალი უარყოფათი თვისება აქვს, რაც, ასაკირელია, იმას არ ნიშნავს, თითქოს მათი მუშაობა არ იყოს საჭირო და სასარგებლო. შ, ნავთლელელის, ნ. ასლამაზაშვილის, ს. დოლიძის, გ. ხეჩუაშვილის, გ. შინატეხელის, ს. ხილისთაველის, ალ. ბაჯიაშვილის, დ. გაბრუაშვილის და სხვების პოპულიარობა მუშათა მასებში იმის დამატებიცებელია, რომ ისინი აქმაყოფილებენ მათ მხატვრულ მოთხოვნილებებს, მათთან ახლოს არიან, გასაგები არიან მათვის.

ამ დღეებში გამოვიდა უურნალ „ჩენი მიზნის“ მე-4 ნომერი. წარსულ ნომერთან შედარებით ეს ნომერი უსათუოდ სუსტია. უურნალი გამოცემულია უგემურად და მასალებიც არაა წესიერი შერჩეული. უურნალში ბევრი ახალი სახელია წარმოდგენილი. გარდა შ. ნაეთლელელის პოემისა („ნენოს წალილი“), ყველა მასალა თითქვეს სუსტია.

ყველა ლექსი შრომის და ბრძოლის მოტივებზეა, მაგრამ ისეთი მიღვომით და შინაარსით, თითქოს ისინი მუშათა მოძრაობის პირველ პერიოდშია დაწერილი. ლექსებთან შედარებით კარგია მოთ-

ხრობები. მაგ. ალ. ბაჯიაშვილის „ქუდი მოიხადეთ“, ნისლოსის „მიზეზი გამოურკვეველია“, ნ. ასლამაზა შვილის „შაველა“, მაგრამ მოთხობების თემები წარსული ცხოვრებიდანაა იღებული.

დროა მუშა მწერლების მხატვრულ ფაქტებში ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან ცოცხალი ადამიანების და ნამდვილი მუშების ტოპები იქნეს გაშუქებული.

დროა მუშა მწერლების შემოქმედებიდან განიდევნოს განყენებული, ნეკიტალური, „უპარტიო“ თემები და განწყობილებანი და მის მაგივრად მასში გაძლიერდეს მეტი კლასიური ალლო და დღევანდლობის ხედვა.

ალექსანდრე ხულავა

კ. ფოცხვარაშვილი

კულტურული რევოლუცია და ჩვენი სამუსიკო საქვირობა

კულტურული რევოლუცია, რომელიც ამჟამიდ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს, მესიკასაც უნდა შეეხოს.

თუ სიტყვა ერთ-ერთი უძლიერესი იარალია ფართო მასებზე ჰევალენისათვის, ასეთივე, მუსიკა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი სიტყვას იერთებს და სიმღერის სახით ევლინება მსმენელს.

ჩვენ ვიცით, რომ დღეს დიდი ყურადღება ექცევა მწერლობას, ლიტერატურის თანამედროვე ლიანდაგზე გაღმოყვანას და სწორედ ამას საჭიროებს მესიკაც.

თუ უმსგავსო სიტყვას შეუძლია დიდი ზიანი მოგვაყენოს, ყალბი სიმღერა - მუსიკა კიდევ უარესია, რადგან ეს უკანასკნელი, უმეტეს შემთხვევაში უფრო ძლიერ მოქმედობს, ვიდრე თუნდაც მხატვრული სიტყვა. დაწერილი სიტყვა შედარებით ძნელად ვრცელდება და მხოლოდ უშუალო მკითხველთა წრებში მოქმედობს, რომელიმე უბრალო სიმღერა კი ელვის სისწრაფვით ეცება მთელ ქვეყანას და თუ იგი ცუდია, შეიძლება დიდი ზიანი მოგვიტანოს.

აუცილებელია ამ საკითხსაც ახლავე მიეხედოთ და არსებითად გადაესინჯოთ ჩვენში დიდი ხნიდან უყურადღებოთ მიტოვებული სიმღერა და მთელი სამუსიკო საქმიანობა.

უნდა დაისვის ხელოვნების ამ დარგის თანამედროვე თვალსაზრისით გადაფასების საკითხი და გადიჭრას კიდეც, რაც შეიძლება

მალე, ნიადაგი ამ გადაფასებისთვის თითქოს მხად არის, საჭიროა მხოლოდ რეალურად მოქმედება, მაგრამ, სხვადასხეა მიშენის გამო, ეს დღემდე არც კი დაწყებულა.

მუსიკა, როგორც ხელოვნების კულტურა სხვა დარგი, არ არის ზეციდან ჩამოვარდნილი რამ, ის რეალური, ბევრულ-რითმიული ზედნაშენია ყოველი სხვადასხეა სისფლმხედველობისა, და განსაკუთრებით კი კონკრეტი ყოფა-ცხოვრებისა და მისი წარმოებისა.

ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენი დროის მუსიკა მთელი თავისი 100 პროცენტით უნდა შეეფარდებოდეს ახალ იდეოლოგიას, ახალ წესწყობილებას, ახალ ურთიერთობას, და უმეტესად კი ჩვენს ახალ წარმოებას და აღმშენებლობას. იგი დაუცხრომლად უნდა იწვევდეს, ზრდიდეს და ალვივებდეს მშრომელთა მასებში ახალ გრძნობათა მთელ წყებას და მიყავდეს მებრძოლთა მწყობრი რაზმები რევოლუციის გაღრმავებისა და საბოლოო გამარჯვებისაკენ.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა ყოველწლიურად, ცოცხალი ენერგიის გარ ა. 300.000 მანერზე მეტს ხარჯავს მუსიკაზე, ჩვენი ჰანგიანობა კი თევოლუციის გარეშე დგას.

დროა ეს საკითხი არსებითად შევიტრიალოთ, რომ მუსიკასაც დაევალოს ის, რის გაკეთებაც შეუძლია მას რევოლუციისა და ახალი ცხოვრების ალორძინებისათვის. ძველი, მიუღებელი სიმღერა-მუსიკა შეიძლება ადვილად მოვიშოროთ თავიდან აკრძალვის წესით, მაგრამ მთელი სამუსიკო ხელოვნების გაახალებავება,—ეს კი ეგრე იოლად არ მოგვარდება, თუ მას ჩვენ მიერ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა აღმოიფხვრას ჩვენში ის დრო-მოქმული და დახავსებული აზრი, თითქოს სიმღერა - მუსიკა ადგილიდან დაუძრავი კონსერვატიული ხელოვნება იყოს, რომელსაც მხოლოდ ასი წლის შემდეგ შეეძლოს რევოლუციის ადვინგება და ეხლახან კი ისევ ძველი დროის სალეთო-სამეფო და მონური რწმენის ჰანგებით ხმაურის ნება ჰქონდეს. მოსკოვის ეხლანდელი ცოცხალი პრაქტიკული მაგალითი ცხადზე უცხადესად მოწმობს და გვიჩვენებს, რომ სიმღერა - მუსიკა უფრო ადვილი გაღმოსაყანია ახალ ლიან-დაგზე, ვიდრე პოეზია-ლიტერატურა, ან კიდევ ხელოვნების რომელიმე სხვა დარგი.

რა მოხდა მოსკოვში, ან კიდევ რა ხდება იქ ამეამად სამუსიკო დარგში ისეთი, რაზიც ჩვენ მას უნდა წიგბაძოთ და მისი პრაქტიკული მაგალითით ვიხელმძღვანელოთ? — ბევრი რამ: ა) იქ დიდი ხანია მოხდა სიმღერა-მუსიკის ლირებულების არსებითად გადაფასება და

ამ ხელოვნების თანამედროვებასთან შეფარდებით სწორ გზაზე დაყენება, რაც ჩეკიში არამც თუ არ მომხდარა დღემდე, ბ) იქ გაიგეს ის უდაო კეშმარიტება, რომ ყოველგვარ სამუსიკო საქმეს მუსიკის მცოდნენი და სამუსიკო მოღვაწენი უნდა იკითხდენ და არა საქმის სრულიად უკიცნი და არამუსიკოსი. ჩეკიში კი დღემდე, ძლიერ ცოტა გამონაკლისით, სწორედ ასეთი მდგომარეობაა. გ) იქ დარაზ-მულია კომპოზიტორთა მთელი რიგი, რომელიც მუსიკიში თანამედროვეობის პრაქტიკის ხაზს ატარებს, აქ კი ამის მსგავსი რამ ჯერ არა გვაქვს და თუ ვინმე კერძოდ ამუშავდა, არც ამას აქცევენ ჯეროვან უურადლებას. დ) მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობას აქვს საგანგებო სამუსიკო სექტორი, რომელმაც დღემდე დიდი და მრავალმნიშვნელოვანი სამუსიკო უტერატურა დაბიჭდა და გამოაქვენა, ჩვენ კი არც ეს გვაქვს. ე) მოსკოვში მოქმედებს სამუსიკო ტრესტი, რომელიც ჩვენ არა გვაქვს და ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, არც კი გვითიქრია მისი შექმნის შესახებ და სხვა.

ერთი სიტყვით, მოსკოვს გაუკეთებია და აკეთებს სამუსიკო დარგში თითქმის ყველაფერს, ჩვენ კი სულ ცოტას (უკეთესი იქნება ითქვას: თითქმის არაფერს).

მეტყველიან, სად შევვიძლია ჩვენ მოსკოვს შევედაროთ, როდესაც ჩვენსა და მოსკოვის ნივთიერ შესაძლებობებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა.

ასეთი შენიშვნა არ იქნება სავსებით მართალი, რადგან ჩვენ ჩვენს ტერიტორიასთან შედარებით უფრო მეტ ფულს ვხარჯავთ, ვიდრე მოსკოვი. როგორც ზემოთ ვთქვი, მარტო სამუსიკო საქმეზე ჩეკიში იხარჯება ყოველწლიურად 300.000 მანეთზე მეტი, ხოლო მთელ სახელოვნო წარმოებაზე კი თითქმის მილიონ-ნახევრამდე, რაიც, მოსკოვთან შედარებით, ჩვენთვის საქმაოდ დიდ თანხად უნდა ჩითავალოს. არა, ფული გვაქვს, მაგრამ, ჩვენის აზრით, მისი მიზან-შეწონილად დახარჯვა და გამოყენება არ არის ამ შემთხვევაში რიგიან გზაზე დაყენებული. ისე, მაგალითად, ჩვენს ოპერაზე, რომელიც იძლევა ფინანსიურ და მხატვრულ უარყოფით ნიშნებთან ერთად დიდი იდეოლოგიურ მინუსსაც, საშუალოდ იხარჯება ყოველწლიურად თრასიათს მანეთზე მეტი, ხოლო ახალ რეკოლიურიონურ მუსიკაზე კი ჯერჯერობით წლიურად ანდა თვითურად ორი მანეთიც არაა გაღებული.

ჩვენ იმ თანხებიდან, რაც მუსიკისათვის არის გადადებული, შესაფერი ნაწილი ამ ხელოვნების ახალ ლიანდაგზე გადმოყვანის საქმესაც უნდა ვარგოთ.

მაგრამ ჩვენი ცხოვრების განახლებიდან უკვე მეშვიდე წელი გადის, და ვის უფიქრია ამ საქმეზე!..

ჩვენს სახელოვნო მთავარმართველობას, პოლიტგანს, სახელგამს, კონსერვატორიას, ოპერას, კინო-მრეწველობას, რადიოს და მრავალ სხვას, რომელნიც პირდაპირ მოვალენი იყვნენ და არიან ეზრუნათ ამ საგანზე და დაგვიანებით მაინც მიზანშეწონილად ამუშავებულიყვენ, განმეორებით უნდა ითქვას, არამც თუ რაიმე გაუკეთებით ჩელურად, არამედ, ვგონებ, არც კი დაუსვამთ სერიოზულად ეს ფრიად საშური და მტკიცნეული საკითხი.

თანამედროვე მუსიკის მაგიერ თბერაში ჭვენ ვევრეტთ და ვისმენთ რელიგიურ-მსტიურ და მეშჩანურ თბერა-ბალეტებს, კონსერვატორიაში იხალი რევოლუციონური ჰანგების სწავლების ხსენებაც არ არის, სახელმწიფო გამომცემლობას ღლემდე თანამედროვე სიმღერა-მუსიკის ერთი კრებულიც არ გამოიუცია, კინოში და რადიოში უშეტესად ძალზე ფუქსავარ მუსიკას ვუკრავთ, და სადაც კი შეიხედავთ, ყველგან ამგვარი და ხან ამაზე უარესი სურათია გადაშლილი.

ჩვენს მუშათა ქლუბებშიც გამეობულია ძველი სამუსიკო ხალურა, იხალი სიმღერა-მუსიკის ამსრულებელ სამუსიკო ერთეულების მაგიერ ჩვენ ახალ მსმენელს და აუდიტორიებს უმასპინძლდებიან საშუალო საუკუნეების გაცემილი სამუსიკო პიესებით და ქულაჯა-წულა-მესტიანი ძმაბიკერი გუნდებით, რის შესახებ არა ერთხელ და ორჯერ თქმულა და დაწერილა ჩვენ სახელოვნო პრესაში.

ამგვარად, ტფილისი იხალ მუსიკაში სრულიად ჩამორჩა იმ გეზს, რომელსაც იგი მწერლობაში ატარებს და სრულიად არა ჰგავს ამ მხრივ მოწინავე რევოლუციონურ მებრძოლ დედაქალაქს— მოსკოვს.

თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი მდგომარეობა კიდევ დიდხანს ვერ გასტანს და სამუსიკო საქმესაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

ამ საქმისთვის ჯეროვნად მოტზადებული მუშახელი ჩვენ საქმაოდ გვყავს და სათანადო ორგანოების მიერ მათი სერიოზულად დარაზმეოთ შეიძლება ბეკრი რამ გაკეთდეს.

დროა მხატვრულ-ლიტერატურასთან ერთად მუსიკასაც შესაფერი ყურადღება მიექცეს, რომ ეს ხელოვნება თანამედროვე ახალ და სწორ ლიანდაგზე იქნეს გადმოყვანილი.

ბიბლიოგრაფია

ცარისეთი
სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ლ. ავირაბათი — „კულტურული აღვთელულის გზაზე“
სახელგამი, 1928 წ.

კულტურული რევოლუცია, რაც შეადგენს დღეს პარტიისა და ხელისუფლების ამოცანის, თავის ფარგლებში იტევს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური წინავლის გრანდიოზული მასშტაბის პერსპექტივებს. ესაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ახალი კულტურის ფარგლების შექმნის, მეურნეობის მაღალ კულტურულ და კოლექტიურ საფუძვლებზე გადასვლის, ყოფა-ცხოვრების გადაკეთების, ახალი ადამიანისათვის ბრძოლის საკითხები.

კველა ამ გრანდიოზული ამოცანის გადაჭრა კულტურული რევოლუციის ნიადაგზე ნიშანას საბჭოთა კავშირის მუშაობა და გლეხთა მილიონიანი მასების სოციალიზმისაკენ წაყვანას და ჩვენი ქვეყნის ნამდვილ სოციალისტურ ქვეყნად გადაქცევას.

ან. ამ. გ. კრიუიანოვსკის სიტყვით რომ ვსთქვათ („Социалистическая реконструкция и культурное строительство“) „საბჭოთა კავშირში, ამ ღირებულებათა პროლეტარული გადაფასების ღამირატორიაში, კულტურული რევოლუციის განხორციელება ნიშნავს მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის გამარჯვებას.“

კულტურული რევოლუციისათვის ბრძოლა ნიშანას ფართო შემოქმედებითი პერსპექტივისათვის ბრძოლას, ბრძოლას იმისათვის, რომ წაყვანილი იქნეს კულტურული გზით იღმინთა უზარმაზარი მასა, შექმნილ იქნეს დიდი მასიური კულტურული მოძრაობა, „კულტურის ტრაქტორით“ გადახნულ იქნეს ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე“. (ნ. ბუხარინი).

ამ. ლენინი. რომელმაც პირველად წამოაყენა კულტურული რევოლუციის საკითხი და მის შესახებ სწერდა, რომ „ეს ძირებული ცელიება იმაში მდგომარეობს, რომ უწინ სიმძიმის ცენტრს წარმოადგენდა, და ასეც უნდა ყოფილიყო, პოლიტიკური ბრძოლა, რევოლუციის ძალა-უფლების აღება“ და რომ ეხლა ეს სიმძიმის ცენტრი იცელება იმდაგვარად, რომ ეს სიმძიმე გადადის მშეიღობიან ორგანიზაციულ „კულტურულ“ მუშაობაზე და სხვა.

მაგრამ ლენინის ეს სიტყვები: „მშეიღობიან-ორგანიზაციული“, „კულტურული“ იმას კი არ ნიშანას, თითქოს ეს მუშაობა „მშეიღობიანი იდილია“ (ბუხარინი) იყოს, ეს არის პროლეტარიატის მიერ კლასიური ბრძოლის წარმოების თავისებური ფორმა.

„თითქმის მაშინაც კი, როცა ამხ. ლენინი ისეთ რემეს ლაპარაკის დაუკავშირდა, როგორიცაა,— ამბობს ამბ. ბუხარინი („Ленинизм и проблема культурной революции“), რომ „ჩენ კომუნიზმი უნდა ვაშენოთ ჩვენივე მტრების ხელებით“, ანდა, რომ „კარგი ბურუუაზიული სპეციალისტი სჯუბია ათ ცუდ კომუნისტის“, ის ამაშიც გულისხმობდა კლასიური ბრძოლის განსაკუთრებულ ხერხს და ბრძოლის განაკვეთობულ მეთოდს.

იმედი საკითხი: რათ დადგა დღევანდელ მომენტში კულტურული რევოლუციის საკითხი ისე ხელშესახებ ამოცად, რომ მას ასე დიდი ყურადღება მიაქცია ისეთმა მნიშვნელოვანმა ყრილობამ, როგორიც იყო პარტიის წესრიგი ურილობა?

შეცდომა იქნებოდა ეჭიქრა ვინმეს, თითქოს კულტურის საკითხებს პარტია და ხელისუფლება დღემდე არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. პირიქით, ათი წლის ბრძოლის მანძილზე მრავალი მიხედვით, მაგრამ სწორედ დღეს, ეგრეთწოდებულ რეკონსტრუქციულ პერიოდთან დაკავშირებით, რომელიც ქვეყნის წინაშე სოციალისტური ომშენებლობის ფართო პერსპექტივებს შლის, კულტურის პრობლემა მთელი თავისი სიღრმე-მნიშვნელობით დგას, რადგან იგი ნიშნავს პოლიტიკურ გამარჯვებების განმტკიცებას და გაღრმავებას.

ძაგრამ კულტურული რევოლუციის პროცესი არაა იოლი საქმე, იგი ითხოვს განსაკუთრებულ ხანგრძლივ დროს და მუშაობის მეთოდების და ძალთა განსაკუთრებულ კონცენტრაციის. ის, რაც გამოსადევი იყო წინა წლების მუშაობაში, გამოუდეგარია დღეს, როცა გადასაწყვეტია ისეთი საკითხები, როგორიცა მასების გაკულტუროსნება, წარსულის სიბნელის და უვიცობის! მოსპობა, კვალიფიციური კომუნისტური ძალების მომზადება, ქველი ყოფისა და ჩეკულებების გადაკეთება და სხვა ათასი წერილმანი საკითხი, რაც შეადგენს ჩეენს ყოფას მის, შინაარსს.

ცნობილია, რომ კულტურული რევოლუციის გატარება არ შეიძლება კულტურული ძალების გარეშე, ამიტომ კულტურული რევოლუციის მშენებლობის ყოველ მონაწილეს ნათლად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული უველა ის ამოცანა, რასაც ავალებს მას ჩეენი რევოლუციონური სინამდვილე.

ამ. ავერბახის წიგნი „კულტურული რევოლუციის გზაზე“, რომელიც სპეციალურად დაწერილია მე-15 პარტიული ყრილობის მასალების მიხედვით, უსათუოდ ერთ-ერთი საუკეთესო დამხმარე საშეალებაა ამ შემთხვევაში ყველა იმათვის, ეინც დაინტერესებულია კულტურული რევოლუციის ამოცანების და მისი მსვლელობის საკითხებით.

წიგნში დეტალურად და სწორადაა ვაშუქებული კულტურული რევოლუციის მთელი რიგი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები იძის შესახებ, თუ რა ორის „ქულტურული რევოლუცია“, „ყოფა-ცხოვრება და კულტუროსნობა“, „ლენინის შეხედულებანი კულტურულ რევოლუციაზე“, „საბინაო საკითხის აღგილი კულტურულ რევოლუციაში“, „ყოფა ცხოვრების რაციონალიზაცია“, „მუშაბისა და გლეხების ბიუჯეტის შესახებ“, „კულტურული რევოლუციის მოცანები სოფლად“, „კულტურული რევოლუციის კლასიური შინაარსის შესახებ“ და სხვა მრავალი.

ავტორი შემდეგნაირად განმარტავს კულტურული რევოლუციის „ფართო“ გაგებას. ის სწერს: „კულტურული რევოლუცია წარმოადგენს კულტურული განვითარების მთელ ზოლს, რომელიც ხასიათდება იმით, რომ მასები კრიტიკულად იუფლებენ კაცობრიობის მიერ შეძენილ ცოდნას და კულტურულ მიღრეკილებებს, ცველა ამით კი ჩვენი ქვეყანა ეწევა და გაუსწრებს კიდეც მოწინავე ბურუჟუაზიულ სახელმწიფოთა კულტურულ დონეს, ჯერ პროლეტარულ და შეძლევ კი სოციალისტურ კულტურის შექმნის და აყვავების საფუძველზე, რომ ჩვენს სინამდვილეში „კულტურული რევოლუცია“, როგორც ყოფა-ცხოვრების ახალი კულტურა, ახალი კულტურა შრომის, ახალი კულტურა საზოგადოებრივობის, როგორც მთელი კულტურული დონის ამაღლება—ხდება მთელი სოციალიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანეს შინაარსად“.

ავტორი ფართედ არკვევს ამ საკითხს ჩვენი ქვეყნის კულტურულ ჩამორჩენილობასთან დაკავშირებით; მისი აზრით, ჩამორჩენილობა ისეთი დაბრკოლებაა, რომელიც ხელს უშოთის სოციალისტურ მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების ზრდას, მუშაობის ხარისხს და ტექნიკს, წარმოების რაციონალიზაციას, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას, ახალი ადამიანის, გამომუშავებას და ხელს უწყობს საჭინააღმდეგო მოვლენების —ბიუროკრატიზმის, ლოთობის —შექმნას და სხვა.

ავტორის აზრით, კულტურული რევოლუცია სოციალიზმისათვის ძლევამოსილი ბრძოლის საჭირო პირობაა ძველი წყობილების მიერ უკიცობაში მომწუვდეული მასების გამოსაყვანად.

წიგნში მდიდარი მასალაა წარმყენებული საკითხების გასაშუქრებლად და ამიტომ ეს წიგნი უსათუოდ საჭირო და სასარგებლოა.

ალ. სულავა.

სილეო-ჩიან — „შემოღვევიდან ჩანიშნალამდე“. ვალერიან დიდანილი — „ლელვის განსაღვევი“. ი. ნაზილევი — „შიძრითა პრეზენტი“.

ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ერთ შეტაც მავნე ჩვეულებას აქვს აღგილი: რომელიმე ახალგაზრდა დასწერს რამდენიმე „ლექსი“ ან „შოთხრობას“ და უკვი ცდილობს გამოსცეს ის „თხზუ-

ლებათა კრებულის“, სახით. ამ , თხზულებათა კრებულს“ უსათუოდ
თან ახლავს ავტორის „შემოქმედების“ კრიტიკული განწილვა და
სურათი.

შედეგათ რას ვლებულობთ?

ნააღრევად დაწილებული „თხზულებანი“, უდროეო დროს
გამოქვეყნებული წიგნები მეტად სუსტი, უსუსური და ყოვლად გაუ-
მართლებელი ია, როგორც შინაარსით, ისე ფორმით.

1928 წ. მხოლოდ ტფილისში რამდენიმე ათეულმა ავტორმა
გამოსცა ასეთი სახის წიგნი. ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ მკით-
ხველის ურადღებას.

ეხლახან გამოვიდა სილეო-რეანის „შემოდგომიდან ქარიშხა-
ლამდე“, ვ. დიდვანელის „ლელვის განსაცდელი“ და ი. ნაშვილების
„ფიქრთა კრებული“. რას შემოზნავს უპირველეს ყოვლისა ამ წიგ-
ნებში მეთხველი?—გვმოვნების, კულტურის, მხატვრული სილომის
და სიძლიერის უქონლობას, გრამატიკის და ლექსის წერის წესების
უცოდინარობას და სხვ. ფაქტები: „როგორ ჰეცებზე შიში დაქჭრო-
და“, „იქნებ ხევდებიც გრიგალს დაედრეს“, „სულშიდაც“, „ჩემ-
შიდაც“, „სულში ანთილს“, „სისაფუძვლე“, „მსურს გავჭროლო
ჩემს ქვეყანაში“, „სევდით დამურის“ და სხვ. ასეთი მაგალითების
მოყვანა დაუსრულებლად შეიძლებოდა ამ წიგნის ბიბი, მაგ-
რამ ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა, მაშინ საჭირო იქტებოდა მთელი
წიგნების მოწერა...

იქნება თემატიურად მაინც არის რაიმე ახალი ამ წიგნებში?—
სამწუხაროო არც ეს არის: თვითონეულ „ლექსში“ მეთხველი იგრ-
ძნობს გადამანიშვებულად „ცისფერ ყანწელებს“, პირველი პერიო-
დის გ. ტაბიძეს, ს. აბაშელის და სხვ..

ჩვენც წაგვიყვანდებ შემოდგომის სუსტიანი ციფი ლანდი
ჩვენც დაგრატევს უმოდგომის განშორების შევი ჩარჩო,
მეცნიერებორ გამომარჯოს ამ ვერტებას სულში ანთილს
ჩვენს სამარტინს და წერალებას მვერბრებო გაუმარჯოსკე
(სილეო-რეანი)

უღამესა წყნარი, თან შეღებილი,
მთვარე სინაზით სიერცეს დადას.

წუთები მწვევილი, შორს გაუტერილა,
ამწყდარი ლელვით ზეცას გნოება“...

(ვ. დიდვანელი)

აბა, ესი რათ უნდა დღეს ათასჯერ და ათიათასჯერ გადამდე-
რებული ამბები, უკვე მოძველებული განწყობილებების გამომეღავ-
ნება!..

აქვე აღსინიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანი კიდეც ცდილა
რევოლუციონურ თემებს შეხებოდა (ი. ნაშვილები), მაგრამ საქმეს
არც ეს შველის...

საჭიროა ახალგაზრდა და დამწყებმა მწერლებმა უფრო მეტი
პასუხისმგებლობით მოეპყრან კალამს, თავის თავს და საზოგადო-
ებას...

ჯანი

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენი მოსახლეობის უმრავლე-
სობას სერიოზული წარმოდგენი არა აქვს დასავლეთ ევროპის კულ-
ტურულ ყოფა-ცხოვრებით მდვრმარეობაზე. ხშირად ჩვენი ცოდნა
ამონიურება უურნალ „Огонек“-დან ამოკითხულ ინფორმაციული
წერილებით,—რაც რასაკვირველია, ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა.
ფაქტია, რომ რამდენადც კარგად ვერკვევით ბურუჟული და-
სავლეთის სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში, იმდე-
ნათ ნაკლებად ვიცნობთ კაპიტალისტურ ევროპის კულტურულ
ცხოვრებას.

ისეთი წარმოდგენა გვაქვს კაპიტალისტურ ეფრობაზე, თითქოს
ის მარტო დაცუმულობის და გარევნილობის ბუღეა; დეკადანსის
რეალებშია მოქმედი, ევროპის კულტურა მთლიანად დაცუმულია
და მასზე ფოქსტროტი და როსკიპის მოდუნებული ხორცი ბატონობს!
რასაკეირველია ეს ასე არაა მთლიანად, თუმცა საერთოდ რეალობა-
სთან ახლოსაა.

მართალია ამს ლუნაჩარს კი, როდესაც სწერს, რომ: შესაძლებელია კაცობრიობის ისტორიაში ერთი ეპოქის კულტურა მეორეს კულტურისაგან არ განსხვავდებოდეს ისე ძლიერად, როგორც სოციალისტური კულტურა განსხვავდება დასრულებულ კაპიტალიზმის კულტურისაგან, ვინაიდან ყოველთვის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია ძალაში რჩებოდა; კერძო საკუთრება ჰქმნიდა ეგოისტურად განწყობილ ადამიანს და სხვ. მაგრამ ყველა ქს იმსა როდი ნიშნავს, რომ ჟველაფერი ბურჟუაზიული ერთის ხელის დაკრიტუარებოთ. საჭიროა ბურჟუაზიულ კულტურის, კულტურულ მემკვიდროების კლასიური—პროლეტარული გამოყენება, მასთან კრიტიკული დამოკიდებულება.

მოცემულ ბრაშიურაში ამ საკითხებზე ამხ. ლუნაჩარსკის მიერ ასე თუ ისე სათანადო პასუხია გაცემული.

სარეცენზიით წიგნაკი პოპულიარულ ენითაა დაწერილი და გათვალისწინებულია მასიურ მკითხველისათვის. თარგმანი დამაკმა-

3 — 92.

ს. გ. ჭ. ს. ოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტანდა.

„ო ძ ტ ი მ ბ რ ე ლ ი“

საქ. ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განსახუმის ყოველთვიური დასურათებული უურნალი ოქტომბრელებისა და მცირეწლოვან ბავშვთათვეის.

წლიურად — 3 მ. 50 კ.	3 თვით — 1 მან.
6 თვით . — 2 მ.	ცალკე ნომერი— 35 კ.

„კ ა რ მ ი რ წ ი ლ ე რ“

(ხომხური)

საქ. ბ. კ. ო. ცენტრ. ბიუროს და განსახუმის ყოველთვიური დასურათებული საბავშო უურნალი.

წლიურად— 3 მ. 50 კ.	3 თვით . . . — 1 მან.
6 თვით . — 2 მ.	ცალკე ნომერი— 30 კ.

„კ ი ზ ი ლ-ჟ ა ფ ე კ“

(თურქული)

საქ. ბ. კ. ო. ცენტრ. ბიუროს და განსახუმის ყოველთვიური დასურათებული საბავშო უურნალი.

წლიურად— 3 მ.	3 თვით . . . — 75 კ.
6 თვით . — 1 მ. 50 კ.	ცალკე ნომერი— 25 კ.

**ვულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
ხელისმოწერა მიიღება სახელგამის ცენტრალურ სამართველოს (პერიოდ სეზონზი)**

თბილისი, რუსთველის გამზირი, სახელგამის პერიოდ-ხეჭკორი, ოთახი 11. და აგრეთვე სახელგამის ყველა მაღაზიებში: თბილისში, ქუთაისშა, ბათომში, გორში, ახალ-სენაკში, თელავში, დუშეთში, სამტრედიაში, ხონში, მათხოვში, ონში, ვრებალოში, ლანჩხუთში, ზესტაფიონში, ხაშურში.

1, 25 ₾

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენი მოსახლეობის უმრავლე-
სობას სერიოზული წირმოღვენი არა აქვს დასავლეთ ევროპის კულ-
ტურულ ყოფა-ცხოვრებით მდგომარეობაზე. ხშირად ჩვენი ცოდნა
ამოიწურება უერნალ „Огонек“-დან ამოკითხულ ინფორმაციული
წერილებით,—რაც რასაკვირველია, ყოვლად დაუშვებელი მოვლენა.
ფაქტია, რომ რამდენადც კარგად ვერკვევით ბურუსზიული და-
სავლეთის სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში, იმდე-
ნათ ნაკლებად ვიცნობთ კაპიტალისტურ ევროპის კულტურულ
ცხოვრების.

ისეთი წარმოდგენა გვაქვს კაპიტალისტურ ეკროპაზე, თითქოს ის მარტო დაცემულობის და გარყენილობის ბუდეა; დეკადანსის რეალებშია მოქცეული, ეკროპის კულტურა მთლიანად დაცემულია და მასზე ფოქსტროტი და როსკიპის მოდუნებული ხორცი ბატონობს! რასაკეირველია ეს ასე არაა მთლიანად, თუმცა საერთოდ რეალობა-სთან ახორცია.

მართალია ამბ ლუნაჩარს კი, როდესაც სწერს, რომ: შესაძლებელია კაცობრიობის ისტორიაში ერთი ეპოქის კულტურა მეორეს ჰულტურისაგან არ განსხვავდებოდეს ისე ძლიერად, როგორც სოციალისტური კულტურა განსხვავდება დასრულებულ კაპიტალიზმის კულტურისაგან, ვინიდან ყოველთვის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია ძალაში ჩერება; კერძო საკუთრება ჰქმნიდა ეგოისტურად განწყობილ ადამიანს და სხვ. მაგრამ ყველა ეს იმას როდენიშნავს, რომ ყველაფერი ბურჟუაზიული ერთას ხელის დაკვრითუარებოთ. საჭიროა ბურჟუაზიულ კულტურის, კულტურულ მემკვიდროების კლასური—პროლეტარული გამოყენება, მასთან კრიკელი დამოკიდებულება.

მოცემულ გროვიურაში ამ საკითხებზე ამბ. ლუნაჩარსკის მიერ ასე თუ ისე სათანადო პისტილი გაცემული.

სარეცენტიო წიგნაები პოპულიარულ ენითაა დაწერილი და გათვალისწინებულია მასიურ მკითხველისათვის. თარგმანი დამაკმა-



“మ క త మ ద ర ఇ ల ర”

సాజీ డి. క్రి. ఆర్. ప్రెస్ట్రాల్ఫర్ డిస్కాప్ లో డా గాన్సాబ్జోమిస్ ప్రోవెల్టొప్పిస్ డాస్ట్రాటాట్ బ్యూల్ లో శ్రూర్ నాల్ నో న్యూమ్మెంట్రేషన్ డిస్ట్రిక్ట్ డా మిస్టర్ ప్రీల్ ఓవ్ డా డావ్ టోట్ గిస్.

చిల్డోర్ రాడ — 3 డి. 50 క.	3 ట్రాప్ ట — 1 డాస.
6 ట్రాప్ ట . — 2 డ.	పాల్క్ నోమ్మెంట్ — 35 క.

“క చ ర మ ద ర చ ట ల ర”

(బోమ్మెంట్)

సాజీ. డి. క్రి. ఆర్. ప్రెస్ట్రాల్. డిస్కాప్ లో డా గాన్సాబ్జోమిస్ ప్రోవెల్టొప్పిస్ డాస్ట్రాటాట్ బ్యూల్ లో శ్రూర్ నాల్ నో న్యూమ్మెంట్రేషన్ డావ్ టోట్ గిస్.

చిల్డోర్ రాడ—3 డి. 50 క.	3 ట్రాప్ ట . . . —1 డాస.
6 ట్రాప్ ట . — 2 డ.	పాల్క్ నోమ్మెంట్ — 30 క.

“క ట చ ర ల ర-ఔ చ చ చ క”

(ట్రాప్ క్షూల్ లో)

సాజీ. డి. క్రి. ఆర్. ప్రెస్ట్రాల్. డిస్కాప్ లో డా గాన్సాబ్జోమిస్ ప్రోవెల్టొప్పిస్ డాస్ట్రాటాట్ బ్యూల్ లో శ్రూర్ నాల్ నో న్యూమ్మెంట్రేషన్ డావ్ టోట్ గిస్.

చిల్డోర్ రాడ—3 డ.	3 ట్రాప్ ట . . . —75 క.
6 ట్రాప్ ట . — 1 డి. 50 క.	పాల్క్ నోమ్మెంట్ — 25 క.

ఔణిస్ గుద్దుకిల్లా ఖొపిప్పుంచు న్యూపిప్పు-న్యూపిప్పుంచు.
క్షెల్లిస్ మంచ్చీర్ నో మిస్టర్ నో సాక్షేపుగామిస్ ప్రెస్ట్రాల్ఫర్ సామాన్ త్వేప్పులోస్ (ప్రెక్షణ వ్యాపార వ్యాపారిశాఖ)

తథిల్లిస్, ర్షుస్ త్వేప్పులోస్ గామిస్సింహ్, సాక్షేపుగామిస్ ప్రెక్షణ-క్షెల్లిస్, నొతాళి 11. డా ఎగ్రోట్టె సాక్షేపుగామిస్ ప్పుప్పులూ మాధ్యా-శ్రీపతిశిం: తథిల్లిస్శిం, జ్యుతాసిశిం, డాతమిశిం, గంచిశిం, ఏశాల్-శ్రేనాయిశిం, త్వేల్చాపిశిం, డ్యుశ్చైతిశిం, సామిట్ర్స్ డిసిశిం; నొనిశిం, మాత-శ్రోజుశిం, నెనిశిం, క్రీడాంలింశిం, లాంహిశ్చుతిశిం, క్షేస్క్రిష్టినిశిం, శాశ్వతిశిం.

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი

წელი 1929 მესამე

საქართველოს პროლეტარულ მწერლთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანო

საქართველოს პროლეტარულ მწერლთა ასოციაციის ყოველთვიური
ორგანო

მ ი ნ ი ა ხ ე ლ ი ს გ ა მ ი რ ა
1929 ჭლისათვის

წელი 1929 4 მან. სამი თვეით 1 მან. 20 კაპ. ექვსი თვეით 2 მან
50 კაპ. ცალკე ნომისი 50 კაპ.

რედაქცია

ტელიკი, ი. მარაბელის ქ. № 13.
ხელონების სასახლე.
ტელ. 24—51

კანტორა

ტელიკი, სახელგამი პერიოდ
სექტომბერი.
რუსთაველის პრ. № 22

